დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM
# ასავალ-დასავალი
2023 წლის 6 - 12 ნოემბერი
N 48 1512
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# ნურას 12 უნაცრავად!



ხვიჩა კვარაცხელიამ სააკაშვილთან ასოცირებული ჟურნალისტი არ გაიკარა! 6

## ღირსების სახელით!

ბარაქალა 22 წლის ქართველ ვარსკვლავს, რომელმაც არ ისურვა, ინტერვიუ მიეცა საქართველოში მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შემქმნელ სააკაშვილთან ასოცირებული ჟურნალისტისათვის!



საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინაშე პასუხისმგებელი პოლიტიკოსი!



ლევან დავითაშვილი მოიქცა ისე, როგორც უნდა მოქცეულიყო



## სააკაშვილის გამორთვა

მოსამართლე ბადრი კოჭლამაზაშვილმა გაბედა ის, რაც აქამდე არცერთ ქართველ მოსამართლეს არ გაუბედავს! 2



მოსამართლე კოჭლამაზაშვილის მიერ სააკაშვილის გამორთვას პრეცედენტის ძალა უნდა ჰქონდეს!



9

## სალომე, სალომე, НЕТ КУСАЙ!





## ააარჩევიც უკან დარჩებიან!

21 კონკრეტულად საიდან გამოჩნდნენ ქართულ სინამდვილეში, არავინ უწყის!

# სააკაშვილის

***თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ბადრი კოჭლამაზაშვილმა 2023 წლის 30 ოქტომბერს, როგორც იქნა, გააკეთა ის, რასაც უკანასკნელი წელიწად-ნახევრის განმავლობაში ვერცერთი მოსამართლე ვერ ბედავდა!***



**მოსამართლე კოჭლამაზაშვილმა** პატიმარი სააკაშვილი გამორთო!

**მოსამართლე კოჭლამაზაშვილმა** ძლივს კანონი აღასრულა და კლინიკა „ვივამედის" ლუქს-პალატიდან სასამართლო პროცესზე დისტანციურად ჩართულ **პატიმარ სააკაშვილს** „სკაიპი" გაუთიშა!

**მოსამართლე კოჭლამაზაშვილმა** სასამართლო პროცესზე სააკაშვილის დისტანციური ჩართვა შეწყვიტა იმიტომ, რომ პატიმარი **ნაცბელადი** საუბრობდა ყველაფერზე, გარდა მისთვის წაყენებული ბრალდებისა, რაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან 9 მილიონი ლარის გაფლანგვას ეხება.

ეს ის სისხლის სამართლის საქმეა, რომელსაც ნაცპროპაგანდა **„პიჯაკების საქმეს"** ეძახის, აქაოდა — საქართველოს მესამე პრეზიდენტს ბიუჯეტის ფულით პიჯაკების შეძენისათვის ასამართლებენო, **რეალურად კი, სააკაშვილი სახელმწიფოს კუთვნილი დიდძალი თანხის პირადი ხუშტურებისათვის დახარჯვაშია მხილებული!**

რა თქმა უნდა, **სააკაშვილს** ხელს არ აძლევს, სასამართლო პროცესზე ისაუბროს იმის შესახებ, თუ რატომ დახარჯა სახელმწიფო ბიუჯეტის ფული გერმანიიდან ე.წ. პორნომასაჟისტის ჩამოსაყვანად? რატომ შეიძინა ბიუჯეტის ფულით ამერიკელი ქალის მიერ მკერდით დახატული ნახატი? რატომ უყიდა ბიუჯეტის ფულით მობილური ტელეფონი **თინა ბოკუჩავას** და სამაჯური — **მარიამ საჯაიას?** რატომ აფინანსებდა ბიუჯეტის ფულით თავისი შვილების საზღვარგარეთ სწავლას? რატომ დახარჯა ბიუჯეტის ფული გასახდომ პროცედურაში, რომელიც მან და **ბიბი უზულაშამ** ავსტრიის ქალაქ ინსბრუკში ჩაიტარეს?

**სააკაშვილს ამ ყველაფერზე საუბარი არ სურს!**

**ან კი რაღა აქვს სათქმელი, როცა ეს ყველაფერი დოკუმენტურად არის დადასტურებული!**

ამიტომაც, კლინიკის კომფორტულ პალატაში **მოწებივრე მსჯავრდებული ნაცბელადი** სასამართლო პროცესზე დისტანციურ ჩართვას პოლიტიკური განცხადებების გასაკეთებლად იყენებს და ღობე-ყორეს ედება: **ლაპარაკობს საქართველოს შიდა პოლიტიკაზე; ლაპარაკობს უკრაინაზე, რუსეთზე, ისრაელზე; ლაპარაკობს ბიძინა ივანიშვილის ხეებზე; ჭკუას არიგებს და საჯარო ინსტრუქციებს აძლევს ოპოზიციას, როგორ უნდა დაამხონ ხელისუფლება; მადლობას უხდის და გმირად რაცხავს მშობელი მამის უკანალში დამჭრელ და „მოლოტოვის კოქტეილით" ავტომობილების დამწველ ლაზარე გრიგორიადისს...** თითქოს სასამართლო პროცესზე კი არა, რომელიღაც პოლიტიკურ თოქ-შოუში ან მიტინგზე გამოდიოდეს!

ჰოდა, **მოსამართლე კოჭლამაზაშვილმა** პატიმარი სააკაშვილი გამორთო!

მანამდე **მოსამართლე კოჭლამაზაშვილმა** არაერთხელ მოუწოდა პატიმარ სააკაშვილს — შეწყვიტეთ პოლიტიკური განცხადებები, პროცესზე ბრალდებულის სტატუსით ერთვებით და ბრალდების გარშემო ისაუბრეთო! თუმცა, მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა მოსამართლის გაფრთხილება ყურად არ იღო, **ბადრი კოჭლამაზაშვილმა განკარგულება გასცა,** გამოერთოთ აპარატურა და შეეწყვიტათ დისტანციური ჩართვა კლინიკა „ვივამედიდან".

**მოსამართლემ საკუთარი გადაწყვეტილება ასე**










## კვირგვინოსნები

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



**მძიმე მემკვიდრეობიდან,** რომელიც დაგვხვდა პენიტენციურ სისტემაში, **ქვეყანა რეალურად გარდაიქმნა დემოკრატიულ სახელმწიფოდ,** სადაც ადამიანი და მისი უფლებების დაცვა არის უზენაესი.

„იმედინიუსი"

**ირაკლი კობახიძე**
*„ქართული ოცნების" თავმჯდომარე*



რადიკალური ოპოზიცია ჯერ ამტკიცებდა, რომ **კანდიდატის სტატუსი** ნიშნავდა მილიარდობით ევროს, ათას სიკეთეს, **ახლა ამბობენ, რომ არაფერი ყოფილა,** აქაც მიხედონ ორმაგ სტანდარტებს.

„პირველი არხი"

**მამუკა მდინარაძე**
*ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე*



**სააკაშვილის შეწყალება** არის თანამზრახველობა და პასუხისმგებლობის აღება იმაზე, რაც მან 2003-2012 წლებში და მას შემდეგ გააკეთა.

„ინტერპრესნიუსი"

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



**მიხეილ სააკაშვილი** არის ისტორიაში პირველი მსჯავრდებული, რომელმაც **მოხსნა ყოველგვარი რეკორდი ვიზიტორების რაოდენობით** და, მგონი, მსოფლიოშიც რეკორდსმენი იქნება ამ მხრივ.

„იმედინიუსი"

**არჩილ თალაკვაძე**
*პარლამენტარი*



უდიდესი ალბათობით, **საქართველო მიიღებს კანდიდატის სტატუსს,** ეს ჩანს ჩვენი ნამდვილი მეგობრების პოზიციებიდან.

„რეზონანსი"

# გამორთვა

**დაასაბუთა:**

*„სასამართლოს უფლება აქვს, შეაჩეროს ბრალდებული, როცა მისი საუბარი გასცდება იმ საკითხებს, რაც განსახილველ სისხლის სამართლის საქმეს არ ეხება. ჩვენ ამის უფლება გვაქვს კანონიერად.* ***ის პოლიტიკურ მიმომხილველად არ არის აქ მოწვეული, მას აქვს ბრალდებულის სტატუსი, რაც ავალდებულებს, ისაუბროს საქმის გარშემო“.***

**მოსამართლე კოჭლამაზაშვილს** განსაკუთრებული არაფერი უქნია და გმირობა არ ჩაუდენია, უბრალოდ, მოიქცა ისე, როგორც კანონი ავალდებულებს, კანონის აღსრულება კი ნებისმიერი მოსამართლის უპირველესი და ელემენტარული ვალდებულებაა!

ტიკური განცხადებები აკეთოს.

ასეთები არიან, მაგალითად, **მოსამართლე ნინო ჩახნაშვილი,** რომელიც სააკაშვილის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო კვეთის საქმეს განიხილავს და **მოსამართლე ლიანა ორკოდაშვილი,** რომელიც განიხილავს სააკაშვილის ბრალდებას 7 ნოემბრის აქციის დარბევის, ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრისა და **ბადრი პატარკაციშვილის** ქონების მიტაცების შესახებ.

**მოსამართლე ჩახნაშვილმა და მოსამართლე ორკოდაშვილმა,** 2021 წლიდან მოყოლებული დღემდე, ერთხელაც ვერ იკისრეს ის, რაც **მოსამართლე კოჭლამაზაშვილმა** გასულ კვირას გააკეთა — **პატიმარ სააკაშვილს სასამართლო პროცესებზე პოლიტიკური განცხადე-**

## მოსამართლე კოჭლამაზაშვილმა გაბედა ის, რაც აქამდე არცერთ ქართველ მოსამართლეს არ გაუბედავს!

**იშვილის რეჟიმისაგან** მიღებულ ნებისმიერ დანაშაულებრივ ბრძანებას ის მოსამართლეები, რომლებიც დღესაც კი ვერ ბედავენ, სასამართლო პროცესებზე დაუკრეფავში გადასულ პატიმარ სააკაშვილს შენიშვნა მისცენ და პოლიტიკური განცხადებების კეთება აუკრძალონ!

**ბარაქალა მოსამართლე კოჭლამაზაშვილს, რომელმაც ეს გაბედა და სააკაშვილი გამორთო!**

როგორც ჩანს, **მოსამართლე ბადრი კოჭლამაზაშვილმა,** მოსამართლე **ნინო ჩახნაშვილისა** და მოსამართლე **ლიანა ორკოდაშვილისაგან** განსხვავებით, წლების შემდეგ მაინც შეძლო, საკუთარ თავში **სააკაშვილ-ადეიშვილის რეჟიმი** დაემარცხებინა!

იმედი გვაქვს, **მოსამართლე კოჭლამაზაშვილის** საქციელი მაგალითი იქნება **მოსამართლე ჩახნაშვილის, მოსამართლე ორკოდაშვილისა და მათი სხვა კოლეგებისთვისაც,** რომლებიც სააკაშვილის წინაშე კვლავ შიშით ძრწიან და მისგან უსიტყვოდ იტანენ როგორც პიროვნულ დამცირებას, ისე სასამართლოს შეურაცხყოფას!



მიუხედავად ამისა, **მოსამართლე კოჭლამაზაშვილი** მაინც შექებას იმსახურებს, რადგან მან გააკეთა ის, რაც მის არცერთ კოლეგას არ გაუკეთებია — **სააკაშვილი გამორთო!**

**სააკაშვილს მოაკეტინა! სააკაშვილს კანონის ბურთი ჩასჩარა პირში!**

„ასავალ-დასავალის“ ფურცლებზე ჯერ კიდევ გასული წლის დასაწყისში დავარისხეთ განგაშის ზარი იმის გამო, რომ ზოგიერთი მოსამართლე სააკაშვილს კანონზე მაღლა აყენებს და უფლებას აძლევს, სასამართლო პროცესებზე მხოლოდ პოლი-

**ბების რახარუხი ვერ აუკრძალეს და ხმა ვერ ჩააკმენდინეს!**

სწორედ ამის გამო არაერთხელ ვწერდით, რომ საქმე გვაქვს სამართლებრივი სახელმწიფოსათვის უკიდურესად საშიშ პრეცედენტთან, როცა მოსამართლეები იმის დემონსტრირებას ახდენენ, თითქოს კანონის წინაშე ყველა ადამიანი თანასწორი არ არის და **პატიმარი სააკაშვილი** სხვა ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებზე მაღლა დგას!

ვწერდით იმასაც, რომ ადვილი წარმოსადგენია, როგორ უსიტყვოდ ასრულებდნენ **სააკაშვილ-ადე-**




**იმედი გვაქვს, მოსამართლე კოჭლამაზაშვილის საქციელი მაგალითი იქნება მოსამართლე ჩახნაშვილის, მოსამართლე ორკოდაშვილისა და მათი სხვა კოლეგებისთვისაც, რომლებიც სააკაშვილის წინაშე კვლავ შიშით ძრწიან!**

**მოსამართლე კოჭლამაზაშვილის მიერ სააკაშვილის გამორთვას პრეცედენტის ძალა უნდა ჰქონდეს! ქართული სასამართლო აღარ უნდა იყოს პოლიტიკური დემაგოგიის ასპარეზი სისხლის სამართლის დამნაშავე სააკაშვილისათვის!**

*ჯაბა ხუბუა*

## კვირგვინოსნები

**რატი ბრეგაძე**
*იუსტიციის მინისტრი*



როდესაც იქნება ექიმების რეკომენდაცია, **მიხეილ სააკაშვილი დაბრუნებული იქნება პენიტენციურ განყოფილებაში.**

„რეზონანსი“

**პაატა ზაქარეიშვილი**
*ექსპერტი, კონფლიქტოლოგი*



**სააკაშვილს არჩევნებამდე ციხეში დააბრუნებენ!**

„ახალი თაობა“

**სოზარ სუბარი**
*„ხალხის ძალის“ წევრი, პარლამენტარი*



გააგრძელეთ **სააკაშვილთან ოპოზიციის არშეშვების პოლიტიკა,** რადგან, როგორნც ჩანს, **მათი შესვლა პაციენტის მდგომარეობას ამძიმებს.**

„რეზონანსი“

**მიხეილ სარჯველაძე**
*პარლამენტარი*



დღეს **უკრაინის ხელისუფლებაში** დიდი გავლენა აქვს იმ პოლიტიკურ ძალას, რომელსაც სურვილი აქვს, **საქართველოს ხელისუფლებაში** იხილოს **სააკაშვილი** მარტო იმიტომ, რომ **მან ომი გააჩაღოს.** „რეზონანსი“

**დაჩი ცაგურია**
*ყოფილი პოლიტპატიმარი*



**თუ პრეზიდენტმა სააკაშვილი შეიწყალა,** მაშინ ის პასუხისმგებლობას იღებს ყველა იმ დანაშაულზე, რომელიც **სააკაშვილს** აქვს ჩადენილი. „TV იმედი“

**გიორგი ზერეკიძე**
*ყოფილი პატიმარი*



ცინიზმის მწვერვალია — **სააკაშვილი მადლობას უხდის ბრიგორიადისს, ვინც პოლიციელების ცოცხლად დაწვა სცადა** და მე, 14 წლის ბავშვი, სახელმწიფო დამნაშავედ გამომაცხადა, **10 წელი მომისაჯა.** „პირველი არხი“

# მომავლიდან

*„ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან?!“ — ქართულ ლიტერატურაში ეს, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და პოპულარული ფრაზაა, რომელსაც ხშირად ციტირებენ არამხოლოდ სხვადასხვა ტიპის წერილობით ტექსტებში, არამედ ზეპირ მეტყველებაშიც.*



**„ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან?!“** — ეს არის ფინალური ტაეპი **შოთა ნიშნიანიძის** ცნობილი ლექსისა, რომელსაც ჰქვია **„ბიჭები“** და რომლის ლირიკული გმირებიც **გავროში, პაატა სააკაძე და ოლეგ კოშევოი** არიან... და სხვა ბიჭებიც, **ვინც სინდისს თავი არ აარიდა!**

კი, სწორედ ასე წერს **შოთა ნიშნიანიძე — ვინც სინდისს თავი არ აარიდაო!**

**აი, სტროფიც:**

**„ათასი დაფნა,**
**წიგნი, მოლბერტი,**
**ვინც სინდისს**
**თავი არ აარიდა!**
**კაცობრიობა**
**რომ არ დაბერდეს,**
**ჰეი, ვინ მოდის**
**მანდ მომავლიდან?!“**

•

**ვინც სინდისს თავი არ აარიდა!**

აბა, ერთი კარგად მიმოვავლოთ თვალი ამ ამღვრეულ გარემოს, დღევანდელი ქართული პოლიტიკა რომ ჰქვია და ვნახოთ, რამდენი არიან ისინი, **ვინც სინდისს თავი აარიდა?!**

ძალიან ბევრნი არიან, სახიფათოდ ბევრნი!

იმათი რიცხვი, **ვინც სინდისს თავი აარიდა,** ბევრად აღემატება იმათ რაოდენობას, ვინც **სინდისს თავი არ აარიდა!**

**ვინც სინდისს თავი აარიდა,** სწორედ ისინი ხმაურობენ ყველაზე მეტად, სწორედ ისინი იქაჩებიან ყველაზე ძალუმად, სწორედ ისინი ესწრაფვიან ყველაზე დაჟინებით ძალაუფლებას — ჩვენ უნდა ავიღოთ ხელში ძალაუფლება, ჩვენ უნდა მოვიდეთ ხელისუფლებაში, ჩვენ უნდა ჩავიბაროთ ქვეყნისა და ხალხის ბედ-იღბალი!

**ჩვენ ვართ მომავლიდან მოსასვლელები!**

სინამდვილეში, ისინი **მომავლიდან არმოსასვლელები არიან!**

სინამდვილეში, ისინი არიან შავი და ბნელი წარსულის აჩრდილები!

ისინი არიან, **ვინც სინდისს თავი აარიდა!**

•

მაგალითად, მოდი, ვნახოთ **მამუკა ხაზარაძე!**

**ერთ-ერთი მთავარი არმოსასვლელი მომავლიდან არმოსასვლელთა შორის!**

იგი რამდენიმე დღის წინათ გამოვიდა ქართული ჯარისა და ევროპელი პენსიონერების გამძარცველი **ქეზერაშვილის** ტელევიზიაში და განაცხადა — **ჩვენ რომ ხელისუფლებაში მოვალთ, საქართველოში პენსიას 1000 ლარამდე გავზრდითო!**

## ნათქვამია – ჩამომხრჩვალის სახლში თოკზე არ უნდა ილაპარაკოო, მაგრამ მამუკა ხაზარაძე პენსიებზე ლაპარაკობს იმ ქეზერაშვილის ტელევიზიაში, რომელიც ბრიტანულმა ტელევიზიამ ევროპელი პენსიონერებისათვის მილიარდი დოლარის მოპარვაში ამხილა!

როცა **კაბალური საბანკო პროცენტებით მოსახლეობის გამტყავებელი და ქართველი მეანაბრეების გამძარცველი მამუკა ხაზარაძე ევროპელი პენსიონერების გამძარცველი ქეზერაშვილის** ტელევიზიაში პენსიის გაზრდაზე ლაპარაკობს, ეს ცინიზმისა და უტიფრობის აპოთეოზია!

ეს არის სწორედ ის, რასაც ჰქვია **სინდისისათვის თავის არიდება!**

რაც შეეხება **ხაზარაძის** ნათქვამს — როცა **ჩვენ ხელისუფლებაში მოვალთო** და იქვე დაზუსტებას — **ერთ-ორ წელიწადში აუცილებლად მოვალთო,** ეს, უბრალოდ, სასაცილოა!

**მამუკა ხაზარაძის პარტია „ლელოს“** რეიტინგი, ყველანაირი სოციოლოგიური კვლევით, 1-2 პროცენტს არ აღემატება, 1-2-პროცენტიანი პარტია კი 1-2 წელიწადში არათუ ხელისუფლებაში ვერ მოვა, პარლამენტში 1-2 დეპუტატსაც ვეღარ შეიყვანს, რადგან საარჩევნო ბარიერი 5-პროცენტიანია.

**მამუკა ხაზარაძე** ნამდვილად არის ერთ-ერთი გამოკვეთილი ფავორიტი... ოღონდ, **მომავლიდან არმოსასვლელთა** შორის!

და იმათ შორის, **ვინც სინდისს თავი აარიდა!**

•

მომავლიდან არმოსასვლელი **მამუკა ხაზარაძის** ცინიზმი და უტიფრობა ამ

## მამუკა ხაზარაძე იბრძოდა არა საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ, არამედ იმათ წინააღმდეგ, ვინც საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ იბრძოდა!

## კვირგვინოსნები

**სალომე ზურაბიშვილი**
*საქართველოს პრეზიდენტი*



შემაშფოთებელია, როდესაც შენს საკუთარ ქვეყანაში არიან ადამიანები, რომლებიც **მტრის ენაზე ლაპარაკობენ, იქცევიან და სჯერათ, რომ სახლში არიან.** ეს ზღვარი უნდა შენარჩუნდეს, რომ მომავალში არ გვქონდეს ინციდენტები, რომლებიც **რუსეთს თავისი საყვარელი დოქტრინის — რუსულენოვანი მოქალაქეების დაცვის გამოყენების საშუალებას მისცემს.**

ტელეკომპანია „CBS“

**გია აბაშიძე**
*ანალიტიკოსი*



**ამერიკული FARA-ს მორიგი მხილება:** აშშ-ში საკუთარი ბინძური პროპაგანდის ტირაჟირებაში **მიხეილ სააკაშვილი** და ჩეკისტი ბიძამისი **თემურ ალასანია** კვლავ უამრავ ფულს ხარჯავენ. საკითხავია, საიდან? **მხოლოდ 6 თვეში 96,393 დოლარი.** ეს, რაც რეგისტრირებულია და **კიდევ რამდენი ბინძური თანხაა გადახდილი საქართველოს „გაშავებაში“.**

„იმედინიუსი“

**მიხეილ ყაველაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



წარმოიდგინეთ, **სალომე ზურაბიშვილი** CBS-სთან ინტერვიუში საჯაროდ რას ამბობს და დახურულ კარს მიღმა რას იტყოდა — **ეს გვაჩვენებს, როგორი სწორი იყო მთავრობა, როცა მას საერთაშორისო ვიზიტების უფლება არ მისცა.** სალომე ზურაბიშვილი **„გლობალური ომის პარტიის“** მართვის სისტემას უკვე ბოლომდე ექვემდებარება. ამიტომ **ფხიზლად უნდა ვიყოთ.**

„იმედინიუსი“

**მამუკა გამყრელიძე**
*„ევროპელი დემოკრატების“ გენერალური მდივანი*



**სალომე ზურაბიშვილი** აჯობებს, გაჩუმდეს, **კარგს მაინც არაფერს იტყვის.** ყველამ კარგად ვიცით, რა მაქინაციებითაც მოხდა მისი ამ სკამზე დასმა და **რა, ახლა აღარ მოსწონს „ქართული ოცნება“?!**

„ახალი თაობა“

# არმოსასვლელები




დღეებში მხოლოდ იმით როდი შემოფარგლულა, **ევროპელი პენსიონერების გამძარცველი კეზერაშვილის ტელევიზიაში** ქართველი პენსიონერებისათვის პენსიის მომატებაზე რომ ლაპარაკობდა.

**ხაზარაძე** გასულ კვირას სიტყვით გამოვიდა ჰარვარდის უნივერსიტეტში გამართულ ფორუმზე და განაცხადა:

*„მე ვარ საბჭოთა კავშირში დაბადებული ქართველი, ვიცი, რას ნიშნავს იმპერია და ვიცი, რას ნიშნავს თავისუფლება. მთელი ცხოვრება ვიბრძოდი პირადი თავისუფლებისათვის და სხვების გასათავისუფლებლად“.*

**ღმერთი რატომ არ გაიცინებს?**

**საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი მამუკა ხაზარაძე ამბობს, რომ მთელი ცხოვრება იბრძოდა საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ, იბრძოდა პირადი თავისუფლებისათვის, იბრძოდა სხვების გასათავისუფლებლად...**

კი, ამას ამბობს კომკავშირის კომიტეტის მდივანი **მამუკა ხაზარაძე,** რომელიც მხილებულია საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიტინგების დარბევაში და **მერაბ კოსტავაზე ხელის აღმართვაში.**

ანუ **მამუკა ხაზარაძე იბრძოდა არა საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ, არამედ იმათ წინააღმდეგ, ვინც საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ იბრძოდა!**

**მამუკა ხაზარაძე იბრძოდა არა თავისუფლებისათვის, არამედ იმისათვის, რომ თავისუფლებისათვის მებრძოლ ადამიანებს საბჭოთა რეჟიმისაგან საქართველოს გათავისუფლება არ გამოსვლოდათ!**

კიდევ კარგი, საბჭოთა რეჟიმისაგან საქართველოს გასათავისუფლებლად მებრძოლმა ადამიანებმა მიზანს მიაღწიეს და საქართველოს დამოუკიდებლობა მოუპოვეს!

კიდევ კარგი, **მამუკა ხაზარაძემ** მიზანს ვერ მიაღწია და საქართველოს გათავისუფლებისათვის ხელის შეშლა არ გამოუვიდა!

სამაგიეროდ, გამოუვიდა **სინდისისათვის თავის არიდება!**

ეს დღესაც წარმატებით გამოსდის **მომავლიდან არმოსასვლელს!**

•

უჰ, კიდევ რამდენია **მომავლიდან არმოსასვლელი!**

ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა?!

უყურებ **ხაბეიშვილს,** უყურებ **ვაშაძეს,** უყურებ **ხოშტარიას,** უყურებ **ჯაფარიძეს,** უყურებ **სამადაშვილს,** უყურებ **დეკანოიძეს,** უყურებ **ბოცირიძეს,** უყურებ **წითლიძეს...** უყურებ და უსმენ მთელ ე.წ. ნაცოპოზიციას თავის ქალებიან-კაცებიანად და შიშთან ერთად სირცხვილის გრძნობა გიპყრობს...

**აბა, წარმოიდგინეთ, რომ ერთ დღესაც გაიღვიძოთ და საქართველოს პრემიერ-მინისტრად იჯდეს გიორგი ვაშაძე, პარლამენტის თავმჯდომარედ – ლევან ხაბეიშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრად – ხატია დეკანოიძე, თავდაცვის მინისტრად – აკია ბარბაქაძე, საგარეო საქმეთა მინისტრად – ლიაკა ხოშტარია ან სალომე სამადაშვილი...**

**წარმოსახვაც კი შემზარავია!**

**ამდენი სინდისისათვის თავარიდებული!**

**ამდენი მომავლიდან არმოსასვლელი!**

**ქართველი მეანაბრეების გამძარცველი მამუკა ხაზარაძე ევროპელი პენსიონერების გამძარცველი კეზერაშვილის ტელევიზიაში პენსიის გაზრდაზე ლაპარაკობს, ეს ცინიზმისა და უტიფრობის აპოთეოზია!**

•

საიმედოა მხოლოდ ის, რომ ქართველ ერს **სინდისისათვის თავი არასოდეს აურიდებია!**

საიმედოა ისიც, რომ საქართველო ნელ-ნელა უფრო და უფრო ემსგავსება საკუთარი თავის პატრონსა და საკუთარი მომავლის თავადვე განმსაზღვრელს!

ასეთი საქართველო კი **მომავლიდან არმოსასვლელთა** მოსვლას არ დაუშვებს!

***გიორგი ძაძამია***

## კვირგვინოსნები

**ჰასან ნასრალა**
*„ჰეზბოლას“ გენერალური მდივანი*



აღივსენით მოთმინებით — **ისრაელი ობობის ქსელზე სუსტი!** არ არსებობს უფრო ლეგიტიმური ომი, ვიდრე ომი სიონისტებთან. ეს არის კანონიერი, მორალური, რელიგიური და ჰუმანური ომი! **პალესტინელთა პრობლემები გართულდა იმიტომ, რომ დღეს ისრაელის სათავეში უკიდურესად დაუნდობელი მთავრობაა, ხოლო ამერიკელების სწრაფვამ, დაიცვან ისრაელის მოსახლეობა, დაგვანახა, რამდენად სუსტია მათი რეჟიმი, რომელიც პირველივე დღეებიდან სთხოვდა იარაღს ამერიკელებს.**

ვინც დღეს დუმს ღაზაში სიონისტური რეჟიმის დანაშაულებზე, **ეჭვი** უნდა შეიტანოს საკუთარ ადამიანურობაში. **ამერიკელებო,** ჩვენ არ გვეშინია თქვენი ხომალდების და მზად გვაქვს იარაღი მათ წინააღმდეგ. ბრძოლა ღაზაში მხოლოდ გამარჯვებით შეიძლება დამთავრდეს!

**ნიკო ბელიაშვილი**
*ბათ-იამში მცხოვრები ქართველი ებრაელი, ბლოგერი*



ისრაელს აქვს **ატომური ბომბის 100 რაკეტა** და აუცილებლად გამოიყენებს, თუ დაინახა, რომ **ისრაელის სახელმწიფოს და ებრაელი ხალხის განადგურების საფრთხე დგას.** ის არავის მოუსმენს, არავის აზრს არ გაითვალისწინებს, **ისრაელი მეორედ არ დაუშვებს თავისი ერის ჰოლოკოსტს.** დღეს რომ რადიკალებმა ისრაელზე გაიმარჯვონ, ხვალზეგ ტერორისტები მთელ მსოფლიოს ანალოგიურად მოექცევიან, ამიტომ ეს უნდა ამოიძირკვოს.

„კვირის პალიტრა“

**რეჯეფ თაიფ ერდოღანი**
*თურქეთის პრეზიდენტი*



ისინი, **ვინც ნიანგის ცრემლებს ღვრიან** უკრაინა-რუსეთის ომში დაღუპული მშვიდობიანი მოსახლეობის გამო, **ჩუმად უყურებენ** ღაზაში ათასობით უდანაშაულო ბავშვის სიკვდილს.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ბენიამინ ნეთანიაჰუ**
*ისრაელის პრემიერ-მინისტრი*



თუ **„ჰეზბოლა“** გადაწყვეტს ომში შესვლას, მას **ლიბანის მეორე ომი მოენატრება.** ყველას, მათ შორის მეც, **მოგვიწევს კითხვებზე პასუხების გაცემა,** მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ომის შემდეგ მოხდება.

„პირველი არხი“

# ღირსების ფინტი

***საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და იტალიური „ნაპოლის“ 22 წლის ფეხბურთელმა ხვიჩა კვარაცხელიამ, რომელიც უკვე იქცა მსოფლიო ფეხბურთის ნამდვილ ვარსკვლავად, ქართული ფეხბურთის ისტორიას კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი შეჰმატა.***



## ხვიჩა კვარაცხელიამ სააკაშვილთან ასოცირებული ჟურნალისტი არ გაიკარა!

კერძოდ, **კვარაცხელია,** რომელსაც დიდებული და თვალისმომჭრელი თამაშის გამო საფეხბურთო მსოფლიო **„კვარადონას“** ეძახის, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი ფეხბურთელია, რომელიც უმაღლესი პერსონალური საფეხბურთო ჯილდოს, **„საფეხბურთო ოსკარად“** წოდებული **ოქროს ბურთის** ნომინანტი გახდა.

**ოქროს ბურთის** ნომინანტებს შორის სხვადასხვა დროს რამდენიმე ქართველი ფეხბურთელი მოხვედრილა; მაგალითად, 1961 წელს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდოს პრეტენდენტები იყვნენ **მიხეილ მესხი** და **სლავა მეტრეველი;** 1965 წელს — **სლავა მეტრეველი;** 1968 და 1972 წლებში — **მურთაზ ხურცილავა,** ხოლო 1981 წელს, როცა თბილისის „დინამომ“ ევროპის თასების მფლობელთა თასი მოიგო, ოქროს ბურთის ნომინანტებს შორის ერთბაშად სამი ქართველი იყო — **რამაზ შენგელია, დავით ყიფიანი და ალექსანდრე ჩივაძე.**

თუმცა, მაშინ დამოუკიდებელი საქართველო არ არსებობდა და ქართული ფეხბურთის ზემოხსენებული ლეგენდები ოქროს ბურთზე საბჭოთა კავშირის სახელით იყვნენ ნომინირებული, თანაც, არცერთ მათგანს არ მისცემია საშუალება, **ოქროს ბურთით** დაჯილდოების ცერემონიალს უშუალოდ დასწრებოდა და მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავებთან ერთად გაევლო წითელ ხალიჩაზე.

**ხვიჩა კვარაცხელია პირველი ქართველი ფეხბურთელია, ვისაც ეს პატივი ერგო!**

2030 წლის 30 ოქტომბერს, საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში, სასტუმრო „შატლეში“ გამართულ გრანდიოზულ ღონისძიებას **კვარადონა** ახალშერთული მეუღლითურთ ესწრებოდა და პარტერის პირველ რიგში იჯდა მსოფლიო ფეხბურთის ცოცხალ ლეგენდებთან ერთად.

ოქროს ბურთის ტოპ-30 ნომინანტს შორის **„კვარადონა“** მე-17 ადგილზე გავიდა და თანამედროვე მსოფლიო ფეხბურთის ისეთი სუპერვარსკვლავები ჩამოიტოვა, როგორებიც არიან, მაგალითად, **ჯუდ ბელინგემი** მადრიდის „რეალიდან“ და **ჰარი კეინი** მიუნხენის „ბაიერნიდან“.

რაც შეეხება ოქროს ბურთის მფლობელს, ანუ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს, ეს ტიტული უკვე მერვედ ირგუნა ფეხბურთის ნამდვილმა ჯადოქარმა, მოქმედმა მსოფლიო ჩემპიონმა, 36 წლის არგენტინელმა **ლიონელ მესიმ.**

**22 წლის ხვიჩა კვარაცხელიას, რომელიც 1981 წლის შემდეგ, ანუ უკანასკნელი 42 წლის განმავლობაში, ოქროს ბურთზე ნომინირებული პირველი ქართველი ფეხბურთელი გახდა, ამ უდიდეს წარმატებას სიამაყით ვულოცავთ და გვჯერა, შორს არ არის ის დრო, როცა იგი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთის ჯილდოს – ოქროს ბურთს დაეუფლება!**

თუმცა, საქმე მხოლოდ დიდ სპორტსმენობასა და დიად ფეხბურთელობაში როდია...

**ამ დღეებში კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ იტალიის მოქმედი ჩემპიონი და იტალიის გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი ხვიჩა კვარაცხელია ღირსებაში, პრინციპულობაში, პატრიოტიზმსა და მამულიშვილობაშიც ნამდვილი ჩემპიონია!**

პარიზში გამართული ოქროს ბურთის გადაცემის ცერემონიის კვალდაკვალ, სოციალურ ქსელში პოსტი გამოაქვეყნა ჟურნალისტმა და **პრეზიდენტ სააკაშვილის ყოფილმა პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ,** რომელსაც, თურმე, **ხვიჩა კვარაცხელიასათვის** ინტერვიუ უთხოვია, მაგრამ მისგან უარი მიუღია!

ai, სწორედ ის მიზეზი, რის გამოც ფეხბურთელმა სააკაშვილის ყოფილ პრესსპიკერს ინტერვიუზე უარი უთხრა, მოწმობს რომ ხვიჩა ღირსებაში, პრინციპულობაში, პატრიოტიზმსა და მამულიშვილობაშიც კვარადონაა!

სააკაშვილის ყოფილი პრესსპიკერი მანჯგალაძე ხვიჩა კვარაცხელიას ოქროს ბურთის ნომინანტობას ულოცავს, წერს, რომ მისი დიდი გულშემატკივარია და იქვე აღნიშნავს:

> ***„ძალიან მიხარია, ძალიან, მიუხედავად იმისა, რომ ამ ზაფხულს ინტერვიუზე უარი საოცარი მიზეზით მითხრა, პირდაპირ შემომითვალა, არ მოგცემთ ინტერ-***

**ხვიჩა კვარაცხელიამ, რომელიც საფეხბურთო მოედანზე მცველებს საოცარი ფინტებით აბრუებს, ერთი დიდებული ფინტი მოედანს მიღმაც ჩაუტარა სააკაშვილის ყოფილ პრესსპიკერსა და, მისი სახით, მთელ ნაცსექტას!**

## კვირგვინოსნები

**გიორგი გამსახურდია**
*საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის ატაშე მოლდოვაში*



ხელისუფლების დღევანდელი რიტორიკა სახელმწიფო ინტერესებიდან არის გამომდინარე და **რაში გამოიხატება ქვეყნის დამაზიანებელი პოლიტიკა?** — რომ პოლიგონი არ გავხდით, რომ მეორე ფრონტი არ გავხსენით, რომ სისხლში არ ვაბანავეთ ჩვენი კიდევ ერთი მომავალი თაობა?

დეზინფორმაციული ფონი, რაც **„TV პირველს“ და „მთავარს“** აქვს, ნარატივი იქნება არჩევნებამდეც და არჩევნების შემდეგაც. მერე არჩევნების პროცესს დააყენებენ კითხვის ნიშნის ქვეშ...

ძალიან ძნელია, პასუხი აგო ნაცებზე და მაგათ ქმედებებზე, მაგრამ, ვფიქრობ, საზოგადოება იმ დონეზე მომწიფდა, რომ ხალხის მხარდაჭერა არ ექნებათ. **ხალხს არ უნდა რყევა, ხალხს უნდა სტაბილურობა და ეს ხაზი მიჰყავს სწორედ დღევანდელ ხელისუფლებას.**

**გიორგი გახარიას** ძალიან კარგად ვიცნობ და ფაქტია, ეს ჩემი შეხედულება არ არის — **საქართველოში ხალხის მენტალიტეტში მოღალატე ადამიანი არ ფასობს!** დღეს მას კიტოვანივით არ ჰქონდა იმისი საშუალება, რომ იარაღით ჩამოვვეგდეთ, მაგრამ ზუსტად იგივეა — **ღალატი არის ღალატი!**

ახლა **მევახშე ხაზარაძეც** არ ვიცი, ვის შეკრებს... **ნიკა გვარამიასაც** გავიგე, რომ აქვს რაღაც ამბიციები, მაგრამ ამ სუბკულტურის ადამიანს არ მიიღებს საზოგადოება (არ გავხსნი ახლა რაღაც კარტებს!).

სხვათაშორის, ახლა **მიშა** ცალკე ეტენება ნაციონალური მოძრაობის თემაში, ის **კეზერაშვილი** იქიდან ცალკე ეტენება, **ვანო** აქედან ცალკე ეტენება... **და მოუნადირებელი დათვის ტყავის გაყოფის თემაა!** ნაცმოძრაობას არა ჰყავს ერთი თავი. თავისი ინტერესები აქვს **კეზერაშვილსაც, ვანოსაც... ხაბეიშვილზე** რა უნდა ვილაპარაკო — ეს კომიკური კაცია, ჩემს სოციალურ ქსელში რაღაცებს ვწერ ხოლმე და ვერ ვიტყვი.

„TV იმედი“

*ვიუს, მიშასთან ასოცირდებიო“.*

გესმით? **ხვიჩა კვარაცხელიამ მანანა მანჯგალაძეს** ინტერვიუ არ მისცა იმის გამო, რომ იგი **სააკაშვილთან ასოცირდება,** როგორც მისი ყოფილი პრესსპიკერი!

**ყოჩაღ, ხვიჩა კვარაცხელიას!**

**ბრავო, კვარადონას!**

**ბარაქალა 22 წლის ქართველ ვარსკვლავს, რომელმაც არ ისურვა, ინტერვიუ მიეცა საქართველოში მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შემქმნელ სააკაშვილთან ასოცირებული ჟურნალისტისათვის!**

2001 წელს დაბადებული **ხვიჩა კვარაცხელია** პატარა ბავშვი იყო მაშინ, როცა საქართველოში სააკაშვილის რეჟიმი თარეშობდა და სისხლის მდინარეებს აყენებდა; როცა ქუჩაში ბელურებივით ხოცავდა უდანაშაულო ქართველ ბიჭებს, რომელთა კბილაც არის დღეს 22 წლის **ხვიჩა კვარაცხელია.**

**დღეს 22 წლის ხვიჩა კვარაცხელია 3 წლის იყო 2004 წელს,** როცა სააკაშვილის რეჟიმმა 19 წლის ბუტა რობაქიძე დახვრიტა!

**დღეს 22 წლის ხვიჩა კვარაცხელია 5 წლის იყო 2006 წელს,** როცა სააკაშვილის რეჟიმმა 22 წლის **ზურა ვაზაგაშვილი** დახვრიტა, 28 წლის **სანდრო გირგვლიანი** სასტიკი წამებით მოკლა, ხოლო 17 წლის **შოთა გორგაძე,** 21 წლის **რომან სურმანიძე** და 23 წლის **მარად ართმელაძე** ნავთლუღის ავტოსადგურზე ჩახოცა!

**დღეს 22 წლის ხვიჩა კვარაცხელია 7 წლის იყო 2008 წელს,** როცა სააკაშვილის რეჟიმმა 30 წლის გიორგი გამცემლიძე დახვრიტა!

**დღეს 22 წლის ხვიჩა კვარაცხელია 11 წლის იყო 2011 წელს,** როცა მთელმა საქართველომ იხილა კადრები, როგორ აწამებდა და აუპატიურებდა სააკაშვილის რეჟიმი ქართველ პატიმრებს ქართულ ციხეებში!

**ჰო, პატარა ბავშვი იყო მაშინ ხვიჩა და, ცხადია, არ შეეძლო, ბოლომდე გაცნობიერებული ჰქონოდა, რამხელა მასშტაბის ბოროტება ბოგინობდა საქართველოში სააკაშვილის რეჟიმის სახით!**

ბუნებრივია, პატარა ხვიჩას არ შეეძლო, თავისი პროტესტი გამოეხატა მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის წინააღმდეგ!

სამაგიეროდ, დღეს **ხვიჩა კვარაცხელია** დიდია!




ხვიჩა კვარაცხელია მეუღლესთან – ნიცა თავაძესთან ერთად პარიზში, ოქროს ბურთით დაჯილდოების ცერემონიალზე

# ბრავო, კვარადონა!

**დიდი კაცია!**

**დიდი ფეხბურთელია!**

**დიდი სპორტსმენია!**

და დღეს შეუძლია **ხვიჩა კვარაცხელიას** საკუთარი დამოკიდებულება და პროტესტი ჰქონდეს სააკაშვილის მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის მიმართ, იმ რეჟიმის ნარჩენების მიმართ, იმ რეჟიმთან ასოცირებული პერსონების მიმართ!

**როგორ უნდა გამოხატოს სპორტსმენმა ეს დამოკიდებულება და ეს პროტესტი?**

**მიტინგებზე სირბილს ვერ დაიწყებს და არც უნდა დაიწყოს!**

**პოლიტიკურ დებატებში ვერ მიიღებს მონაწილეობას და არც უნდა მიიღოს!**

**სოციალურ ქსელში პოლიტიკური შინაარსის პოსტებს ვერ დაწერს და არც უნდა დაწეროს!**

ამიტომ ხვიჩამ გააკეთა ის, რაც უნდა გაეკეთებინა და როგორც უნდა გაეკეთებინა — ყველაზე უწყინარი, ყველაზე ცივილიზებული, ყველაზე დელიკატური ფორმით — **სააკაშვილთან ასოცირებული ჟურნალისტისათვის ინტერვიუს არმიცემით გამოხატა საკუთარი ღირსეული, პრინციპული და პატრიოტული პოზიცია!**

**სააკაშვილის ყოფილი პრესსპიკერი მანჯგალაძე** წერს — ხვიჩა კვარაცხელიამ ინტერვიუზე უარი **„საოცარი მიზეზით“** მითხრაო... სინამდვილეში, **„საოცარი მიზეზით“** კი არა, **აბსოლუტურად სწორი, აბსოლუტურად მართალი და აბსოლუტურად ლოგიკური მიზეზით** არ მისცა კვარადონამ ინტერვიუ სააკაშვილთან ასოცირებულ ჟურნალისტს!

## თუ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ასოცირებული პროფესორის აკადემიური ხარისხი არსებობს, ქართულ მედიასივრცეში არსებობენ სააკაშვილთან და მის დანაშაულებრივ რეჟიმთან ასოცირებული ჟურნალისტები, რომლებთან საქმის დაჭერასაც ყველა პატიოსანი, პატრიოტი და ღირსეული ქართველი სწორედ ისე უნდა არიდებდეს თავს, როგორც ხვიჩა კვარაცხელიამ არ გაიკარა სააკაშვილთან ასოცირებული მანანა მანჯგალაძე!

ხვიჩა კვარაცხელიამ, **რომელიც საფეხბურთო მოედანზე მცველებს საოცარი ფინტებით აბრუებს, ერთი დიდებული ფინტი მოედანს მიღმაც ჩაუტარა სააკაშვილის ყოფილ პრესსპიკერსა და, მისი სახით, მთელ ნაცსექტას!**

ამას ჰქვია ღირსების ფინტი!

ამას დიდი ფეხბურთელის დიდი კაცობაც ჰქვია!

ასეთი ფეხბურთელი და ასეთი კაცია ხვიჩა კვარაცხელია!

***ჯაბა ხუბუა***



მანანა მანჯგალაძე
5 დღე ·

ძალიან მიხარია,ძალიან მიუხედავად იმისა რომ ამ ზაფხულს ინტერვიუზე უარი საოცარი მიზეზით მითხრა, პირდპირ შემომითვალა არ მოგცემთ ინტერვიუს მიშასთან ასოცროორდებიო))))). ... მაინც მიხარია. და წარმატებას კი არა უდიდეს წარმატებას ვუსურვებ. მარტო იმიტომ რომ ჩემი ქვეყანა იქ სადაც თამაშობს,იმიტომ რომ სასწაული მემართება როცა ათასობით ადამიანი სტადიონზე კვარაცხელიას ყვირის, იმიტომ რომ ემიგრაციაში მყოფი ქურდბაცაცა თანამემამულეების საპირწონეს დებს.( დავაკონკრეტებ საერთაშორისო მედიაში არ ხვდებიან ისინი



## ბარაქალა 22 წლის ქართველ ვარსკვლავს, რომელმაც არ ისურვა, ინტერვიუ მიეცა საქართველოში მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შემქმნელ სააკაშვილთან ასოცირებული ჟურნალისტისათვის!

## კვირგვინოსნები

**ნინო ჟვანია**
*ზურაბ ჟვანიას მეუღლე*



სააკაშვილი **ციხეში უნდა იჯდეს.** ცხადია, როგორც იქცევა, ბევრი რამ მისი **პათოლოგიური ფსიქიკიდან** მომდინარეობს. **სააკაშვილს და ზურას დაძაბულობა ჰქონდათ, სულ ჩხუბობდნენ.** მოგვიანებით რომ ვნახე ტელეფონზე ზარები, თურმე, დღეში რამდენიმე საათს ლაპარაკობდნენ. მოდიოდა კიდევაც ჩვენთან. იმხანად მიშას თავისი გუნდი უკვე შეკრული ჰყავდა — **მერაბიშვილი, ადეიშვილი, ოქრუაშვილი.** ისინი არ ესწრებოდნენ პრემიერ-მინისტრის სხდომებს. **რეალურად უკვე დაპირისპირებული იყვნენ.** რთული პოლიტიკური სიტუაცია იყო, დაიწყეს დაჭერები. **ზურა სულ ეუბნებოდა, ამას ნუ აკეთებთ, იმას ნუ აკეთებთო.** მიხვდა, რომ მისთვისაც საფრთხე იყო, მაგრამ გადაწყვიტა, რომ ვერ დატოვებდა ვერც საქმეს და ვერც იმ ადამიანებს, ვინც მის გვერდით იდგნენ. ვფიქრობ, **ზურა მოკლულია.** მაშინვე გამოჩნდა, რომ **გაზით კი არ იყვნენ მოწამლული, არამედ რაღაც ინიექცია ჰქონდათ შეყვანილი,** რაც სისხლში იმავე ცვლილებებს იწვევს. არსებობს ასეთი პრეპარატი, რომელიც რუსეთის „კაგებეს“ შეიარაღებაშია.

„კვირის პალიტრა“

**რობინ დანიგანი**
*საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი*



დიდი სიამაყით მინდა, აღვნიშნო **რეფორმები, რაც უკვე გატარდა საქართველოს პენიტენციურ სისტემაში,** ეს არის, მათ შორის, ტექნოლოგიური მიმართულებით.

„პირველი არხი“

**პაველ ჰერჩინსკი**
*საქართველოში ევროკავშირის ელჩი*



**სიტყვის თავისუფლება და მედიის თავისუფლება** ის მთავარი პრინციპებია, რომელზეც **აგებულია ევროკავშირი.**

„რეზონანსი“

**პეტრე ცისკარიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი*



**სტატუსი რომ ყველას გვინდა,** გასაგებია. **სტატუსის მონიჭების პირობებზე** არის ახლა საუბარი. როგორ იქნება — **არჩევნებამდე, არჩევნების შემდეგ.**

„იმედინიუსი“

# ბაიდენის სალომური



***წინა კვირას საქართველოს რეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ამერიკულ CBS NEWS-ის გადაცემა „60 წუთში“ ისეთი რამ განაცხადა, მგონი, ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს მართლა გვაძლევენ!***

მადამ „პღეზიდენტმა“ თქვა:

> ***„უკვე ხუთი წელია, პრეზიდენტი ვარ და ამ დროის განმავლობაში მე ვერ შევძელი საპრეზიდენტო დონის შეხვედრები — იქნებოდა ეს აშშ-ის პრეზიდენტთან თუ ვიცე-პრეზიდენტთან... სატელეფონო საუბარიც კი. მესმის, რომ არსებობს უფრო მწვავე გამოწვევები, მაგრამ, ვფიქრობ, მეტი საჯარო აღიარებაა საჭირო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას!“***

მოკლედ, იმ მოღალატეების მსგავსად, რომლებიც აქამდე ბრიუსელში, ევროსაბჭოში, სახელმწიფო დეპარტამენტსა თუ პენტაგონში ერთად და ცალ-ცალკე დაეთრეოდნენ და საქართველოს აგინებდნენ — **ქვეყანა კანდიდატის სტატუსს არ იმსახურებსო!** — როგორც ჩანს, **სალომე ზურაბიშვილმაც** გადმოატრიალა „პლასტინკა“ და სულ სხვა ხმაზე დაიწყო ჭიკჭიკი — **ბოლოს და ბოლოს, გაგვაგებინეთ, პრეზიდენტი ბაიდენი საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას მხარს უჭერს თუ არაო?**

ერთი სიტყვით, ქალი, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში **ბაიდენის სალომურის** ფუნქციას ასრულებდა და დანარჩენ მოღალატეებთან ერთად საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩართვას ლამობდა, ახლა ცდილობს, ქართულ ჰანგებზე აკვნესდეს და ნამდვილი **სალამურის** ფუნქცია დაიბრუნოს, მაგრამ **ელისტრაკო კილაძე** ან ეროვნული ბოზი **თინა მახარაძე** უფრო ადვილად აღდგებიან ქალწულობაში, ვიდრე **ბაიდენის სალომურისგან** ქართული სალამური გამოითლება!

საერთოდ მიგვაჩნია, რომ კანდიდატის სტატუსი საქართველოს უკანასკნელი წელიწად-ნახევრის განმავლობაში **სოკო კანდიდად** ექცა. მოგეხსენებათ, კანდიდა ხშირად კიბოში გადადის და სხვადასხვა ფორმა აქვს. ერთ-ერთი ასეთი გახლავთ **ვაგინალური კანდიდოზი,** რომელიც ქალებში — სასქესო ორგანოს ძლიერ ქავილს, წვას, ხოლო მოშარდვისა და სქესობრივი კონტაქტის დროს საშინელ ტკივილს იწვევს!

**პატივცემულო მკითხველო, ამ ყველაფრის შემდეგ და იმის გათვალისწინებით, რაც საქართველოს პარლამენტში ხდება, როგორ ფიქრობთ, ელენე ხოშტარიას, ხათუნა სამნიძეს, თამარ კორძაიას, ეკა ბიბაურს, თინათინ ბოკუჩავას, ანა ნაცვლიშვილს, ანი წითლიძესა და კიდევ სხვებს, ვისიც არ ითქმის სახელი, ვაგინალური კანდიდოზი ხომ არა აქვთ?**

როგორც ესენი კივიან და წივიან, როგორც ესენი იგინებიან და ბილწსიტყვაობენ, უეჭველია, რომ ყველას კანდიდა უტევს და ყველაფერი ეწვით და ექავებათ. ამიტომაა, რომ სოკო **კანდიდაზე** გაბრაზებულები და გაგიჟებულები, ღალატის გზას დაადგნენ და ქვეყნის **კანდიდატის** სტატუსის წინააღმდეგ იბრძვიან...

არ არის გამორიცხული, ვაგინალური **კანდიდოზი ჭიჭე ვაშაძესა და არმაზ ახვლედიანსაც** დაუდასტურდეთ!

როცა საქართველოში 2018 წელს პრეზიდენტს ვირჩევდით, ყველამ კარგად იცოდა, რომ საკაშვილის მიერ გაბახებულ და მოჯაყჯაყებულ სავარძელში ან **ულვაშიანი კაგებეშნიკი გრიგოლ ვაშაძე** უნდა ჩაგვებრძანებინა, ანდა — **პარიზელი ცერეუშნიცა სალომე ზურაბიშვილი,** რომლის შესახებაც მაშინდელი ოპოზიცია ამბობდა, რომ ეს ქალი იყო **„პუტინის აგენტი“, „სამშობლოს მტერი“, „ც...ქალა“** *(ცენზურა ჩვენია. რედ.)*, რომელმაც ნათელმირონის უწმინდესი ცნება შეურაცხყო და თავისი შვილის ნათლიას გაჰყვა ცოლად!

მოკლედ, **სალომე ზურაბიშვილის** შესახებ ასეთი უმძიმესი და შოკისმომგვრელი ბრალდებები გვესმოდა და ისიც კარგად ვიცოდით, თუ რა ბინძური ცილისწამების ჯარა დაატრიალა მან ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ **ჯანრი კაშიასთან** და ავადსახსენებელ **მერაბ მამარდაშვილთან** ერთად. მაგრამ იმის შიშით, რომ **გრიგოლ ვაშაძეს** მთელი საქართველოსთვის მიხეილ სააკაშვილის საწმერთული კიდევ ერთხელ თავზე არ ჩამოემხო და ქვეყნისთვის ღირსება არ შეელახა, ბიძინა ივანიშვილის დაძახილზე მთელი საქართველო ცერზე დადგა და საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში „ქართულმა ოცნებამ“ ზურაბიშვილს გაამარჯვებინა.

ერთი სიტყვით, **ოპოზიციის სალომური** მაშინ ასე კვნესოდა — **„სალომე კრემლის აგენტია და საქართველოს რუსეთისკენ მიაქანებს!“**

გამოხდა ხანი, ამერიკის პრეზიდენტი **დონალდ ტრამპი** დაამხეს და გლობალისტებმა და ერთნაირსქესიანთა ქორწინების აპოლოგეტებმა ხელისუფლებაში **ბაიდენი** მოიყვანეს. **პუტინი** უკრაინაში შევარდა თუ არა, **ზურაბიშვილი,** როგორც მოსალოდნელი იყო, მაშინვე **ბაიდენის სალომურად** იქცა და სულ სხვა ხმაზე აკვნესდა. კერძოდ, როგორც გვამცნეს, **სალომე ზურაბიშვილმა,** უკრაინაში ომის დაწყებიდან მესამე თუ მეოთხე დღეს, **შალვა პაპუაშვილი და ირაკლი კობახიძე** თავისთან იხმო და გამოუცხადა — **ხომ ხედავთ, პრეზიდენტი ზელენსკი მსოფლიო გმირია და თქვენც ასეთები უნდა გახდეთო!**

იმ დღიდან მოყოლებული, **სალომე ზურაბიშვილი** საქართველოს ომში ჩათრევას ლამობს და **ბაიდენის სალომურზე** გაუთავებლად უკრავს... თუმცა, ამ ბოლო დროს, როცა აშკარა გახდა, რომ უკრაინა განწირულია, ხოლო პალესტინაში ცოდვის ჯარა ტრიალებს და საქართველოსთვის არავის სცალია, **ზურაბიშვილი ბაიდენის სალომურიდან ქართულ სალამურზე** გადმოწყობას ცდილობს!

რამდენად გამოუვა ეგ ამბავი **რეზიდენტ ზურაბიშვილს,** ვერ გეტყვით!

რაც შეეხებათ დანარჩენ მოღალატეებს, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მათ ძალიან მწვავე და ქავილიანი სენი სჭირთ და სანამ ქექვა, ფხანა და ქავილი ექნებათ, მათი საშველი არ იქნება!



**არ არის გამორიცხული, ვაგინალური კანდიდოზი ჭიჭე ვაშაძესა და არმაზ ახვლედიანსაც დაუდასტურდეთ!**





***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ბერაია**
*პარლამენტარი*



**თეონა აქუბარდია** არაერთხელაა ნამყოფი ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაზე და როცა ჩვენი საკითხი გადიოდა, დარბაზში არ იყო — **„შოპინგზე“ იყო,** ან, მისივე სიტყვებით თუ ვიტყვით, **„პახმელიაზე“ ბალიშიდან თავის წამოწევა ეზარებოდა.**

„ინტერპრესნიუსი“

**თეონა აქუბარდია**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



იმას, რაც „კაცუნამ“, **ირაკლი ბერაიამ** იკადრა ჩემ წინააღმდეგ, პატარა კაცობაც აღარ ჰქვია — ამას, ალბათ, გაგრძელებაც მოჰყვება, მაგრამ **სუს-ს და „ოცნებას“ ვეტყვი, რომ მათი არ მეშინია და ვერ გამაჩუმებენ!**

„ინტერპრესნიუსი“

**ნიკა მელია**
*ნაციონალური მოძრაობის ყოფილი თავმჯდომარე*



კითხვა მაქვს ნაციონალურ მოძრაობასთან, განსაკუთრებით მამაკაც დეპუტატებთან: **როდესაც ოპოზიციონერ ქალ დეპუტატებს აყენებენ ენით აღუწერელ შეურაცხყოფას, რა ვალდებულება გაჩერებთ მანდ, მშვიდად და წყნარად როგორ ან რა მიზნით სხედხართ?** პარლამენტში თუ ხართ, ღირსება მაინც გამოავლინეთ რაიმე სიტუაციაში.

„რეზონანსი“

**ეკა სეფაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



როცა **პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა** სულისშემძვრელი განცხადებით დაიცვა **თეონა აქუბარდია, თეა წულუკიანი** არ იყო ქალი და პოლიტიკოსი? მაშინ რატომ არ გამოვიდა და არ დაიცვა **ქალი პოლიტიკოსის უფლებები?**

„იმედინიუსი“

## არნო ხიდირბეგიშვილი

# სალომე, სალომე, НЕТ КУСАЙ!



*მას შემდეგ, რაც საქართველოს პრეზიდენტისთვის იმპიჩმენტის გამოცხადება ვერ მოხერხდა, ხელისუფლებამ სცადა სააკაშვილის მიერ სალომე ზურაბიშვილის წარმომავლობის შესახებ შეთხზული ლეგენდის გაქარწყლება — თითქოსდა, ის ნიკო ნიკოლაძის შვილთაშვილია!*

**სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ თავის დროზე „ქართულ ოცნებასაც“ აწყობდა ეს ფეიკი ზურაბიშვილის პრეზიდენტად გასათრევად, დღეს კი აღმოჩნდა,** რომ გამოჩენილ ქართველ პუბლიცისტს, განმანათლებელსა და საზოგადო მოღვაწეს ქორწინებაგარეშე ურთიერთობა ჰქონდა პეტერბურგელ ვინმე **ანა მაკაროვასთან,** რომელმაც გააჩინა გოგონა **ნინო,** რომელიც ბავშვთა სახლს მიაბარეს. შემდგომში **ნინო მაკაროვა** მისთხოვდა **ივანე ზურაბიშვილს** და მათ შეეძინათ ვაჟი **ლევანი,** რომლის ქორწინებიდანაც ვინმე **ზეინაბ კედიასთან** ამ ქვეყანას მოევლინა საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტი.

ლუსტრაციით გაცოფებულმა **ზურაბიშვილმა** 30 ოქტომბერს, ამერიკულ „CBS“ არხთან ინტერვიუში განაცხადა, რომ **ძალიან ანერვიულებს საქართველოში მტრის ენაზე, ანუ რუსულად მოლაპარაკე ხალხი, რომელიც თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში და მის ხელში რომ იყოს აღმასრულებელი ხელისუფლება, რუსებს ქვეყანაში შემოსვლას აუკრძალავდა.**

**„ქაჯებთან მებრძოლ“ სალომეს,** როგორც ჩანს, დაავიწყდა, რომ საქართველო პირველად მხოლოდ 19 წლის წინ — 2004 წელს ნახა და მაშინაც — **არა გულის ძახილით, არამედ სააკაშვილის მოწვევით,** რომელმაც ის თბილისში ჩამოიყვანა, კონსტიტუციის დარღვევით საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა და საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნა.



**რუსები საქართველოში 220 წელია ცხოვრობენ, ზურაბიშვილი კი – 19, ვინ არის ამის შემდეგ ჩვენიანი და ვინ – უცხოტომელი?!**

ქართული ენისა და ისტორიის უცოდინარი **ზურაბიშვილი** არც კი ეჭვობს, რომ რუსები საქართველოში **1803 წლიდან** ცხოვრობენ — მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა, ანუ უკვე **220 წელია. მაშ, ვინ არის ამის შემდეგ უცხოტომელი და ვინ უნდა გრძნობდეს თავს საქართველოში ისე, როგორც საკუთარ სახლში — ზურაბიშვილი თუ რუსები?!**

მაგრამ საგულისხმოა, რომ **ნაცმენშევიკ ზურაბიშვილს** ანერვიულებენ არამარტო რუსები, არამედ ყველა, **ვინც საქართველოში რუსული იცის.** მაშასადამე, ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა, ქართველები და არაქართველები! **აი ისიც, ევროპული აღზრდა და განათლება, დასავლური დემოკრატიული ღირებულებები და სტანდარტები!** თუმცა, რა გასაკვირია?!

### განა საფრანგეთი არ შეხვდა ნაცისტებს ერთი გასროლის გარეშე, განა ჰიტლერის ჯარების მიერ ოკუპირებულ პარიზში ერთი რესტორანი, კაბარე, კინოთეატრი თუ კაზინო მაინც დაიკეტა, განა ფრანგები ნებაყოფლობით არ იბრძოდნენ ვერმახტის შემადგენლობაში?!

საინტერესოა, რას საქმიანობდნენ **ზურაბიშვილის** მშობლები, **როცა რუსეთის იმპერატორის მეფისნაცვალი კავკასიაში, გრაფი ვორონცოვი ტიფლისის კეთილმოწყობას უნდებოდა?** ვის მხარეზე იყვნენ მისი მენშევიკი მშობლები 1921 და 1941 წლებში, **როცა რუსები ქართველებთან ერთად გერმანელ ოკუპანტებს ებრძოდნენ?**

**ზურაბიშვილის** წინაპრებმა საქართველო ერთი საუკუნის წინ დატოვეს, ამიტომ სალომემ, **„სადაც არ უნდა გათხაროს“,** მაინც ვერ გაიგებს, როგორ უყვარდათ ქართველებს რუსები — **წესიერი, კეთილი და შრომისმოყვარე თანამოქალაქეები,** რომლებთან ერთადაც ორი საუკუნის განმავლობაში მეგობრულად იცხოვრეს და ერთსა და იმავე ეკლესიებში ლოცულობდნენ! **კუდაბზიკა მეშჩანი ზურაბიშვილი ცხვირს უბზუებს წინაპრების სამშობლოს, რომელმაც იგი არასგზით არ მიიღო, და სძულს ქართველი ხალხი, რომელიც მას იმავეთი პასუხობს, ამიტომ დროა, კორუმპირებული პრეზიდენტი-რეზიდენტი გადადგეს და შინ დაბრუნდეს, რათა საფრანგეთი ... ბაღლინჯოებისგან იხსნას!**

დიახ, **ბაღლინჯოები** უწინაც ესეოდნენ საფრანგეთს, მაგრამ ასეთი შემოსევა, როგორიც დღესაა, საფრანგეთს არ ახსოვს! **ბაღლინჯოები არიან ყველგან — მეტროსა და აეროპორტებში, მატარებლებსა და სახლებში, რესტორნებსა და დაწესებულებებში, თეთრეულში, რბილ ავეჯსა და ტანსაცმელში, საფრთხე ემუქრება მოდის კვირეულსა და 2024 წლის ზაფხულის ოლიმპიადას პარიზში!** თუმცა, რა გასაკვირია?! **განა ზურაბიშვილივით ყოყოჩი, ტილიანი ფრანგი თავადაზნაურობა თავს უმაღლეს კასტად არ მიიჩნევდა და ამიტომაც სძულდა ბანაობა — აქაოდა, დაე, ბინძურმა პლებეებმა დაიბანონ, ჩვენ კი ისედაც სუფთები ვართო?!** მეფე **ლუდოვიკო მე-14-მ,** რომელსაც ცოცხლად ჭამდნენ ტილები, თავის სიცოცხლეში სულ ორჯერ იბანავა! დღეს მსოფლიოს ყველა აეროპორტში საფრანგეთის მოქალაქეებს, დიპლომატებსაც კი, **ბაღლინჯოებზე** ამოწმებენ, **ლამის რჯულამდის ყვებიან!**

**შეამოწმეს კი მათ ამასწინათ პარიზიდან დაბრუნებული ზურაბიშვილი, სადაც ის საქართველოს მთავრობის ნებართვის გარეშე პრეზიდენტ მაკრონს შეხვდა?**




*არ გაიარა რამდენმამე ხანმა, როდესაც შევამცნიე, რომ ორი ვიღაცა კაცი წვერიანები და შტაცკურს ტანისამოსში მოდიოდნენ ჩემკენ. მე გაკვირვებით დავუწყე იმათ ცქერა, რადგანაც თუ მგზავრები იყვნენ, მაშინ იმათი გზა გაღმაზედ უნდა ყოფილიყო და იმ მხარეს ვერ მოხვდებოდნენ, საითკენაც მე ვიყავი. ისინი მოვიდნენ ახლოს და მოიმარჯვეს ჯოხები, რადგანაც ჩემი ბასარა ყეფით გაექანა იმათკენ, მაგრამ, რა მე დავუძახე ძაღლს. და ისიც კუდის ქნევით მოვიდა ჩემთან. უცნობებმა ღიმილი დაიწყეს და* ***დამტვრეულის რუსულის ენით*** *ლაპარაკი დამიწყეს:*

*— **Собак Собак... Нет кусай...***

*— **Нет кусай,** — ვუპასუხე მეც ამგვარადვე.*

*— Баран, баран... — დაიწყო ერთმა, ვეღარ გაათავა, რადგანაც რუსული არ იცოდა და მიუბრუნდა ამხანაგს* ***ფრანცუზულად:*** *— როგორ უნდა ვკითხო, მატყლს სადა ჰყიდიან?*

***ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობიდან „ნამწყემსარის მოგონებანი“***

## კვირგვინოსნები

**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



ჩემი ოჯახის წევრები არ ისმენენ ჩემი და ჩემი ოჯახის მიმართ შეურაცხყოფას? **აჭუბარდიას სინანული გინახავთ ამასთან დაკავშირებით?** თქვენთვის რომ ეკადრებინა, **„უღირსი“** ხარ, **„მოკლე ადამიანი“,** რას იზამდით?

რადიკალურ ოპოზიციაში **დიდი გლოვა და არეულობაა,** ერთმანეთს ასწრებენ, ვინ უფრო გულწრფელი აღმსარებელი იქნება, **წლების განმავლობაში დასავლეთში დადიოდნენ და ქვეყანას აშავებდნენ.**

„ინტერპრესნიუსი“

**ბაჩო ღოლიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



ისეთი ადამიანებია შეყრილი პარლამენტში, რომლებიც **კანკალებენ მანდატზე,** არ აინტერესებთ, კოლეგას ვინმე რაიმეს თუ ეტყვის — **რამდენი კაცი ჩანს? კაცი საერთოდ ჩანს?** რასაც ვუყურებ, ძირითადად, **ქალები აქტიურობენ.**

„პალიტრანიუსი“

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



რადიკალების ტელევიზიები ახლა რომ შეშფოთებულები არიან და **ბერაიას** სტატუსს-სტატუსზე უძღვნიან, **ნიკა გვარამია** პრეზიდენტს დედას რომ აგინებდა, მაშინ სად იყვნენ.

„პირველი არხი“

**გიორგი გუგავა**
*ლეიბორისტული პარტიის გენერალური მდივანი*



25 წელი რჩებოდნენ ხელისუფლებაში **ნაციონალები** და **წასვლაზე არ ფიქრობდნენ,** იმავეს ფიქრობდნენ მანამდე **შევარდნაძე** და მისი **„მოქკავშირი“.** ეს სენია ჩვენი ხელისუფლებებისა და ამათაც გადაედოთ.

„ალია“

# ბიზნესმენი თამაზ გელაშვილი აცხადებს, რომ საქართველოს გენერალურ პროკურატურაში გულდასმით არ უსმენენ!




*საქართველოს მეხუთე მოწვევის პარლამენტის ყოფილი წევრი **თამაზ გელაშვილი**, რომლის ოჯახსაც ავადსახსენებელი ზურაბ ადეიშვილის ღამის ნოტარიუსმა ნუნუ გინტურმა 9 მილიონი ამერიკული დოლარის ქონება დანაშაულებრივი გზით წაჰგლიჯა, საზოგადოებას კიდევ ერთხელ მიმართავს და აცხადებს, რომ ქვეყნის მთელი ენერგოსისტემა სინამდვილეში ადეიშვილისა და სააკაშვილის ხელშია, რომლებსაც მიტაცებული ჰესები და სხვა ენერგოობიექტები სწორედ ნუნუ გინტურმა გადაუფორმა:*

## თამაზ გელაშვილი:

## ნაცებმა სამჯერ რომ „გამაკულაკეს“, ჩითახევჰესი კახა ბენდუქიძის დაზე სწორედ ნუნუ გინტურის მეშვეობით გადამაფორმებინეს!

— მას შემდეგ, რაც 2023 წლის 13 ოქტომბერს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში ადეიშვილის ღამის ნოტარიუსის **ნუნუ გინტურის** წინააღმდეგ განცხადება შევიტანე, ზუსტად ერთი კვირის შემდეგ, 2023 წლის 20 ოქტომბერს, ქალაქ თბილისის პროკურატურაში დამიბარეს და 7 საათის განმავლობაში მკითხავდნენ. პროკურატურის გამომძიებელ **ნიკა ბიბვავას**, რომელიც ახალგაზრდა ბიჭია, დეტალურად მოვუთხრე **ნუნუ გინტურისა** და მისი ამფსონების თაღლითური, დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ... მას ვუთხარი, რომ გინტურის მაზლიშვილმა **ზაზა მაღლაფერიძემ**, რომელიც ერთი ბინის თაღლითური გზით მითვისების გამო დაიჭირეს, ხუთი წელი მიუსაჯეს და გინტურმა ორ წელიწადნახევარში გამოაშვებინა, ბაკურიანში, ჩემს ობიექტზე, 16 ბინა თაღლითურად მიითვისა და აქედან 14 ბინა ერთსა და იმავე დღეს **ნუნუ გინტურის** უფროსი ბიჭის ცოლსა და სიმამრზე გადააფორმა.

აი, ამას და ამის მსგავს დანაშაულებზე ვუყვებოდი გამომძიებელ **ნიკა ბიბვავას**, ვეუბნებოდი, რომ ამ ყველაფრის გამკეთებელი თაღლითი **ზაზა მაღლაფერიძე**, რომელიც **ნუნუ გინტურის** ინსტრუქციებით მოქმედებს, დღესაც გარეთ არის და კაცმა არ იცის, კიდევ ვის რას დაუშავებს-მეთქი, მაგრამ **არ აინტერესებთ!**

**უკვე ვატყობ, რომ ესენი, ალბათ, ამ საქმესაც ჩაფარცხავენ, როგორც აქამდე შვრებოდნენ და გინტურს გარეთ გამოუშვებენ!**

**— რატომ ფიქრობთ, რომ პროკურატურა ნუნუ გინტურის გასათავისუფლებლად ემზადება?**

— **გინტურს** მხოლოდ ჩემთან ერთად სამ ობიექტზე ჰქონდა მშენებლობა — ვანის ქუჩაზე, გოგებაშვილის ქუჩაზე და ბაკურიანში — დიდველზე... ვუთხარი პროკურატურის გამომძიებელს, რომ მხოლოდ გოგებაშვილზე, რომლის მშენებლობაც 2008 წლის იანვარში უნდა დასრულებულიყო და დღემდე არ არის დამთავრებული, გინტურმა და მისმა ბანდამ 37 კაცი „გადააგდეს“... ანალოგიური სიტუაციაა თითქმის ყველგან.

**ათჯერ მაინც გავუმეორე პროკურატურის გამომძიებელ ნიკა ბიბვავას, რომ ნებისმიერ დროს მზად ვიყავი და ახლაც მზად ვარ, მივუტანო დოკუმენტაცია, რომელიც ნუნუ გინტურისა და მისი ბანდის თაღლითობას ამხელს, მაგრამ არავითარი დაინტერესება! ხომ ეტყობა სიტუაციას, არა?** ეგ კი არა, იმ გამომძიებელ ბიჭს ისიც კი ვუთხარი, რომ ნუნუ გინტურმა სააკაშვილის პოლიციის ერთ-ერთ მაღალჩინოსანს ერთი ბინა, ფაქტობრივად, აჩუქა, რათა პოლიციიდანაც მხარდაჭერა ჰქონოდა და იმ ჩინოვნიკს კვადრატულ მეტრში 80 დოლარი გადაახდევინა, როცა საბაზრო ფასი 800 დოლარიდან 1000 დილარამდე მერყეობდა, მაგრამ **გამომძიებელი არც ამ ფაქტით დაინტერესდა!** მოკლედ, მხარდაჭერა ამ გაფუჭებული ქალის მიმართ აშკარად იგრძნობა. ყოველ შემთხვევაში, ამას ვგრძნობ!

**— ვინ არის თქვენი საქმის პროკურორი და რა ნომერი აქვს თქვენს განცხადებას, რომელიც გენერალურ პროკურატურაში 2023 წლის 13 ოქტომბერს შეიტანეთ?**

— საქმის პროკურორი არის **მარი მეშველიანი**, ხოლო განცხადების ნომერია **№01/13-101015.** საქმე გენერალურმა პროკურატურამ ქალაქის პროკურატურაში გადაიტანა, რადგან მათი განმარტებით, **ნუნუ გინტური** სწორედ ქალაქის პროკურატურამ დააპატიმრა.

**— თქვენ ისე ლაპარაკობთ, რომ ამ საქმის პერსპექტივას ვერ ხედავთ და დარწმუნებული ხართ, რომ ნუნუ გინტურს ისევ გამოუშვებენ?**

— დიახ, **ვერ ვხედავ პერსპექტივას, რადგან ნუნუ გინტურს ნოტარიუსის ლიცენზია როცა ჩამოართვეს, უამრავი საჩივარი იყო მის წინააღმდეგ შესული სასამართლოსა თუ პროკურატურაში, მაგრამ ყველაზე სუსტი საქმე განზეგ ამოარჩიეს, გინტური გაამართლეს და ნოტარიუსის ლიცენზიაც უზენაესი სასამართლოს ძალით დაუბრუნეს.** როგორ ფიქრობთ, ასეთი რამ შემთხვევით ხდება?

**— ანუ პროკურატურის გამომძიებლებს რომ ეუბნებით, გინტურის წინააღმდეგ მაკომპრომეტირებელ და მამხილებელ დოკუმენტებს წარმოგიდგენთ-თქო, არ ინტერესდებიან?**

— არ ინტერესდებიან!

**ამ დღეებში ვაპირებ, ხელმეორედ მივმართო გენერალურ პროკურატურას და განცხადებას თან დავურთო ყველა ის მასალა**



სააკაშვილ-ადეიშვილის ღამის ნოტარიუსი ნუნუ გინტური





# მივმართავთ გენერალურ პროკურატურას - ამ საქმის ასავალ-დასავალი ქართველმა ერმა უნდა იცოდეს!

ჩვენ ამ საქმეს ყურადღებით ვაკვირდებით და იმედს ვიტოვებთ, თაღლით ნუნუ გინტურს პროკურატურაში თვალის პაჭუნს არ დაუწყებენ!

პროკურატურაში უკვე იკვეთება ადეიშვილის ღამის ნოტარიუს გინტურისათვის ხელის დაფარებისა და მის წინააღმდეგ არსებული ფაქტების მიფუჩეჩების ტენდენცია!

«ასავალ-დასავალის» შეუპოვარმა ბრძოლამ შედეგი კვლავ გამოიღო: ადეიშვილის ღამის ნოტარიუსი გინტური დააპატიმრებულია!

„ასავალ-დასავალი“. 2023 წლის №47

„ასავალ-დასავალი“. 2023 წლის №45

ფრთხილად, გინტური!

გინტურს ვენდე და დავილუპე კიდეც!

და დოკუმენტი, რომელიც ნუნუ გინტურის დანაშაულებრივ საქმიანობას ადასტურებს. პროკურატურის გამომძიებლები დაკითხვის დროს ამ მასალებით არ დაინტერესდნენ და იქნებ ასე მაინც წაიკითხონ და გამოიკვლიონ რამე.

**— საინტერესოა, ნუნუ გინტურის ადვოკატები თუ გიკავშირდებიან!**

— არა! თუმცა, ერთი ყოფილი ადვოკატი ქალი მოვიდა ჩემთან და მითხრა — **ქალია და აპატიეო!** მე ვუთხარი — **ნუნუ გინტური ქალი კი არა, ქაჯია-მეთქი!** — აპატიე, შეუნდე და ღმერთი მოგხედავსო! — **ქალო, ამ მართლაცდა ქაჯმა 9 მილიონი დოლარი შემიჭამა, „მშრალზე“ დამტოვა და რა უნდა ვაპატიო-მეთქი!** ნაცებმა სამჯერ რომ „გამაკულაკეს“, ჩითახევჰესი **კახა ბენდუქიძის** დაზე სწორედ ნუნუ გინტურის მეშვეობით გადამაფორმებინეს. სწორედ იქიდან ჩამიჭირა მაგ ნაძირალა ქალმა და ერთობლივი სამშენებლო ბიზნესი შემომთავაზა...

**— ნუნუ გინტურთან ვინ გაგაგზავნათ?**

— სააკაშვილის პროკურატურამ!

**— ჩითახევჰესი ისევ ბენდუქიძის დას ეკუთვნის?**

— არა, მაგათ ჩითახევჰესი „ენერგო-პროს“ მიჰყიდეს, ხოლო **„ენერგო-პროს“ უკან სააკაშვილი და ადეიშვილი დგანან!** ეგ კი არა, **მდინარე რიონის აუზის ჰესები, რომლებიც, საერთო ჯამში, სიმძლავრით ენგურჰესზე მეტია, სააკაშვილისა და ადეიშვილის საკუთრებაშია!**

**— დღესაც?**

— **დიახ, დღესაც მაგათია!** მოსახლეობას ჰგონია, რომ **„ენერგო-პრო“ ვითომ ჩეხური კომპანიაა,** არადა, სინამდვილეში **სააკაშვილისა და ადეიშვილისაა!** რიონის აუზში არსებული ჰესები სააკაშვილმა და ადეიშვილმა მეათედ ფასად ჩაიგდეს ხელში და თან იმ ფულით, რომელსაც ეს ჰესები გამოიმუშავებდნენ. **მთელი ეს მაქინაციები, ეს ჰესები და უზარმაზარი ქონებები სააკაშვილს, ადეიშვილსა და დანარჩენ ნაცებს სწორედ ნუნუ გინტურმა გადაუფორმა, ამიტომაც ხელს აფარებენ!**

მოხდა ასეთი ფაქტი: ერთ-ერთმა პიროვნებამ, რომელსაც ნაცებმა ჰესი წაართვეს, ძალიან სერიოზულ ხალხთან ერთად უკრაინაში **დავით ბეჟუაშვილს** ჩააკითხა. ცნობისათვის, ნიკოლაევის პორტი ბეჟუაშვილის საკუთრებაა... იმ პიროვნებამ **დავით ბეჟუაშვილს** უთხრა — **ჩემი ჰესი დააბრუნეო!** ბეჟუაშვილმა იმ კაცს უპასუხა — **თქვენ გგონიათ, ჰესი ჩემია? ჰესი სააკაშვილისა და ადეიშვილის საკუთრებაა. ორივე უკრაინაშია, წადით, ნახეთ, დამირეკონ და ჰესი მაშინვე წაიღეთო!**

რიონის აუზის ჰესები სააკაშვილმა და ადეიშვილმა რამდენიმე დღის შექმნილ კომპანიას მიჰყიდეს, რომლის საწესდებო კაპიტალიც 2 ათასი ლარი იყო. აი, ამ მაქინაციებში სწორედ ნუნუ გინტურია გარეული, ის აფორმებდა ამ დოკუმენტაციებს და ამიტომაც აქვს ერთხელ ჩემთვის ნათქვამი — **ნაცებმა მე რა უნდა დამაკლონ, თუ რამ ქონება მიიტაცეს და ვინმეს წაართვეს, ყველაფერი ჩემი გაფორმებულიაო!**

**— გამოდის, რომ სწორედ ეს არის მიზეზი, რის გამოც სააკაშვილის ჩანერგილები, სასამართლოში იქნება თუ პროკურატურაში, ნუნუ გინტურის დასახსნელად ყოველ ღონეს ხმარობენ.**

— სააკაშვილმა ე.წ. „არმიის განვითარების ფონდში“ 400 ათასი დოლარი ძალით შემატანინა... დღევანდელი ხელისუფლების პირობებში, სამართლიანობის აღდგენის მიზნით, გენერალურ პროკურატურას რომ მივმართე, პროკურორმა მითხრა — **დაზარალებული არ ხართო!**

— აბა, ვინ ვარ-მეთქი? — ვკითხე.

— **იქნებ შენ ერთი კაცივით ქველმოქმედებას ეწეოდიო!**

— ვაი, შენს პატრონს-მეთქი!.. წამომეჭიმა და თავის კაბინეტში მუშტი-კრივის გამართვას აპირებდა... აი, ამიტომაც ვამბობ, რომ

**ნუნუ გინტური ამათი არღნის ჩიტია და, მისი დაკავების მიუხედავად, დიდად არაფრის იმედი მაქვს!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

## „მდინარე რიონის აუზის ჰესები, რომლებიც, საერთო ჯამში, სიმძლავრით ენგურჰესზე მეტია, სააკაშვილისა და ადეიშვილის საკუთრებაშია!“





**„ერთმა პიროვნებამ დავით ბეჟუაშვილს უთხრა — ჩემი ჰესი დააბრუნეო! ბეჟუაშვილმა იმ კაცს უპასუხა — თქვენ გგონიათ, ჰესი ჩემია? ჰესი სააკაშვილისა და ადეიშვილის საკუთრებაა. ორივე უკრაინაშია, წადით, ნახეთ, დამირეკონ და ჰესი მაშინვე წაიღეთო!“**

*ერთი მხრივ, სასაცილოა და, მეორე მხრივ, სატირალიც არის ნაცსექტისა და მასთან დაკავშირებული ჯგუფების ისტერიკა იმის გამო, რომ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა და საქართველოს ვიცე-პრემიერმა ლევან დავითაშვილმა ერთსა და იმავე საერთაშორისო ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა.*

# ნურას შნაცრავად!



საქართველოს ვიცე-პრემიერი ლევან დავითაშვილი პეკინში, საერთაშორისო ფორუმის ეგიდით გამართულ ბანკეტზე

## ნაცშპანას სურდა, საქართველოს ვიცე-პრემიერს პეკინში, 130 ქვეყნის ლიდერთა თვალწინ, „ხუილოს“ ყვირილი აეტეხა!

საქმე ეხება 2023 წლის 28 ოქტომბერს ჩინეთის დედაქალაქ პეკინში გამართულ ფორუმს „ერთი სარტყელი, ერთი გზა“, რომელშიც მსოფლიოს 130 სახელმწიფოს წარმომადგენელი მონაწილეობდა.

ჩინეთში 130 ქვეყნიდან ჩასულ პოლიტიკურ ლიდერებს შორის **რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინიც** იყო.

ჩინეთში 130 ქვეყნიდან ჩასულ პოლიტიკურ ლიდერებს შორის გახლდათ **საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, ვიცე-პრემიერი ლევან დავითაშვილიც.**

**საქართველოს ვიცე-პრემიერი ლევან დავითაშვილი** ისევე, როგორც სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლები, პეკინში **ჩინეთის პრეზიდენტ სი ძინპინის** მიწვევით ჩავიდა.

ნაცოპოზიციად წოდებულ „მეხუთე კოლონასა“ და მის სამსახურში დამაშვრალ ტელეარხებს, ცხადია, არაფერი უთქვამთ იმის შესახებ, **თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საქართველოსათვის ჩინეთის მიერ ინიცირებული გლობალური ინფრასტრუქტურისა და ენერგეტიკული ქსელების გიგანტური პროექტი — „ერთი სარტყელი, ერთი გზა“** — რომელიც აზიის, აფრიკისა და ევროპის კონტინენტებს შორის სახმელეთო და საზღვაო მარშრუტების განვითარებას გულისხმობს!

**ნაცოპოზიციად წოდებულ „მეხუთე კოლონასა“ და მის სამსახურში დამაშვრალ ტელეარხებს** არც იმაზე გაუმახვილებიათ ყურადღება, რომ საქართველო უზარმაზარი გლობალური პროექტის ერთ-ერთი საკვანძო რგოლია, რომელმაც **„შუა დერეფნის“** ფუნქცია უნდა შეასრულოს და ამით არამხოლოდ ეკონომიკური სარგებელი ნახოს, არამედ მშვიდობის, სტაბილურობისა და სახელმწიფო უსაფრთხოების მყარი გარანტიები მოიპოვოს!

ნაცოპოზიციად წოდებულ **„მეხუთე კოლონასა“ და მის სამსახურში დამაშვრალ ტელეარხებს** არც იმის თაობაზე დასცდენიათ სიტყვა, რომ **ჩინეთის პრეზიდენტის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო ფორუმზე ქართული სახელმწიფოს წარმომადგენლის მიწვევა საქართველოს გეოპოლიტიკურ როლსა და მნიშვნელობას უსვამს ხაზს!**

**ნაცოპოზიციად წოდებული „მეხუთე კოლონა“ და მის სამსახურში დამაშვრალი ტელეარხები** მხოლოდ იმაზე აყვირდნენ, რომ ჩინეთში გამართულ საერთაშორისო ფორუმს საქართველოს ვიცე-პრემიერი რუსეთის პრეზიდენტთან ერთად დაესწრო!

**არიქა, ლევან დავითაშვილი** 11 წუთის განმავლობაში უსმენდა საქართველოს უპირველესი მტრისა და ჰააგის სასამართლოს მიერ ძებნილი **პუტინის** გამოსვლასო!

**არიქა, ლევან დავითაშვილი** საერთაშორისო ფორუმის ეგიდით გამართულ ბანკეტზე საქართველოს უპირველესი მტრისა და ჰააგის სასამართლოს მიერ ძებნილი პუტინის შორიახლოს იჯდაო!

**არიქა, ლევან დავითაშვილმა** პოლიტიკური დემარში არ მოაწყო და პროტესტის ნიშნად არ დატოვა ღონისძიება, რომელსაც **პუტინი** ესწრებოდაო!

**ლევან დავითაშვილის** ეს საქციელი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოს პრორუსული ხელისუფლება ჰყავსო!

ჰო, ამისთანა რამეებს გაჰკივიან ნაცნი, ნაცმიდრეკილნი და მათი პოლიტიკური ჭაობის ბაიყუშნი — დროის უკუღმართობით ჟურნალისტებად წოდებულნი!

**თურმე, საქართველოს ვიცე-პრემიერს 130 სახელმწიფოს ლიდერთა წინაშე ტლინკები უნდა ეყარა** — რადგან პუტინი დაგიპატიჟებიათ, მე თქვენთან გამჩერებელი არ ვარო!

**თურმე, საქართველოს ვიცე-პრემიერს, თავისი საქციელით,** 130 სახელმწიფოს ლიდერთათვის უნდა ეთქვა ან მიენიშნებინა მაინც — უპრინციპო და უთავმოყვარეო ხალხი ხართ, რადგან საერთაშორისო ფორუმში ჰააგის სასამართლოს მიერ ძებნილ პუტინთან ერთად მონაწილეობთ, მე კი ამას არ გავაკეთებ, რადგან თქვენ შორის ერთადერთი პრინციპული და თავმოყვარე პოლიტიკოსი ვარო!

**თურმე, საქართველოს ვიცე-პრემიერს, თავისი საქციელით,** ჩინეთის პრეზიდენტისათვის თავზე უნდა გადაეხია ის მოსაწვევი, საერთაშორისო ფორუმზე დასასწრებად რომ გამოუგზავნა!

მერე რა, რომ ლევან დავითაშვილის დემარში, როგორც მინიმუმ, არასერიოზულ გამოხტომად იქნებოდა აღქმული პეკინში შეკრებილ პოლიტიკურ ლიდერთა თვალში, ბევრი მათგანი კი საქართველოს ვიცე-პრემიერის საქციელით, შესაძლოა, შეურაცხყოფილიც დარჩენილიყო!

მერე რა, რომ საქართველოს ვიცე-პრემიერის დემარში რუსეთის პრეზიდენტს არავითარ უხერხულობას არ შეუქმნიდა, რადგან პუტინს ძალიან დიდი ხანია, ასეთი რამეები იმ ორგანოზე ჰკიდია, რომლითაც სააკაშვილს უპირებდა დაკიდებას!

მერე რა, რომ საქართველოს ვიცე-პრემიერის დემარში უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდებდა და გულზე მწარედ მოხვდებოდა ფორუმის მასპინძელს —




## ლევან დავითაშვილი მოიქცა ისე, როგორც უნდა მოქცეულიყო საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინაშე პასუხისმგებელი პოლიტიკოსი და არა ისე, როგორც მოიქცეოდა რომელიმე ჭინჭყლი ნაცპროვოკატორი, მაგალითად, ლევან ხაბეიშვილი!

### კვირგვინოსნები



**ლევან დავითაშვილი**
*ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი*

ჩვენი მმართველობის პერიოდი ერთადერთია, როდესაც **საქართველოს ოკუპანტის მიმართ არაფერი დაუთმია.**

„ინტერპრესნიუსი“



**ნანა კაკაბაძე**
*„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ დამფუძნებელი*

საქართველოს არაკეთილმოსურნენი იხრებიან იმ აზრისკენ, რომ **ამ ეტაპზე ოპოზიციისთვის ჯობია სტატუსზე უარის მიღება,** რათა ეს ყველაფერი ხელისუფლების **„პრორუსულობის“** დასამტკიცებლად გამოიყენონ, **ხალხი ააჯანყონ და ხელისუფლება ძალადობრივი მეთოდებით შეცვალონ,** რასაც შემდეგ **„დემოკრატიულ“, „უსისხლო“, „მშვიდობიან“, „ფერად“, „ყვავილოვან“** ან ნებისმიერ სხვა ლამაზხმოვან **რევოლუციას დაარქმევენ.**

„იმედინიუსი“



**ზურაბ ქადაგიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*

**უნდა მოგვანიჭონ სტატუსი,** უნდა გვაღიარონ ყველაზე წარმატებულ სახელმწიფოდ, რადგან **არც ცალ ფეხზე ხტომით მიგვიღია „ბენეფიტები“ და არც ვილაცის დაკრულზე ვაპირებთ გავლას!**

„იმედინიუსი“



**გიორგი გოზალიშვილი**
*ანალიტიკოსი*

რუსეთი ვერ იქნება ჩვენი **სტრატეგიული პარტნიორი,** ვიდრე ჩვენი რეგიონები აქვს **ოკუპირებული,** არ გამოვა!

„კვირის პალიტრა“



**გიორგი თავდგირიძე**
*სამხედრო ექსპერტი*

**რუსეთი და ჩინეთი შეეცდებიან კიდევ ერთი ევროპული რეგიონის აფეთქებას.** შესაძლოა, ეს მოხდეს **ბალკანეთში** ან სხვაგან.

„ალია“




ჩინეთის პრეზიდენტ სი ძინპინს, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პოლიტიკოსია!

**მერე რა, რომ ლევან დავითაშვილის დემარში რუსეთ-საქართველოს ისედაც მწვავე ურთიერთობას კიდევ უფრო დაძაბავდა და ქვეყანას ახალი საფრთხეების წინაშე დააყენებდა!**

**მერე რა, რომ ლევან დავითაშვილის საქციელი გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებდა საქართველოსა და ჩინეთის ურთიერთობას, რომელიც ცოტა ხნის წინათ სტრატეგიული პარტნიორობის სიმაღლეზე ავიდა!**

ნაცოპოზიციად წოდებულ **„მეხუთე კოლონასაც“** ხომ სწორედ ეს უნდა!

**ნაცოპოზიციად წოდებული შინაური მტრები** ხომ სწორედ იმას მეცადინეობენ, საქართველოს ინტერესები რაც შეიძლება მეტად დაზიანდეს და ქართულ სახელმწიფოს რაც შეიძლება მეტი პრობლემა შეექმნას!

**ნაცოპოზიციად წოდებული პროვოკატორები** ხომ მხოლოდ ნეგატივში, მხოლოდ უბედურებაში, მხოლოდ ქაოსსა და დესტაბილიზაციაში ხედავენ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შანსს!

ჰოდა, ამიტომაც სურდათ, **ლევან დავითაშვილი** ქართული სახელმწიფოს კი არა, ნაცშპანის წარმომადგენელივით მოქცეულიყო და პეკინში, 130 სახელმწიფოს ლიდერთა თვალწინ, **„ხუილოს“** ყვირილი აეტეხა!

**უნდოდათ, საქართველოს ვიცე-პრემიერს საქართველო საერთაშორისო დიპლომატიურ სკანდალში გაეხვია!**

**ოცნებობდნენ, საქართველოს ვიცე-პრემიერს საქართველო საერთაშორისო დონეზე გონიერ და პრაგმატულ სახელმწიფოდ კი არა, თავცხელი პროვოკატორებისა და შლეგიანი პოპულისტების ქვეყნად წარმოეჩინა!**

მაგრამ — **ნურას უკაცრავად, მეხუთეკოლონელებო!**

მაგრამ — **ნურას უნაცრავად, ნაცებო!**

ლევან დავითაშვილი მოიქცა ისე, როგორც ქართული სახელმწიფოს წარმომადგენელს შეეფერება!

**ლევან დავითაშვილი მოიქცა ისე, როგორც უნდა მოქცეულიყო საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინაშე პასუხისმგებელი პოლიტიკოსი და არა ისე, როგორც მოიქცეოდა რომელიმე ჭინჭყული ნაცპროვოკატორი, მაგალითად, ლევან ხაბეიშვილი!**




ამიტომაც არის **ლევან დავითაშვილი** საქართველოს **ვიცე-პრემიერი,** ხოლო **ლევან ხაბეიშვილი — ნაცსექტის თავმჯდომარე!**

მადლობა ღმერთს, ამ მხრივ ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს!

***ჯაბა ხუბუა***





**„ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, თანამშრომლობს თუ არა ამ ძალებთან პუტინი, მაგრამ ის ფაქტი, რომ რუსეთმა გაუძლო სანქციებს და იქით დააზარალა ნეოლიბერალთა მიერ მართული ქვეყნები, ბევრ რამეზე მეტყველებს!“**

## ლევან ადეიშვილი:

# სიონიზმი და ფაშიზმი ერთმანეთის მსგავსი მოძღვრებებია!




***პოლიტოლოგი და ანალიტიკოსი ლევან ადეიშვილი პალესტინაში ებრაელებსა და არაბებს შორის ატეხილ სისხლისმღვრელ ომს ეხმიანება და იმ ბნელი ძალების ფარულ გეგმებზე საუბრობს, რომლებიც სიონისტურ და თალმუდისტურ წრეებთან არიან დაკავშირებული:***

— თავიდანვე უნდა ვაღიაროთ, რომ **სიონიზმი და ფაშიზმი** ერთმანეთის მსგავსი მოძღვრებებია... გერმანული ფაშიზმი და რასისტული თეორია დაეყრდნო შემდეგ პოსტულატებს: **გერმანული არიული რასის უპირატესობას, დაჩაგრულობას, მტრის ხატის შექმნას, იდეოლოგიას, დაპირებას და „მაინ კამპფს“...** მართლაც, თუ კარგად შევხედავთ, არიული რასის უპირატესობის დასამტკიცებლად გერმანელმა ფაშისტებმა მოიხმეს დიდი გერმანელი მწერლები, ფილოსოფოსები და მოაზროვნეები. თავიანთი დაჩაგრულობა იმით დაასაბუთეს, რომ **1919 წლის 28 ივნისის ვერსალის ზავით** გერ-

***გაგრძელება მე-14 გვერდზე***




**„გერმანული ფაშიზმი და რასისტული თეორია დაეყრდნო შემდეგ პოსტულატებს: გერმანული არიული რასის უპირატესობას, დაჩაგრულობას, მტრის ხატის შექმნას, იდეოლოგიას, დაპირებას და „მაინ კამპფს!“**

## კვირგვინოსნები

**რამაზ საყვარელიძე**
*პოლიტოლოგი*



**სტატუსს მოგვცემენ** და ამას ამომრჩეველი **„ოცნებას“ დაუფასებს.**

„ახალი თაობა“

**თორნიკე შარაშენიძე**
*ანალიტიკოსი*



ყველამ ვიცით, რომ **ოპოზიციას არჩევნებში გამარჯვების არანაირი შანსი არა აქვს.**

„ახალი თაობა“

**ხათუნა ლაგაზიძე**
*ექსპერტი*



მსოფლიო წესრიგმა თავი ამოწურა, **გაერო სრულიად კასტრირებული ორგანიზაციაა.**

„კვირის პალიტრა“

**მიხეილ დაუშვილი**
*პარტია „საქართველოსთვის“ წევრი*



ჩათვალეთ, **სტატუსი მიღებული გვაქვს,** ჩვენი მეგობრები **რუსეთის წინაშე მარტო არ დაგვტოვებენ.**

„პირველი არხი“



# ლევან ადეიშვილი: მიზანი და ამოცანა ერთია – უკრაინაში გაყოფილ მიწებზე ახალი ისრაელი უნდა აშენდეს!



უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი და ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ

## „2 ათასი წლის წინათ „დაკარგული მიწების“ მოთხოვნა სხვა მიწადაკარგულმა ხალხებმაც თუ დაიწყეს, ეს სად მიიყვანს მსოფლიოს?“

დასაწყისი მე-13 გვერდზე

მანია მართლაცდა დაამცირეს და ამოდენა ქვეყანას, ფაქტობრივად, „თავში ჩაარტყეს“. **ფაშისტებმა „მტრის ხატიც“ ადვილად შექმნეს და ხელი მაშინვე ებრაელებისკენ გაიშვირეს, რადგან ებრაელები გერმანიაში, ფაქტობრივად, მთელ საფინანსო და საკრედიტო სფეროს აკონტროლებდნენ და ქვეყნის ეკონომიკას მართავდნენ.** ფაშისტებმა ყველას და ყველაფრის იდეოლოგიზებით მიაღწიეს იმას, რომ თაობები მოწამლეს და სხვა ერებისა და განსაკუთრებით ებრაელების მიმართ გერმანელ ბავშვებსაც კი ზიზღი ჩაუნერგეს. რაც შეეხება დაპირებას, **ჰიტლერი და გებელსი** გერმანელებს ჰპირდებოდნენ, რომ დანარჩენი მსოფლიო, რომელსაც დაიპყრობდნენ, სწორედ გერმანელებს მოემსახურებოდა, ხოლო თუ რას წარმოადგენდა ფაშისტებისთვის **ადოლფ ჰიტლერის** ნაბოდვარი — **„მაინ კამპფი“,** ანუ **„ჩემი ბრძოლა“,** ამის შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, მაგრამ მხოლოდ ერთს ვიტყვით — **რასისტებმა ამ წიგნს იმთავითვე „წმინდა წიგნის“ ფუნქცია შესძინეს!**

**— თქვენ გულწრფელად ფიქრობთ, რომ სიონიზმიც ამ ნიშნებს ატარებს?**

— აბსოლუტურად! **თანამედროვე სიონიზმი, როგორც აგრესიული პოლიტიკური და რელიგიური მოძღვრება, ჰიტლერული ფაშიზმის მსგავსად, ეფუძნება ზუსტად ანალოგიურ პოსტულატებს — უპირატესობის რწმენას, დაჩაგრულობას, მტრის ხატის დასახვას, იდეოლოგიას, დაპირებასა და საკრალურ წიგნს — თალმუდს!**

**— დაასაბუთეთ, რომ ეს ასეა!**

— სიონისტები ქადაგებენ, რომ მსოფლიოში ყველაზე მეტი ნობელის პრემიის ლაურეატი, ფილოსოფიის, ხელოვნების, ტექნიკური სფეროს წარმომადგენელი და, რაც მთავარია, მილიარდერი, სწორედ ებრაელია. მათი აზრით, ეს ყველაფერი იმის აშკარა დასტურია, რომ ისინი სხვა ერებზე გონებრივი შესაძლებლობებით მაღლა დგანან. სიონისტები ამტკიცებენ, რომ **ქანაანიდან** აყრისა და **ჰოლოკოსტის** გამო ებრაელები ყველაზე უფრო ჩაგრულნი არიან. სიონისტებისა და განსაკუთრებით თალმუდისტების აზრით, მთელი მსოფლიო, მათ შორის, განსაკუთრებით ქრისტიანები და მუსლიმები, არიან მათი მტრები.

**სიონისტები „ასაბუთებენ“ სემიტური რასის უპირატესობას, ღვთის რჩეულობას და ამ იდეოლოგიით მოწამლეს ყველა ფენა, მათ შორის, ბავშვებიც. სიონისტები ხალხს ჰპირდებიან, რომ ისინი იბატონებენ მსოფლიოზე და „გოები“, ანუ სხვა ერები მათ მოემსახურებიან.**

რაც შეეხება წიგნს, ანუ **თალმუდს,** როგორც **„მაინ კამპფს“,** ისე თალმუდის ძირი არის ცოდვა — ამპარტავნობა და მასზე ამოსული უპირატესობის შეგრძნება, რომელმაც ანგელოზი ეშმაკად აქცია.

**— კი მაგრამ, პალესტინა ხომ ებრაელების მიწაა, ხოლო ებრაელები იქ ისტორიულად ცხოვრობდნენ...**

— დიახ, ებრაელები ამ მიწაზე ისტორიულად ცხოვრობდნენ, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ **ქანაანში** ებრაელთა ტომი მესოპოტამიის ქალაქ **ურიდან** გადმოვიდა და იქ დასახლდა. **როგორ ფიქრობთ, ამ მიწაზე მათ გადმოსვლამდე არავინ ცხოვრობდა და სუფთა აბორიგენია ქანაანში ებრაელობა?** დავუშვათ, ასეა, მაშინ ამავე ლოგიკით ამერიკის შეერთებულ შტატებში ევროპელებსა და აფრიკელებს არაფერი ესაქმებათ და მათ ეს ტერიტორია უნდა დატოვონ, რადგან ეს იმ **ინდიელთა მიწაა,** რომლებიც უმოწყალოდ გაჟლიტეს და მათ ძვლებზე მსოფლიო იმპერია ააშენეს. თუ ასე გავყვებით, ევროპელებს ავსტრალიიდანაც მოუწევთ წამოსვლა. **იერუსალიმის მიწა** კი საერთოდ **იებუსეველებს** ეკუთვნოდათ!

**— მთელი ეს რიტორიკა იმას ნიშნავს, რომ პალესტინაში ატეხილი უბედურება რაღაც სხვა მიზნებს ემსახურება?**

— ფაქტია, რომ ისრაელი მისი შექმნის დღიდან დე ფაქტო პერმანენტულ ომსა და ალყაშია. ჰოდა, ომზე თუ ვინმეს რამე გაუგია და სმენია, დამეთანხმება, რომ, როცა ფარულად ამზადებ რაღაც გეგმას, მაგალითად, ფრონტის გარღვევას ერთი მიმართულებით, სხვა მიმართულებაზე აგზავნი ასეულებს და ქმნი იქ გარღვევის იმიტაციას. იცი, რომ ამ დროს იქ ვერავინ გადარჩება, მაგრამ ომში ასეა — კვდებიან ადამიანები, რადგან მიზანი უფრო დიდია!

**— ეს „დიდი მიზანი“ რა არის?**

— **ნუთუ კიდევ ვერ ხვდება საზოგადოება, რომ ბნელმა ძალებმა უკრაინის ომის საპრევენციოდ ააგორეს?** სიონისტებმა თავიანთი მარიონეტების მიერ მართული ქვეყნების ხელით ჯერ კიდევ მაიდნამდე წამოიწყეს ფარული ქმედებები, რამაც მოიტანა უკრაინაში ომი! მიზანი და ამოცანა ერთია — **უკრაინაში გაყოფილ მიწებზე ახალი ისრაელი უნდა აშენდეს!** ამისათვის კი აუცილებელია პალესტინაში შეიქმნას ისეთი სიტუაცია, რომელიც ებრაელთა მასობრივ გადასახლებას ლეგიტიმურ საფუძველს შესძენს. თუმცა, ბნელი ძალების და, უპირველეს ყოვლისა, თალმუდისტებისა და სიონისტების მიზანი კიდევ უფრო უარესია — **ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნა, ადამიანთა მასობრივი გამოტვინება და კაცობრიობის მიყვანა მესამე მსოფლიო ომამდე, როცა მოხდება „გოების“ მასობრივი გაჟლეტა!**

**— მაშ, რა გამოდის, ის საშინელება, რასაც „ისლამური სახელმწიფო“ და „ჰამასი“ სჩადიან, მართულია?**

— ფაქტია, რომ ტერორიზმი გარე ძალების მიერ არის მართული. ამ კონფლიქტში მართალი არცერთი მხარე აღარაა. ისრაელის იდეა მართალი არ იყო შექმნამდე! გაეროს 1947 წლის გადაწყვეტილებას „ შექმნილიყო ორი სახელმწიფო, ებრაელობა მიზეზმომარჯვებული შეხვდა, რაც იმაში გამოიხატა, რომ ებრაელობა არაბებით დასახლებულ მიწებზე უკვე კომპაქტურად იყო დასახლებული.

### არაბებმა გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვეს, როცა ებრაელებს მიწები მიჰყიდეს!

**კიდევ ერთხელ ვიმეორებ:** ამ მიწაზე ათასწლეულებია, ვინ აღარ ცხოვრობს — სემიტები თუ ისმაელიტები! არკვიე ახლა, სადაა როიალი და სად — ვიოლინო! ამიტომაც ამოვიდა გაერო იმ დროისთვის არსებული რეალობიდან! 2 ათასი წლის წინათ „დაკარგული მიწების“ მოთხოვნა სხვა მიწადაკარგულმა ხალხებმაც თუ დაიწყეს, ეს სად მიიყვანს მსოფლიოს? მაშინ ქურთებსაც ეკუთვნით სახელმწიფო! ბიბლია ადასტურებს, რომ ებრაელები ქანაანში მოვიდნენ მესოპოტამიიდან, კერძოდ, **ქალაქ ურიდან** და შიმშილობის დროს **ეგვიპტეში** გადასახლდნენ. მერე დაბრუნდნენ უკან, **ქანაანში** დარჩენილებს დაერივნენ და იერუსალიმი ქანაანელთა ერთ-ერთ ტომს — იებუსეველებს წაართვეს, რომლებიც მათი ისეთივე ნათესავები იყვნენ, როგორც არაბები.

**— ე.ი. თქვენ ამტკიცებთ, რომ არსებობს რაღაც ფარული გეგმა, რომლითაც ბნელი ძალები ხელმძღვანელობენ?**

— დიახ, ასეთი გეგმა ნამდვილად არსებობს, მაგრამ სიონისტური და თალმუდისტური წრეები, მათდა გასაკვირად, ამ ბოლო დროს საშინელი გამოწვევებისა და რეალობის პირისპირ აღმოჩნდნენ. მართალია, კონტროლირებადი ქვეყნებითა და მედიით მათ ამოქოქეს ახალი ნეოლიბერალური წესრიგის დამყარების გეგმა, რომლის თანახმადაც სამყარო სწორედ მათ უნდა მართონ და თან დაჩქარებულად, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ გეგმას წყალი შეუდგა.

**— მაინც რა მოხდა?**

— ეს ძალები ამერიკის შეერთებულ შტატებში არ ელოდნენ ამდენ წინააღმდეგობას. ვგულისხმობ **დონალდ ტრამპთან** დაკავშირებულ ორომტრიალს, როცა ამერიკა სამოქალაქო ომს ბეწვზე გადაურჩა. ეს ძალები ასევე არ ელოდნენ ნაციონალური ელიტების წინააღმდეგობას. ამას დაერთო ისიც, რომ ევროპამაც დაიწყო გამოღვიძება, ხოლო ჩინეთში **სი ძინპინმა** იქაური „გორბაჩოვი“ გაანეიტრალა და სიონისტური ძალების „ჩინური იმედი“ ყრილობაზევე დააპატიმრა! ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, თანამშრომლობს თუ არა ამ ძალებთან **პუტინი,** მაგრამ ის ფაქტი, რომ რუსეთმა გაუძლო სანქციებს და იქით დააზარალა ნეოლიბერალთა მიერ მართული ქვეყნები, ბევრ რამეზე მეტყველებს. პირდაპირ გასაოცარია ის ფაქტი, რომ სანქციების პირობებში რუსეთის ეკონომიკა კიდევ უფრო გაძლიერდა და სიდიდით მეხუთე ადგილზე გადავიდა, ხოლო კრემლი რომ ბირთვული არსენალის მხრივ პირველ ადგილზეა და ყველას უსწრებს, ბავშვმაც კი იცის!

**— ამ გლობალურ დაპირისპირებაში საქართველო და ქართველობა ვის მხარეს უნდა დადგეს?**

— თუ ჩვენ მხარს დავუჭერთ „ჰამასს“, ეს იმას ნიშნავს, რომ მხარს ვუჭერთ და ვამართლებთ იმ საშინელებას, რაც პალესტინაში ტრიალებს, ხოლო, თუ მხარს დავუჭერთ გლობალისტურ ძალებს, ამით ჩვენ გავაძლიერებთ **მოშიახს,** ანუ ახალი წესრიგის დამყარებას! ქართველებო, **მოშიახი** და ახალი წესრიგის დამყარება გინდათ? **ამიტომ ჩვენ არცერთის მხარეს არ უნდა დავდგეთ და არცერთის გამარჯვება არ უნდა გვინდოდეს!**

უამრავი მასალა და ვიდეოკადრები ამოტივტივდა, სადაც ნათლად შეიძლება დაინახო ამ უბედურებისა და სისხლისღვრის რეალური მიზეზები, მიზნები და მომავალი! თუ მართლაცდა **„შიზ ევროპელი“** ან, უბრალოდ, მიკერძოებული არ ხარ, ყველაფერი ხელისგულზე ჩანს. თქვენ რა გგონიათ, იმ მომავალში, სადაც ადამიანების ფიზიკურ შრომას ბიორობოტები ჩაანაცვლებენ, ხოლო ხელოვნური ინტელექტი აზროვნებას ისწავლის და ასეული მილიონობით უმუშევარი გაჩნდება, რესურსების დეფიციტი არ დაიწყება? თუ ასეთი ტემპით გამრავლდა კაცობრიობა, ჩვენ ვინმე გვარჩენს?

### ჩვენ ვიქნებით გასახარჯი მასალა, როცა მოსახლეობა შემცირდება, ხოლო მოშიახი, როგორც „ღვთის რჩეული ერი“ იბატონებს „გოებზე“. აი, ეს არის სიონისტებისა და თალმუდისტების მიზანი!

ამიტომ, რასაც **კლაუს შვაბი** ლაპარაკობს, ეს მხოლოდ აისბერგის ხილული ნაწილია! რაც შეეხება აგრესიულ ისლამსა და ტერორიზმს, როგორც ნაცების გაქრობა მოიტანს ქოცების გაქრობას, ისევე გლობალისტთა ციტადელის —- ამერიკის შეერთებული შტატების „ჩამოლაბორანტება“ გამოიწვევს ნეოლიბერალიზმის, გლობალიზმისა და ტერორიზმის მოშთობას!

## „ბიბლია ადასტურებს, რომ ებრაელები ქანაანში მოვიდნენ მესოპოტამიიდან, კერძოდ, ქალაქ ურიდან და შიმშილობის დროს ეგვიპტეში გადასახლდნენ!“

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

№62 (230) ★ 2023 წლის 6 ნოემბერი ★ გამოდის 2003 წლიდან

*__საქართველოში საქმე კარგად მიდის!__ — ასე შეაფასა __ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა__ შევარდნაძის ზღვარგადასული მლიქვნელობა კომუნისტური ეპოქის ზეობის ჟამს. არადა, მაშინ საქართველოში საქმე მართლაც კარგად მიდიოდა ისევე, როგორც უკრაინაში, თანაც იმ დროს სულ რაღაც ორიოდე წლის ბალღი გახლდათ უკრაინის შეიარაღებული ძალების ახლანდელი მთავარსარდალი, გენერალი __ვალერი ზალუჟნი,__ რომელიც აცხადებს,*
***რომ უკრაინაში საქმე ცუდად მიდის!***




# გენერალო ზალუჟნი,

## ალიარებითი (უკუ)ჩვენება ★ უფრთხილდი ნაცპროპაგანდის «ზალოჟნიკებს!»

**უკრაინაში საქმე ცუდად რომ მიდის, ზალუჟნის** უთქმელადაც ყველასათვის ცნობილია, რადგან ყველა ხედავს, როგორ ნადგურდება ევროპაში ყველაზე დიდი ტერიტორიის მქონე ქვეყანა, რომლის მიწა-წყლის 20 პროცენტზე მეტი უკვე მოექცა რუსული ოკუპაციის ქვეშ.

**უკრაინაში საქმე ცუდად რომ მიდის,** ეს არამხოლოდ ომითა და რუსული ოკუპაციით გამოიხატება, არამედ იმითაც, რომ **ყველაზე რთულ დროს უკრაინას ჰყავს პირწავარდნილი ავნტიურისტებისა და პროვოკატორებისაგან შემდგარი პოლიტიკური ხელმძღვანელობა,** რომელიც მიწასთან გასწორებულ ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა სამოქალაქო პარტნიორობას აკანონებს და მართლმადიდებელ ეკლესიას კრძალავს.

ჰოდა, **უკრაინაში საქმე ცუდად მიდისო!** — ბრძანებს გენერალი **ვალერი ზალუჟნი,** უკრაინის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი.

აი, მისი განცხადება, რომელიც ამა წლის 2 ნოემბერს გააკეთა:

> ***„იმედი, რომ რუსეთს საკუთარი ჯარისკაცების სისხლის დაღვრა შეაჩერებდა, ჩემი შეცდომა იყო. რუსეთმა, სულ მცირე, 150 000 ადამიანი დაკარგა. ნებისმიერ სხვა ქვეყანაში ასეთი მსხვერპლი ომს შეაჩერებდა. ისევე, როგორც პირველ მსოფლიო ომში, ჩვენ მივაღწიეთ ტექნოლოგიის იმ დონეს, რომელსაც ჩიხში შევყავართ. დიდი ალბათობით, ღრმა და ლამაზი გარღვევა არ იქნება“.***

როცა **გენერალ ზალუჟნის** ამ განცხადებას გავეცანით, მაშინვე შიშნარევმა ფიქრმა გაგვიელვა — **ვაითუ, ნაცლიბერალურმა სექტამ უკრაინის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი რუსული პროპაგანდის რუპორად და კრემლის მარიონეტად შერაცხოს!**

ეს შიში სრულიად საფუძვლიანია, რადგან **საქართველოში მოქმედი ნაცლიბერალური სექტა** უკრაინაში მიმდინარე ომის შესახებ ნათქვამ ყოველ სიმართლეს **„რუსულ პროპაგანდად“** ნათლავს!

თუ ამბობ, რომ უკრაინა ომს ვერ იგებს, ეს **„რუსული პროპაგანდაა“!**

თუ ამბობ, რომ უკრაინის კონტრშეტევა ჩაფლავდა, ე.ი. **„რუსულ ნარატივს“** ავრცელებ!

თუ ამბობ, რომ უკრაინას სადღეისოდ არ გააჩნია რესურსი, რუსული ჯარი განდევნოს და ოკუპირებული ტერიტორიები დაიბრუნოს, ე.ი. **რუსეთუმე და კრემლის მარიონეტი** ხარ!

არადა, უკრაინის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი **ვალერი ზალუჟნი** სწორედ ამას ამბობს, ოღონდ — შერბილებულად და შელამაზებულად!

აბა, სხვას რას ნიშნავს **უკრაინის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის** სიტყვები — **ჩვენი იმედები არ გამართლდა და ჩიხში შევედითო?!**

აბა, როგორ უნდა გავიგოთ **გენერალ ზალუჟნის** ნათქვამი — **ღრმა და ლამაზი გარღვევა არ გვექნებაო?!**

მოკლედ, **უკრაინის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის განცხადება** იმის აღიარებაა, რომ **უკრაინაში საქმე ცუდად მიდის!**

რბილად რომ ვთქვათ, **ცუდად მიდის!**

**ვალერი ზალუჟნის** ამ აღიარების ფონზე კიდევ უფრო საბრალოდ და სასაცილოდ გამოიყურებიან ნაცლიბერალური პროპაგანდის ტყვეები, ანუ **„ზალოჟნიკები“,** რომლებსაც სჯერათ, რომ უკრაინა ომს იგებს და სულ მალე ზელენსკი გამარჯვების მარშს პიანინოზე ცოცარით დაუკრავს!



**ზალუჟნის აღიარების ფონზე კიდევ უფრო საბრალოდ და სასაცილოდ გამოიყურებიან ნაცლიბერალური პროპაგანდის ტყვეები, ანუ „ზალოჟნიკები“, რომლებსაც სჯერათ, რომ უკრაინა ომს იგებს და სულ მალე ზელენსკი გამარჯვების მარშს პიანინოზე ცოცარით დაუკრავს!**

ღმერთმანი, ნამდვილად რეალურია ჩვენი შიში იმის თაობაზე, რომ ნაცლიბერალური პროპაგანდის **„ზალოჟნიკები“ ზალუჟნის** კრემლის რუპორად გამოაცხადებენ!

ჭკუა დაუშლით თუ გონება?!

უჭკუობა არ ეყოფათ თუ უგუნურება?!

ასე რომ, **გენერალო ზალუჟნი,** უფრთხილდი ნაცპროპაგანდის **„ზალოჟნიკებს!“**

## ბოლოთქმა

რუსეთ-უკრაინის ომი რომ ჩიხშია შესული, ამის შესახებ **გენერალ ზალუჟნის** კვალდაკვალ, ზელენსკის ყოფილი მრჩეველი **ოლექსი არესტოვიჩიც** ალაპარაკდა:

> *„ფაქტობრივად, ახლა ომი ჩიხშია, რადგან არც რუსეთს შეუძლია, ჩვენი ტერიტორიის დიდი ნაწილი ხელში ჩაიგდოს და არც ჩვენ შეგვიძლია დეოკუპაცია“.*

ცხადია, **ზალუჟნის მსგავსად არესტოვიჩიც ცდილობს, უკრაინის მძიმე მდგომარეობა რაც შეიძლება შერბილებულად გადმოსცეს, თორემ მოცემულობას, როცა უკრაინას რუსეთის მიერ დაპყრობილი ტერიტორიების დეოკუპაცია არ ძალუძს, ჩიხი კი არა, მარცხი ჰქვია.**

არც ის არის შემთხვევითი, რომ **არესტოვიჩი,** რომელიც ზელენსკის ხელისუფლებას უკვე ღიად და ხმამაღლა ამხელს კორუფციასა და ავტორიტარიზმში, ომის შეწყვეტისა და რუსეთთან შერიგების აუცილებლობაზე საუბრობს:

> ***„ერთმანეთის უსასრულო და უაზრო ხოცვა რაიმე მნიშვნელოვანი შედეგის მიღწევის გარეშე არც რუსი და არც უკრაინელი ხალხისთვის არ არის საჭირო. ხალხი იწყებს ამის გაცნობიერებას. ვფიქრობ, ჩვენ უნდა შევრიგდეთ, ჩვენ უნდა დავიწყოთ სამშვიდობო მოლაპარაკებები, მაგრამ ეს მოლაპარაკებები უნდა იყოს სამართლიანი და პარიტეტული“.***

ვფიქრობთ, **ზალუჟნის** მსგავსად **არესტოვიჩსაც** არ ასცდება რუსეთუმესა და პუტინისტის იარლიყი ქართველი ნაცლიბერალებისაგან!

ახიც იქნება **არესტოვიჩზე,** რადგან **ზელენსკის ადმინისტრაციაში** მუშაობისას ბევრჯერ მოასწრო **კამოს საყვარელი ძღვენის** ჭამა საქართველოსა და ქართველი ხალხის წინაშე!

***ჯაბა ხუბუა***



## სვიმონ მასხარაშვილი:

# ჰიტლერის, ჰიმლერის, ბორმანისა და რიბენტროპის გეგმით, სტალინი კონფერენციაზე უნდა მიეტყუებინათ და საწერი კალმით მოეკლათ!

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი ჰიტლერისა და მისი სამხედრო-პოლიტიკური ხროვის სტალინის პიროვნებისადმი დამოკიდებულებაზე გვესაუბრება და აცხადებს, რომ ბელადი, როგორც სახელმწიფო მოღვაწე და უდიდესი რეფორმატორი, ფიურერისთვის მისაბაძი იყო:***

— სტალინის პიროვნების შესაფასებლად უმნიშვნელოვანესია იმ განწყობისა და დამოკიდებულების ანალიზი, რაც ბელადის მიმართ ფაშისტური გერმანიის სამხედრო-პოლიტიკური ელიტისა და სპეცსამსახურების უმაღლეს პირებს გააჩნდათ. ამ მხრივ წარმოუდგენელ დახმარებას გვიწევს **ვალტერ შელენბერგის** მოგონებები, რომელიც 1944 წლიდან ფაშისტური გერმანიის როგორც პოლიტიკური დაზვერვის, ისე საგარეო დაზვერვის, ანუ „აბვერის" მეთაური გახდა.

მოგეხსენებათ, 1944 წლის თებერვალში ადმირალი **ვილჰელმ კანარისი** ჰიტლერმა „აბვერის" შეფის პოსტიდან დაითხოვა, ხოლო 1944 წლის 23 ივლისს, ანუ ჰიტლერზე განხორციელებული წარუმატებელი ტერაქტიდან სამი დღის შემდეგ, **კანარისი** დააპატიმრა მისმა პირადმა მტერმა, ბრიგადენფიურერმა **ვალტერ შელენბერგმა,** რომელიც მანამდე რაიხის უშიშროების მთავარი სამსახურის მეექვსე განყოფილების ხელმძღვანელი იყო.

მიუხედავად თავისი ახალგაზრდული ასაკისა, 34 წლის **ვალტერ შელენბერგი,** სამხედრო დაზვერვის თვალსაზრისით, ჰიტლერულ გერმანიაში ნომერ პირველი ფიგურა გახლდათ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, **შელენბერგი** მხოლოდ 4 წელი იჯდა ციხეში, რადგან ვინმეზე ძალადობა და ბოროტმოქმედება არ დაუმტკიცდა. ციხიდან გათავისუფლების შემდეგ ის საერთოდ სხვა ადამიანი გახდა და 1952 წლის 31 მარტს, ორმოცდაორი წლის ასაკში, იტალიაში, ტურინში, გარდაიცვალა.

სხვათაშორის, **შელენბერგი** კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ებრაელთა წამებას, პირიქით, ებრაელებს ხშირად იყენებდა „აბვერის" მიერ დაგეგმილი ოპერაციების განსახორციელებლად, რაც ამ ოპერაციების წარმატების საფუძველი იყო. ამ ფაქტმა, კერძოდ, ებრაელებისადმი ლოიალურმა დამოკიდებულებამ დიდად განსაზღვრა ის ფაქტი, რომ ვალტერ შელენბერგი ნიურნბერგის სასამართლოზე ცოცხალი გადარჩა. საბჭოთა ისტორიოგრაფია ამის შესახებ დუმს, მაგრამ შელენბერგის მემუარების თანახმად, რომლის სრული ვერსია 2023 წელს გამოიცა, ირკვევა: **1944 წლის დასაწყისში ჰიტლერი და მისი უახლოესი გარემოცვა სტალინის ფიზიკური განადგურების მიზნით, ტერაქტის განხორციელებას გეგმავდნენ!**

**— როდის დაიწყეს მზადება სტალინის წინააღმდეგ ტერაქტის მოსაწყობად?**

— 1943 წლის 5 ივლისს დაიწყო და 23 აგვისტოს სტალინის ძლევამოსილი გამარჯვებით დასრულდა **კურსკის ბრძოლა,** როცა ჰიტლერმა ფრონტის ხაზზე ვერავითარ გარღვევას ვერ მიაღწია. სტალინგრადთან განცდილმა კატასტროფამ და კურსკთან განცდილმა მარცხმა, რაც საბოლოოდ 1944 წლის ივნის-აგვისტოში ოპერაცია **„ბაგრატიონით"** დაგვირგვინდა, 1943 წელს ფაშისტური გერმანიის სპეცსამსახურები სერიოზულად ჩააფიქრა და ადოლფ ჰიტლერის მაგიდაზე დაიდო ზეკომპეტენტური პირების, ამ საქმის დიდოსტატების მიერ მომზადებული დასკვნა, რომლის თანახმადაც, **რომ არა სტალინი და მისი პიროვნული ფაქტორი, ვერცერთი ქვეყანა და სამხედრო ძალა ვერ გაუძლებდა იმ უდიდეს შეტევასა და ზეწოლას, რასაც საბჭოთა არმია უძლებდა.** ამიტომ დასკვნა ასეთი იყო — **თუ გერმანიას სურდა, გადარჩენილიყო, ფაშისტური მესამე რაიხის სპეცსამსახურებს და მათ შორის, რა თქმა უნდა, ვალტერ შელენბერგს, ყველაფერი უნდა გაეკეთებინათ, რათა სტალინი მოეკლათ!**

1944 წლის დასაწყისში ფაშისტური გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა **იოახიმ ფონ რიბენტროპმა** ვალტერ შელენბერგს გაანდო, სტალინის მკვლელობის განზრახვა. ამის შესახებ იცოდნენ მხოლოდ და მხოლოდ **ჰიტლერმა,** ფაშისტური გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა და „სს"-ის რაიხსფიურერმა **ჰიმლერმა** და ჰიტლერის თანაშემწემ და ფარულმა ხაზინადარმა **მარტინ ბორმანმა.** არსებობდა ვერსია, თითქოს ბორმანი გაიპარა და სადღაც თავი შეაფარა, მაგრამ დღეს უკვე **„დნმ"**-ით დადასტურებულია, რომ 1945 წლის მაისში ის ბერლინში დაიღუპა.

მოკლედ, ეს იყო სუპერსაიდუმლო გეგმა, რომლის შესახებაც თვით **ალფრედ იოდლმა** — ვერმახტის უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბის შეფმა და ვერმახტის მთავარსარდალმა **ვილჰელმ კაიტელმაც** კი არაფერი იცოდნენ.

**— მოგეხსენებათ, 1944 წლის 6 ივნისს ნორმანდიაში ამერიკელების გადმოსხმით გაიხსნა მეორე ფრონტი... ეს თათბირი 6 ივნისამდე შედგა?**

— ცხადია! ჰიტლერი და მისი გუნდი, რომლებმაც სტალინის მკვლელობა დაგეგმეს, სწორედ მეორე ფრონტის გახსნამდე ცდილობდნენ ბელადის ლიკვიდაციას, რადგან დარწმუნებული იყვნენ, რომ სტალინის სიკვდილით ამერიკელები და ინგლისელები შეშინდებოდნენ და არავითარი მეორე ფრონტი არ იქნებოდა.

**— კონკრეტულად როგორ უნდა მოეკლათ სტალინი?**

— ჰიტლერის, ჰიმლერის, ბორმანისა და რიბენტროპის გეგმით, **სტალინი კონფერენციაზე უნდა მიეტყუებინათ და საწერი კალმით მოეკლათ.** რიბენტროპი დათანხმდა, რომ შეასრულებდა შაჰიდის მისიას, გაწირავდა საკუთარ სიცოცხლეს და მოკლავდა სტალინს!

**— როგორ, რანაირად? ლავრენტი ბერია, შალვა წერეთელი, კაპიტონ ნაჭყებია, ვარლამ კაკუჩაია, ნიკოლოზ რუხაძე და სხვა ქართველი ჩეკისტები რიბენტროპს კონფერენციაზე ბომბს შეატანინებდნენ?**

— არა, ბომბზე არ იყო ლაპარაკი, **აქ საუბარი იყო კალამზე, რომელიც ტყვიებს ისვრის.** გერმანელებს, კერძოდ, **შელენბერგის** უწყებას, 40-იანი წლების დასაწყისში უკვე შექმნილი ჰქონდა ისეთ საწერი კალმები, რომლებიც 6-7 მეტრის მანძილიდან ადამიანს ტყვიით კლავდნენ. ეს უკიდურესად გასაიდუმლოებული იარაღი იყო და მაშინდელ პირობებში, ფაქტობრივად, არ არსებობდა აპარატურა, რომელიც მოახდენდა ასეთი კალმის იდენტიფიკაციას!

ტერაქტის გეგმამ და რიბენტროპის მიერ ნაკისრმა შაჰიდის მისიამ ვალტერ შელენბერგი შოკში ჩააგდო, რადგან **რიბენტროპი** მაშინ ფაშისტურ გერმანიაში ჰიტლერის შემდეგ ყველაზე უფრო გავლენიანი ფიგურა იყო. **შელენბერგს** ყველაფერი უნდა გაეკეთებინა, რათა ასეთი კონფერენცია მოეწვიათ და როგორმე იქ სტალინი მიეტყუებინათ. იყო ერთი ამერიკელი დიპლომატი, გვარად **ჰიუიტი** — პრეზიდენტ რუზველტის წარმომადგენელი, რომელსაც საბჭოთა კავშირთან ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. ვალტერ შელენბერგი ამ ჰიუიტს კარგად იცნობდა და სწორედ მის ამოქმედებას აპირებდა საერთაშორისო კონფერენციის მოსაწვევად.

როგორც საქვეყნოდ ცნობილია, ამ გეგმიდან არაფერი გამოვიდა. საქმე ის გახლავთ, რომ 1943 წლის 28 ნოემბრიდან 1 დეკემბრის ჩათვლით თეირანში გამართული საერთაშორისო კონფერენციის შემდეგ, სადაც ფაშისტური სპეცსამსახურები **სტალინზე, რუზველტსა და ჩერჩილზე** თავდასხმას გეგმავდნენ, სტალინი ძალიან ფრთხილობდა და სეპარატულ ზავზე მოლაპარაკებას არ აპირებდა.

საბჭოთა არმიას ფაშისტურ გერმანიასთან ერთი მწარე მარცხი მაინც უნდა ეგემა, რომ სტალინი სეპარატიულ მოლაპარაკებაზე დაეყოლიებინათ, მაგრამ სტალინგრადისა და კურსკის ტრიუმფალური გამარჯვების შემდეგ ასეთი რამ აღარ მოხდარა. თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ **ჰიტლერი** და მისი უახლოესი გარემოცვა **სტალინს,** იქიდანაც კარგად ჩანს, რომ ამაყი და შეუვალი **იოახიმ ფონ რიბენტროპი,** რომელიც ინგლისის მეფეს **ჯორჯ მეექვსეს** არად აგდებდა და წესების დაცვით განგებ არ ესალმებოდა, ბელადის მოსაკლავად მზად იყო, სიცოცხლე გაეწირა!



ადოლფ ჰიტლერი, ჰაინრიხ ჰიმლერი, მარტინ ბორმანი

**ისტორიკოსის თვალით ★**



***გესტაპოს შეფი ჰაინრიხ მიულერი:***

**სტალინის მიერ შექმნილმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა სისტემამ არათუ გაუძლო მსოფლიოს ყველა დროის უძლიერესი არმიის არნახულ ზეწოლას და არ ჩამოიშალა, არამედ ამ საშინელი ომის პირობებშიც კი საბჭოთა ეკონომიკა ისეთი ნაბიჯებით მიიწევს წინ, მალე უკან ჩამოგვიტოვებს!**


იოახიმ ფონ რიბენტროპი



# „ამაყი და შეუვალი იოახიმ ფონ რიბენტროპი მზად იყო, სტალინის მოსაკლავად სიცოცხლე გაეწირა!“


მიხეილ ტუხაჩევსკი

**— საინტერესოა, როგორი იყო აღნიშნულ საკითხზე გესტაპოს შეფის, ანუ მეოთხე სამმართველოს უფროსის ჰაინრიხ მიულერის პოზიცია?**

— **ვალტერ შელენბერგის** მემუარების თანახმად, 1945 წლის მაისში გესტაპოს შეფი **ჰაინრიხ მიულერი** უკვე საბჭოთა კავშირის მხარეს გადავიდა. უფრო მეტიც, **შელენბერგი** ირწმუნება, რომ 1948 წელს გერმანელმა სამხედრო ტყვეებმა **მიულერი** მოსკოვში ნახეს. **მიულერი** დაბალი სოციალური წრიდან იყო და **შელენბერგისგან** განსხვავებით, უმაღლესი განათლება არ ჰქონდა. 1942 წლის მიწურულს, როცა გერმანული არმიები სტალინგრადთან გაიჭედნენ, **ჰაინრიხ მიულერსა და ვალტერ შელენბერგს** შორის ძალიან საინტერესო დიალოგი გაიმართა. ისინი კონიაკს სვამდნენ და მთვრალები იყვნენ, როცა მიულერმა უთხრა შელენბერგს — *მე თქვენგან განსხვავებით, დაბალი სოციალური წრის წარმომადგენელი ვარ. ჩემი წრისთვის სოციალიზმის ის ფორმა, როგორიც ნაციონალ-სოციალიზმია, მისაღები იყო და ავყევი, მაგრამ თქვენი წრისთვის, ინტელიგენციისთვის, ნაციონალიზმიც და სოციალიზმიც არ მგონია, მისაღები იყოს, რადგან ეს იდეოლოგია მონორასობრივ, კონკრეტული ეთნოსის სივრცეში იკეტება და ძალიან ხშირად პარადოქსებამდე მივდივართ!* მიულერი ამაში მართალი იყო... აი, მაგალითად, გერმანელ დიპლომატ კაცს მაშინ, როცა გერმანია და იაპონია მოკავშირეები იყვნენ, შეუყვარდა იაპონელი დიპლომატი ქალი და **ჰიტლერი და ჰიმლერი** ექვსი თვის განმავლობაში მსჯელობდნენ იმაზე, შეიძლებოდა თუ არა, გერმანელს იაპონელი ცოლად შეერთო. ბოლოს მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ეს დასაშვები იყო, ანუ ნაცისტური თეორია რეალურად ჩიხში შემყვანი მოძღვრება გახლდათ. ამავდროულად, ჰიტლერის ნაციონალ-სოციალიზმი სოციალურ თანასწორობას კი ქადაგებდა, მაგრამ გერმანელ მილიონერებსა და მაგნატებს თავზე ხელს უსვამდა.

აი, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, **ჰაინრიხ მიულერმა ვალტერ შელენბერგს** დამატებით ასეთი რამ უთხრა — *სტალინის მიერ შექმნილმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა სისტემამ არათუ გაუძლო მსოფლიოს ყველა დროის უძლიერესი არმიის არნახულ ზეწოლას და არ ჩამოიშალა, არამედ ამ საშინელი ომის პირობებშიც კი საბჭოთა ეკონომიკა ისეთი ნაბიჯებით მიიწევს წინ, მალე უკან ჩამოგვიტოვებსო!*

**— საინტერესოა, რა უპასუხა მიულერს შელენბერგმა?**

— **შელენბერგიც და მიულერიც** ძალიან ცბიერი ადამიანები იყვნენ. აქედან გამომდინარე, შელენბერგმა მიიჩნია, რომ მიულერი მას გამოცდას უწყობდა და მრისხანე გესტაპოს შეფს სიცილით ასეთი რამ უთხრა: *მგონი, თქვენ ახლა ასეთი რამ უნდა თქვათ — „ჰაილ, სტალინ! გაუმარჯოს ჩემს ოცნებას, რომ „ენკავედეს“ შეფი გავხდე!“* ჰაინრიხ მიულერმა, რომელიც ძალიან მთვრალი იყო, ვალტერ შელენბერგს ბოროტი მზერა მიანათა და უთხრა — *„სულაც არ იქნებოდა ეს მიუღებელი და ურიგო!“*

**— კი მაგრამ, გესტაპოს შეფს ასეთი აღიარება და თვითლუსტრაცია შერჩა?**

— როგორც **შელენბერგი** წერს, **მიულერი** ასეთ გულახდილობას მერე დიდხანს ნანობდა, მაგრამ, როგორც ჩანს, **შელენბერგს** ის არ დაუბეზღებია და **მიულერი** გადარჩა. თუმცა, შელენბერგი ხაზგასმით წერს, რომ გესტაპოს შეფი **ჰაინრიხ მიულერი** 1944 წლიდან უკვე აშკარად საბჭოთა კავშირის მხარეს იყო გადასული.

**— საკუთრივ ჰიტლერის დამოკიდებულება სტალინისადმი როგორი იყო?**

— 1936 წელს ფაშისტური გერმანიის სპეცსამსახურებმა რუსული ემიგრაციის ხაზით მიიღეს ინფორმაცია, რომ გერმანიის გენშტაბთან საბჭოთა კავშირის მარშალი **მიხეილ ტუხაჩევსკი,** ანუ საბჭოთა არმიის სარდლობა ფარულად თანამშრომლობდა. რაც ყველაზე მთავარია, საბჭოთა არმიის სარდლობა აპირებდა სტალინის დამხობას და გადატრიალების მოწყობას. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გაბატონებული იყო აზრი, თითქოს ეს ცრუინფორმაცია ბრიტანეთის დაზვერვამ საბჭოთა „ენკავედეს“ ჩეხების მეშვეობით „შემოუგდო“, რათა საბჭოთა არმიის უმაღლესი სარდლობა გაენადგურებინათ... თავიდან ამ ინფორმაციას გერმანელებიც ეჭვით მოეკიდნენ — ვინმეს ჩვენი გამოყენება ხომ არ სურსო?! შესაბამისად, საჭირო გახდა ამ ინფორმაციის გადამოწმება. ამ მიზნით, მთელი გერმანიის მასშტაბით უხმეს სეიფის საუკეთესო გამტეხებს და გატეხეს სამხედრო დაზვერვის შეფის, ადმირალ **ვილჰელმ კანარისის** სეიფი, რადგან, თუ ასეთი შეხვედრები **ტუხაჩევსკისა** და გერმანული გენშტაბის წარმომადგენლებს შორის ნამდვილად შედგა, შეუძლებელი იყო, კანარისის უწყებას ეს არ დაეფიქსირებინა.

**— კანარისს არ ენდობოდნენ, თუ სეიფი რატომ გაუტეხეს?**

— საქმე ის გახლავთ, რომ 1938 წლამდე ე.წ. **„ვაიმარის რესპუბლიკის“** კონსტიტუცია ჯერ კიდევ ძალაში იყო და გერმანიის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას მთავარსარდლობა არ ჰქონდა შეთავსებული. აქედან გამომდინარე, „აბვერის“ შეფი **ალფრედ კანარისი** ექვემდებარებოდა სამხედრო სარდლობას და არა ჰიტლერს. ჰიტლერმა სამხედროებზე კონტროლი მოიპოვა 1938 წელს, როცა გერმანიის სამხედრო მინისტრი, გენერალ-ფელდმარშალი **ვერნერ ფონ ბლომბერგი** ყოფილ მეძავზე **ერნა გრუნზე** დაქორწინების გამო, პარტიიდან გარიცხეს, ყველა სამხედრო წოდება ჩამოართვეს, სამხედრო სამინისტრო გააქმეს და შექმნეს ფაშისტური ვერმახტის უმაღლესი მთავარსარდლობა, რომლის შეფადაც დაინიშნა ფელდმარშალი **ვილჰელმ კაიტელი.**

მოკლედ, ჰიტლერის ბრძანებით, **კანარისის** სეიფი გატეხეს თუ არა, „სს“-ის სპეცსამსახურებმა ამოიღეს უტყუარი დოკუმენტები, რომლის თანახმადაც 1937 წლის გაზაფხულ-ზაფხულში **მიხეილ ტუხაჩევსკი და მისი ხროვა** ნამდვილად გეგმავდნენ სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას და სტალინის ლიკვიდაციას! როგორც **ვალტერ შელენბერგი** ამტკიცებს, ეს ყველაფერი იმდენად კარგად იყო შემუშავებული, სტალინს გადარჩენის შანსი არ ჰქონდა. მოკლედ, **ჰიტლერი** დადგა არჩევანის წინაშე — მხარი დაეჭირათ მოღალატე საბჭოთა სამხედროებისთვის, რომლებსაც კარგი ურთიერთობა ჰქონდათ გერმანელ სამხედროებთან თუ სტალინისთვის? **ჰიტლერმა მხარი დაუჭირა სტალინს!**

**— რატომ, როგორ, რისთვის?**

— 1936 წელს სტალინური სოციალიზმი **ჰიტლერისთვის** ბევრად უფრო ახლოს იყო, ვიდრე იაპონია და იტალია! სტალინი, როგორც რეფორმატორი და სახელმწიფო მოღვაწე, მაშინ **ჰიტლერისთვის** მისაბაძი იყო. მოკლედ, ამ დოკუმენტაციის ნაწილი ჩეხეთის მაშინდელი ლიდერის **ბენეშის** ხელით სტალინს გაუგზავნეს. ხმები იმის შესახებ, რომ ამ საქმეში ბრიტანეთის დაზვერვის ხელი ერია, ტყუილია. სტალინმა ჰიტლერს შემხვედრი წინადადება მიაგება — **რამდენი უნდა გადავიხადოთ ამ ინფორმაციაში?** ეს ჰიტლერისთვის შოკისმომგვრელი იყო, რადგან აღნიშნული ინფორმაციის სტალინისთვის მიყიდვას არავინ ფიქრობდა და ფიურერის პოზიცია იყო, რომ ეს მასალები სტალინისთვის უანგაროდ გადაეცათ.

რაკი სტალინმა თავად დაიწყო თანხაზე ლაპარაკი, გერმანელები ადგნენ და ინფორმაციის სრულად მიწოდების სანაცვლოდ ოქროზე, ანუ ვალუტაზე, 3 მილიონი საბჭოთა მანეთი მოითხოვეს. ეს ფაქტიც სტალინის სიდიადეზე მეტყველებს, რადგან ე.წ. „დიდი დეპრესიის“ შემდეგ მყარ ვალუტებს შორის საბჭოთა მანეთი ბევრად უფრო ფასეული იყო, ვიდრე ბრიტანული ფუნტი და ამერიკული დოლარი. **ასე რომ, 1937 წლის რეპრესიებს რეალური საფუძველი ჰქონდა და შეთქმულება სტალინის წინააღმდეგ ნამდვილად არსებობდა, რასაც ვალტერ შელენბერგიც ადასტურებს!**

> **„1937 წლის გაზაფხულ-ზაფხულში მიხეილ ტუხაჩევსკი და მისი ხროვა ნამდვილად გეგმავდნენ სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას და სტალინის ლიკვიდაციას!“**



*ვალტერ შელენბერგი — ჰაინრიხ მიულერს:*

**მგონი, თქვენ ახლა ასეთი რამ უნდა თქვათ — „ჰაილ, სტალინ! გაუმარჯოს ჩემს ოცნებას, რომ „ენკავედეს“ შეფი გავხდე!“**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

## ᲛᲡᲛᲔᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ „ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲔᲣᲚᲘᲡ“ (ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ, ᲩᲔᲠᲩᲘᲚᲘ, ᲠᲣᲖᲕᲔᲚᲢᲘ) ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲗᲐᲜ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲘᲜᲯᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲓᲐᲓᲒᲐ. ᲔᲡ ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲛᲐ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ. ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲦᲐᲠ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲓᲐ ᲔᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ?

ეს პოტსდამის კონფერენციაზე მოხდა. იმ დროს **ᲠᲣᲖᲕᲔᲚᲢᲘ** ცოცხალი აღარ იყო, **ამერიკას ახალი პრეზიდენტი — ᲰᲐᲠᲘ ᲢᲠᲣᲛᲔᲜᲘ წარმოადგენდა.** კონფერენციის დასაწყისში მოლაპარაკებას **ᲩᲔᲠᲩᲘᲚᲘ** ესწრებოდა, მაგრამ ამასობაში ინგლისში კონსერვატორები არჩევნებში დამარცხდნენ, **ᲩᲔᲠᲩᲘᲚᲘ** იძულებული გახდა, გადამდგარიყო და მისი ადგილი მოლაპარაკებათა მაგიდასთან **დიდი ბრიტანეთის ახალმა პრემიერ-მინისტრმა ᲔᲢᲚᲘᲛ დაიკავა.**

ძირძველი ქართული და სომხური მიწების დაბრუნების მიზნით თურქეთთან საზღვრის გადასინჯვის განზრახვის შესახებ კონფერენციაზე მართლაც **ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲛᲐ** განაცხადა და ხაზი გაუსვა, რომ ეს საკითხი მშვიდობიანი გზით, თურქეთის მთავრობასთან მოლაპარაკებისას გადაწყდებოდა. **აშშ-ის** და **დიდი ბრიტანეთის** ხელმძღვანელებს მაშინ რეაგირება არ მოუხდენიათ, მაგრამ ერთობლივი ძალებით უეჭველად შეეცდებოდნენ, **ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ** ამ გადაწყვეტილებას წინ აღდგომოდნენ.

**საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მაშინდელი პირველი მდივნის ᲐᲙᲐᲙᲘ ᲛᲒᲔᲚᲐᲫᲘᲡ** მოწმობით, ბელადი ნამდვილად აპირებდა საზღვრების გადახედვას და წართმეული მიწების დაბრუნებას. ომის შემდეგ (ზუსტი თარიღი მითითებული არ არის) **ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲡ** შავიზღვისპირა აგარაკზე მსოფლიოს ახალი რუკა მიუტანეს საზღვრების ყველა იმ ცვლილებითურთ, რომლებიც ფაშისტურ გერმანიასა და იაპონიაზე გამარჯვების შედეგად განხორციელდა. **ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ ᲛᲒᲔᲚᲐᲫᲘᲡ** თანდასწრებით ყურადღებით ათვალიერებდა ამ რუკას და მოკლე კომენტარებს უკეთებდა ცვლილებებს. **ᲛᲒᲔᲚᲐᲫᲘᲡ** მოწმობით, მან დასავლეთზე მიუთითა და თქვა: **„აქ ახლა ყველაფერი რიგზეა“.** შემდეგ აღმოსავლეთს მიაპყრო მზერა და დაამატა: **„სამხრეთი სახალინი და კურილის კუნძულები დავიბრუნეთ“.** ბოლოს კი **თურქეთთან** საზღვარს თითი გააყოლა და თქვა: **„აი, ეს საზღვარი კი არ მომწონს.“**



**ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲓᲐ ᲔᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ?**

ეჭვი არ არის, **ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ** მას გადაწყვეტდა, თანაც ყოველგვარი ძალის გამოყენების გარეშე. არსებობს მონაცემები, რომ **თურქული** მხარე მზად იყო მოლაპარაკებისათვის და უთუოდ დაუთმობდა **ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲡ.** მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ სწორედ იმ პერიოდში საერთაშორისო ვითარება მკვეთრად დაიძაბა და საზღვრების გადასინჯვის აქციას შეეძლო, კიდევ უფრო მეტი კონფრონტაცია გამოეწვია ერთი მხრივ, საბჭოთა კავშირს, მეორე მხრივ კი — **აშშ-სა** და **დიდ ბრიტანეთს** შორის. თანაც **სსრკ** მაშინ ბირთვულ იარაღს ჯერ არ ფლობდა. მოკლედ, **ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲛᲐ** გადაწყვიტა, ეს პრობლემა უფრო ხელსაყრელი დროისათვის გადაედო. თუმცა, როგორც ვიცით, ამის განხორციელება, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვერ მოასწრო.

## ᲛᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ ᲘᲛ ᲤᲐᲨᲘᲡᲢ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲗᲐ ᲑᲔᲓᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲜᲘᲣᲠᲜᲑᲔᲠᲒᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐᲚᲛᲐ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲕᲐᲓᲘᲗ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲑᲐ ᲛᲘᲣᲡᲐᲯᲐ. ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲛᲐᲗᲘ (ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲡᲙᲝᲠᲪᲔᲜᲘᲡ), ᲕᲘᲜᲪ ᲜᲘᲣᲠᲜᲑᲔᲠᲒᲘᲡ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲡ ᲒᲐᲓᲐᲣᲠᲩᲐ.

**საერთაშორისო ტრიბუნალის განაჩენი ᲜᲘᲣᲠᲜᲑᲔᲠᲒᲨᲘ 1946 წლის 1 ოქტომბერს** გამოაცხადეს. მკაცრი ვერდიქტის თანახმად, 11 ადამიანს — **გერინგს, რიბენტროპს, როზენბერგს, ფრანკს, შტრაიხერს, კაიტელს, ზაუკელს, იოდლს, ზაის-ინკვარტს, ბორმანს** და **კალტენბრუნერს ᲩᲐᲛᲝᲮᲠᲩᲝᲑᲘᲗ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ ᲛᲘᲔᲡᲐᲯᲐ** (პარტიაში ჰიტლერის მოადგილეს **ბორმანს** — დაუსწრებლად). **გერინგმა 15 ოქტომბერს** ცოლის მიერ პაემანის დროს გადაცემული შხამიანი კაფსულის დახმარებით თავი მოიკლა. დანარჩენ სამხედრო დამნაშავეთა სიკვდილით დასჯა **16 ოქტომბრის** ღამეს განხორციელდა.

**ᲑᲝᲠᲛᲐᲜᲘᲡ** ბედი უცნობია. ზოგი მონაცემით, ის **1945 წლის 2 მაისს ბერლინში დაიღუპა დაბომბვის დროს,** თუმცა, ეს დოკუმენტურად დადასტურებული არ არის. სხვა ვერსიით კი სამხრეთ ამერიკაში გაიქცა, პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა და შეცვლილი გვარით ცხოვრობდა იქ.



ᲡᲙᲝᲠᲪᲔᲜᲘ

დანარჩენი სამხედრო დამნაშავეებიდან ნიურნბერგის პროცესზე **რუდოლფ ჰესს, ვალტერ ფუნკს, ერიკ რედერს** სამუდამო პატიმრობა მიესაჯა, **ბალდურ ფონ შირახს, ალბერტ შპეერს** — 20 წელი, **კონსტანტინ ფონ ნაირატს** — 15 წელი, **კარლ დენიცს** — 10 წელი. **ჰესი, ფუნკი** და **რედერი** სხვადასხვა დროს ციხეში გარდაიცვალნენ. ამასთან **ჰესი** თითქმის 100 წლისა იყო და პატიმრობაში, ფაქტობრივად, 1941 წლიდან იმყოფებოდა, როდესაც საკუთარი პასუხისმგებლობით **ინგლისში** გადაფრინდა და იქ ინტერნირებულ იქნა. არსებობს ვერსია (რომელიც დოკუმენტურად არ დასტურდება), რომ **ჰესი** — შპანდაუს ციხის ერთადერთი ტუსაღი, რომლის გულისთვისაც იქ მუდმივად იმყოფებოდა გამარჯვებული ქვეყნების ბადრაგა — ინგლისელმა მებადრაგეებმა დაახრჩვეს და ეს აქტი თვითმკვლელობად გაასაღეს.




შპანდაუს დანარჩენმა პატიმრებმა სასჯელის ვადა მოიხადეს და სხვადასხვა დროს გამოვიდნენ ციხიდან. ისინი, ძირითადად, გფრ-ში ცხოვრობდნენ. ბევრმა მათგანმა დატოვა მოგონებები. ცნობილია, მაგალითად, **ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘᲡ ეკონომიკის მინისტრის ᲨᲞᲔᲔᲠᲘᲡ** მემუარები.

რაც შეეხება ცნობილ თავზეხელაღებულს, ესესის ობერშტურმანფიურერ **ოტო სკორცენის,** ნიურნბერგის პროცესზე ის დაუსწრებლადაც არ გასულა. იქ მთავარ სამხედრო დამნაშავეებს ასამართლებდნენ. რანგით დაბალი დამნაშავენი, მაგალითად, **სკორცენი** და **აიხმანი,** სხვა სასამართლოებმა განსაჯეს. თუმცა, ორივემ გაქცევა შეძლო. **ᲐᲘᲮᲛᲐᲜᲛᲐ** სამხრეთ ამერიკაში ჩააღწია, სადაც გამოცვლილი გვარით ცხოვრობდა, მაგრამ ისრაელის დაზვერვამ აღმოაჩინა. ის ისრაელში ჩაიყვანეს, გაასამართლეს და ჩამოახრჩვეს. ზოგი მონაცემით, მართლმსაჯულებას **ᲡᲙᲝᲠᲪᲔᲜᲘᲪ** გაექცა. ივარაუდება, რომ ის ჯერ ესპანეთში ჩავიდა, შემდეგ კი სამხრეთ ამერიკაში, სადაც ნაცისტებისადმი თანაგრძნობით განწყობილი მრავალრიცხოვანი გერმანული დიასპორა არსებობდა. შემდგომში მისი კვალი იკარგება.



ᲐᲘᲮᲛᲐᲜᲘ



## ᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲨᲘ ᲥᲔᲠᲩᲘᲡ ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲘᲦᲣᲞᲐ, ᲓᲘᲓᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ – ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲔᲑᲘ. ᲠᲐᲢᲝᲛ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲔᲡ? ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲛᲐ ᲑᲠᲫᲐᲜᲐ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓ ᲐᲠᲛᲘᲐᲨᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲒᲐᲔᲬᲕᲘᲐᲗ, ᲠᲐᲗᲐ ᲔᲠᲘ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲔᲮᲡᲜᲐ?

**ქერჩის კატასტროფა** (1941 წლის დეკემბერი — 1942 წლის იანვარი) მთელ ომში მართლაც ყველაზე სისხლისმღვრელი იყო. ამ გააფთრებულ ბრძოლაში წითელი არმიის დანაკარგი თითქმის მილიონ ადამიანს ითვლის. ტყუილად როდი უწოდებდნენ **ქერჩის ყურეს „ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡ ᲧᲣᲠᲔᲡ“.** საბჭოთა ჯარების მცდელობა, უკან დახევისას გემებით გაეყვანათ ხალხი და ტექნიკა, უშედეგოდ დამთავრდა. ჰაერში გაბატონებული გერმანული ავიაცია ყურეში ნებისმიერ ტრანსპორტს ძირავდა, მათ შორის — საერთაშორისო ნორმების უგულებელყოფით — დაჭრილებით სავსე წითელჯვრიან გემებსაც. ასე რომ, **გარდა ნოვოროსიისკის, სევასტოპოლისა და ქერჩისთვის ბრძოლებში დანაკარგისა, ათიათასობით** (თუ ასიათასობით არა) **უკანდახეულმა თუ დაჭრილმა მეომარმა შავი ზღვის ფსკერზე პოვა სამარე.** მართალი ბრძანდებით, დიდ ნაწილს ჩვენი თანამემამულეები შეადგენდნენ.

**როგორ გახდა შესაძლებელი ასეთი გრანდიოზული კატასტროფა?**

ეს **ყირიმის ფრონტის სარდლის — გენერალი ᲙᲝᲖᲚᲝᲕᲘᲡ** და **ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრის ᲛᲔᲮᲚᲘᲡᲘᲡ** უხეირო ხელმძღვანელობის შედეგად მოხდა. მათ ვიწრო უბნებზე მოუყარეს თავი ცოცხალ ძალას და ტექნიკას, რომლებიც გერმანულმა არტილერიამ მყისვე ლითონის გროვად და სისხლიან სასაკლაოდ გადააქცია. **ᲙᲝᲖᲚᲝᲕᲘ ამისათვის ფრონტის სარდლობიდან მოხსნეს და ჩამოაქვეითეს. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ** რჩეული **ᲛᲔᲮᲚᲘᲡᲘ** კი თითის დაქნევით გადარჩა (კიდევ იტყვიან, სტალინი ანტისემიტი იყოო!).




რაც შეეხება სტალინის განკარგულებას, მოქმედ არმიაში ქართველები არ გაეწვიათ, ეს ფანტაზიის სფეროდანაა. ასეთი განკარგულება ბუნებაში არ არსებულა და არც შეიძლება ყოფილიყო. ქართველებს ისევე, როგორც სხვა ხალხთა წარმომადგენლებს მთელი ომის განმავლობაში, **1945 წლამდე** იწვევდნენ და მოწინავე ხაზზეც აგზავნიდნენ. ერთს კი გეტყვით. **ქერჩის კატასტროფის შემდეგ საბჭოთა ხელმძღვანელობამ საიდუმლო გადაწყვეტილება მიიღო ამა თუ იმ ხალხის რაოდენობასთან პროცენტული შეფარდების თანახმად არმიაში გაწვევის შესახებ.** ეს მხოლოდ ქართველებს კი არა, ყველა მცირე ერს ეხებოდა.

**ᲨᲔᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲯᲐᲛᲨᲘ ᲓᲘᲓ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲜᲐᲙᲐᲠᲒᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲣᲚᲐᲓ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲙᲐᲠᲒᲡ ᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲡ.**


ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘᲡᲘᲛᲣᲡᲘ
2023 ᲬᲚᲘᲡ 6 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ, №62 (230)

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ
**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com** ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ფეისბუქი: **www. facebook.com/Asavali.com** გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**

# „მართლაც რომ საკითხავია — ევროკავშირი თავად თუ არის საქართველოს ღირსი?!“



**ჯონდი ბაღათურია:**

# შტატები გამოსავალს დანარჩენ მსოფლიოში ომის გაჩაღებაში ხედავს!

***ძალიან სახიფათო ფაზაში ვართ! — აცხადებს „ქართული დასის“ ლიდერი, ყოფილი პარლამენტარი ჯონდი ბაღათურია და მორიგ პოლიტიკურ პროგნოზს სთავაზობს მკითხველს:***

— მთავრდება ეპოქა, როცა მსოფლიო წესრიგი მთლიანად იყო აწყობილი ერთპოლუსიან სამყაროზე, ერთი ჰეგემონის — ამერიკის შეერთებული შტატების მმართველობაზე. იქიდან გამომდინარე, რომ უპრეცედენტოდ გაძლიერდა რუსეთი და ჩინეთი, ამ ორმა სახელმწიფომ უარი განაცხადა აშშ-ის მორჩილებაზე, დანარჩენმა სახელმწიფოებმაც, დიდებმა თუ პატარებმა, დაიწყეს ფრთხილი, მაგრამ თანმიმდევრული და შეუქცევადი ნაბიჯების გადადგმა სუვერენიტეტის გასაძლიერებლად. მოკლედ, ახალი რეალობის წინაშე აღმოვჩნდით — **ძველი მსოფლიო წესრიგი აღარ არსებობს, ახალი კი ჯერ არ შექმნილა!**

შტატები გამოსავალს დანარჩენ მსოფლიოში ომის გაჩაღებაში ხედავს. ალგორითმს არ გვთავაზობს, ქაოტურ ომს მიმართავს — **ყველა ყველას წინააღმდეგ!** წარმოიდგინეთ, მსოფლიოში არის იმპერია, რომელიც ცდილობს, ომის ცეცხლი გააჩაღოს მის გარდა ყველა კონტინენტზე. **უკრაინაში და ახლო აღმოსავლეთში ომია, არ არის გამორიცხული სამხრეთ აღმოსავლეთში, ტაივანის ირგვლივაც წამოიწყოს შტატებმა ომი და მასში ჩართოს ავსტრალია, იაპონია, სამხრეთ კორეა და ახალი ზელანდია.** ბეწვის ხიდზე გადის ევროპაც, რათა უკრაინის ტერიტორიაზე მიმდინარე ომი მას არ მოედოს.

**— ანუ იმაში, რაც ახლა ისრაელსა და პალესტინაში ხდება ამერიკის ხელი ურევია?!**

— შეთქმულების თეორიას რომ არ დაემსგავსოს ჩემი საუბარი, ვიტყვი მხოლოდ ერთს: ის, რომ ახლა აშშ მღვრიე წყალში თევზების დაჭერას ცდილობს და ცეცხლზე ნავთს ასხამს, ფაქტია! უფრო მეტიც, იგი მსოფლიო ეკონომიკური კრიზის დაძლევას მსოფლიოში ომების გაჩაღებით აპირებს.

ნახეთ, როგორ იქცევა ამერიკა? ერთი მხრივ, შტატებში იმართება ისრაელის მთავრობის მხარდამჭერი და პალესტინის დაბომბვის მომხრეთა აქციები, მეორე მხრივ, დემონსტრაციები მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვის შეწყვეტის მოთხოვნით. საგულისხმოა, რომ ომის გაგრძელების მოთხოვნით არცერთი აქცია არ დაუშლიათ, სამაგიეროდ, შლიან და სასტიკად არბევენ ყველა იმ აქციას, რომელიც მშვიდობის მოთხოვნით იმართება. **ნიუ-იორკში პოლიციამ ასობით ეთნიკური ებრაელი დემონსტრანტი დააკავა, რომელიც პალესტინის დაბომბვას აპროტესტებდა.** როგორ ფიქრობთ, ასეთი რამ შემთხვევით ხდება?! თავისთავად ჩნდება შეკითხვა — ვის სჭირდება და ვისი გაჩაღებულია ეს ომი?

**— ოფიციალური ცნობით, ისრაელს „ჰამასი“ დაესხა თავს...**

— რამდენიმე დღის წინათ ისრაელის მთავრობამ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ყატარის მთავრობა იმის გამო, რომ „ჰამასის“ ცენტრი იქ არის. ამის საპასუხოდ ყატარის ელჩმა განაცხადა — **„ჰამასის“ ყოფნა ყატარში ვაშინგტონის თხოვნით გვაქვს ორგანიზებული.**

## 2012 წლიდან ყატარის დედაქალაქ დოჰაში მართლაც ობამას ადმინისტრაციის თხოვნით დაიწყო ფუნქციონირება „ჰამასის“ ოფისმა, როცა სახელმწიფოს მეორე პირი ვიცე-პრეზიდენტი ბაიდენი გახლდათ.

**ამ ინფორმაციის შემდეგ რაიმე კომენტარი კიდევ არის საჭირო?!** დიახ, დიდი ბოროტება ჩაიდინა „ჰამასმა“ — ცეცხლი გახსნა, მაგრამ, რასაც ახლა ისრაელის მთავრობა აკეთებს, ეს არის მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტა და პრინციპულად მიუღებელია!

**— ომის ქარცეცხლსა და არსებული გამოწვევების ფონზე როგორ გამოიყურება საქართველო და მისი ხელისუფლება?**

— ახლახან **გაეროში** ჩატარდა კენჭისყრა, რაზეც ე.წ. ოპოზიციონერების შიშით ხელისუფლებას ყურადღება არ გაუმახვილებია. სინამდვილეში, **საქართველომ სწორი პოზიცია დაიკავა, საომარი მოქმედებების შეწყვეტის თაობაზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა.** წინააღმდეგი მხოლოდ 14 სახელმწიფო წავიდა — შეერთებული შტატები, ისრაელი და მერე პაპუა გვინეა და მისთანები... ხელისუფლება ცდილობს, გაიაროს დანის პირზე და შემიძლია ვთქვა, რომ დღეს საქართველო ღირსეულად გამოიყურება. **ჩვენი ქვეყანა მათ რიგებშია, ვინც უსაფრთხოების ახალი არქიტექტურის შექმნას ელოდება.** ფრთხილად მოქმედებს, თუმცა, არის საკითხები, რომლებიც დროულად უნდა გადაიჭრას.

**— კერძოდ?**

— 3+3 ფორმატი ვინმეს რომ არ ეთქვა, ჩვენ უნდა გამოგვეგონა. ეს არის არის საქართველოს გეოპოლიტიკურ ინტერესებზე, უპირატესობაზე მორგებული ფორმატი. აქ დაგვიანება არ შეიძლება! ამ ფორმატში მონაწილეობს მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი სახელმწიფო **რუსეთი,** რეგიონის მთავარი სახელმწიფოები — **თურქეთი და ირანი** და ორი ჩვენი მეზობელი — **აზერბაიჯანი და სომხეთი.** შეიძლება საქართველომ არ მიიღოს მონაწილეობა? მინიმუმ აქტიურად არ სვამდეს შეკითხვებს და არ სწავლობდეს ფორმატის პოზიტიურ მხარეებს?!

## ჩვენი გეოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე, საქართველოს აქვს შანსი, ამ ფორმატის დედაქალაქად გადაიქცეს, როგორც, მაგალითად, ევროკავშირის დედაქალაქია ბრიუსელი.

**— რამდენად ლოგიკურია ამ ფორმატში მონაწილეობაზე საუბარი მაშინ, როდესაც კანდიდატის სტატუსის მოლოდინში ვართ?!**

— ჩვენს მეზობელ, რეგიონულ ლიდერს **თურქეთს** უკვე 23 წელიწადია, კანდიდატის სტატუსი აქვს, მეტიც, ნატოს წევრი ქვეყანაც არის. **თუ თურქეთს არ უშლის ხელს კანდიდატის სტატუსი ამ ფორმატში მონაწილეობისთვის, ჩვენ რატომ შეგვიშლის? ეს ფორმატი საქართველოსთვის გლობალურად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღება.** დახედეთ რუკას — ჩვენ ამ ფორმატში შემავალი სახელმწიფოების ალყაში ვართ. ან წინააღმდეგობაში მოვდივართ მათთან, ან ამ ფორმატის ეპიცენტრი ვხდებით!

ვფიქრობ, ჩვენ კანდიდატის სტატუსს მაინც არ მოგვცემენ, რადგან საქართველოს ხელისუფლებისაგან უარი მიიღეს ქვეყანაში მეორე ფრონტის გახსნასა და კავკასიური ომის წამოწყებაზე. არ არის გამორიცხული, კოლექტიურმა დასავლეთმა შური იძიოს ხელისუფლებაზე. იმასაც ფიქრობენ, რომ სტატუსის არმოცემის შემთხვევაში, განრისხებული ქართველობა ქუჩაში გამოვარდება და ხელისუფლებას დაამხობს. ისინი ასეთ იმპერატიულ აზროვნებას არიან შეჩვეულნი. ეშვი და ბრჭყალი რომ გაუცვდათ, ამის აღიარება არ სურთ. სხვა საკითხია, იმსახურებს თუ არა საქართველო ევროკავშირის წევრობას.

**— თქვენ რას ფიქრობთ?**

— **მართლაც რომ საკითხავია — ევროკავშირი თავად თუ არის საქართველოს ღირსი?! თუ მათი ლიდერების ზნეობრივ-მორალურ სახეს შევხედავთ, ისინი ნამდვილად არ არიან საქართველოს წევრობის ღირსნი!** რა თქმა უნდა, ხალხზე არ ვსაუბრობ, თუმცა, იქაური ხელისუფლება აბსოლუტურად დეგრადირებულია — ზნეობრივად გახრწნის მწვერვალზეა. **დღეს ევროკავშირის, როგორც სტრუქტურის, მთავარი მორალური ორიენტირი არის ტრანსგენდერიზმი. გვინდა ასეთ სტრუქტურაში შესვლა?!**

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***



ბაიდენი და ზელენსკი



ბაიდენი და ნეთანიაჰუ

# «ის, რომ ახლა აშშ მღვრიე წყალში თევზების დაჭერას ცდილობს და ცეცხლზე ნავთს ასხამს, ფაქტია!»

# მო გელა ნდებით!



## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ხიდელაშვილთან ერთად

# ვინაა თქვენი სიმპათიური?





როცა ესენი სხვებს შეურაცხყოფენ, მათი ქმედება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ჩარჩოებში ჯდება.

მიუხედავად იმისა, რომ ესენი უფრო მეტსაც იმსახურებენ, პარლამენტში გამოყენებული ლექსიკა არ მომეწონა — **შეურაცხყოფის მიყენება ცოტა ზრდილობიანადაც შეიძლებოდა.**

მაგალითად, სიტყვა **„ბანძის“** ნაცვლად, ალუდა ღუდუშაურს შეეძლო, ეხმარა სიტყვა **„სიმპათიური“.**

**ანი წითლიძე „სტოლზე“ შეხტებოდა, ჰაერში კამარას შეჰკრავდა, შემოტრიალდებოდა, თვალებს ზე აღაპყრობდა და დასჭყივლებდა — ვინაა, ბიჭო, შენი სიმპათიური, შე დებილო-ვო?!**

☺

რაც შეეხება **თეონა აქუბნას,** რომელსაც მამასავით სულ ზეშთაგონებული გამომეტყველება აქვს, არ იყო საჭირო მაზოლზე ფეხის დაჭერა — **რას ჰქვია, მივლინებების დროს აეროპორტში ლოთაობ და მერე იშხლართები? ეს რანაირი მიმართვაა?**

**ირაკლი ბერაიას** შეეძლო, ეთქვა — **ქალბატონი თეონა აქუბნა კეთილშობილურ სითხეებსა ჰყლურწამს და შემდეგ ნანასა შვრებაო.**

დამიჯერეთ, სიტყვა ძაან მამაძაღლი რამეა, ხშირად პირდაპირ მიხლა უფრო უეფექტოა, ვიდრე შემოვლით მიძახება. თუ **წითლიძეს** დღეში სამჯერ მაინც ეტყვით — **შე სიმპათიურო-ვო,** ერთ კვირაში გაგიჟდება, კახეთის ტრასაზე ქვების სროლას დაიწყებს და საღამოს პირველივე გადაცემაში იკითხავს — **„ვინაა თქვენი სიმპათიური“?!**

☺

ჰო, კიდევ ერთი... **აქუბნას** ნუ დასცინით, ჯერ ხომ მაგას ტაშტში ფეხები არ ჩაუყვია?

**ცოტა ზრდილობიანად, მეგობრებო, ცოტა ზრდილობიანად!**

☺

**მადამ „კლეზიდანი“** გამოვარდა გაკვასკვასებული გამომეტყველებით — როგორ ბედავთ, პარლამენტში ქალებს შეურაცხყოფთო? თავმჯდომარეს მოვუწოდებ, ყველა დასაჯოს და პარლამენტიდან გაყაროსო!

აშკარად ჩანდა, **მადამ „კლეზიდანს“** ჯამ-ჭურჭელი ახალი დამტვრეული ჰქონდა... ავი ენები ამბობენ, ეგეცა ჰყლურწამს ხოლმე და მერე ჯამ-ჭურჭელს ამტვრევსო... **ერთი ეგ არი, გაშხლართული არ გვინახავს, მაგას ბოლო დროს სირბილი უნდება ბიძინა ივანიშვილის ბიზნეს-ცენტრის მიმართულებითო. აეგრე, დაადგება და მიდის, თან საკუთარ თავს ელაპარაკება — იმპიჩმენტი არა, შაშა, კოლა და თემურ ჭყონიაო.**

## მოსამართლემ სააკაშვილი გამორთო!



მოსამართლე **ბადრი კოჭლამაზაშვილმა** ბრალდებულ მიხას „სკაიპი“ გაუთიშა — ჩვენ აქ პოლიტიკური მიმომხილველი არ გვჭირდება, რასაც გედავებით, იმის გარშემო ილაპარაკეო, სამაგისოდ **ხუხაშვილიც** გვეყოფაო.

არა, **ხუხაშვილი** არ უხსენებია, ეს მე დავამატე, თხრობას უხდება.

☺

აბა, ახლა, **მოსამართლე კოჭლამაზაშვილი** ტყუის? ჰმ... ტყუის კი არა, აქამდეც ეგრე უნდა მოქცეულიყო! ჩაურთავენ „ვივამედის“ ბინადარს (ეგ პაციენტი აღარ არი! „სკაიპს“), ჩამოუსხდებიან მოსამართლეები და უსმენენ ამის რაკუნს მთელი დღე — **ხან ისრაელ-პალესტინის ურთიერთობებს იხილავს, ხან სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტს, ხან კიდე რუსეთ-უკრაინის ომის ამბებს უყვება...** ზოგჯერ პატივს დაგვდებს ხოლმე და აქეთაც გადმოდის — **მეო, ქართველ ხალხს აეგრე თუ ვუყვარდი, არც კი მეგონაო, ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობ ამ დიდ სიყვარულსო...** აი, სოფო რო დადის ბაზარ-ბაზარ, მაინდანაც გამოსჭვივის ჩემ მიმართ უსაზღვრო სიყვარულიო... დიახაც, ჩვენ ერთად შევიმუშავებთ გამარჯვების ფორმულას და გამოვიხსნით სამშობლოს ბიძინა ივანიშვილის კლანჭებიდანო!

☺

**უსმინა, უსმინა ბადრი კოჭლამაზაშვილმა და ამოუვიდა ყელში ერთი და იგივე რაკუნი... შენა, ბიჭო, რას მიაცვ-მააცვამ, ბოლო-ბოლო, ხუხაშვილი ხარ თუ სააკაშვილიო?**

არა, მთლად ეგრე არ უთქვამს... მიაცვ-მააცვამო, ვერ იტყოდა, მაგრამ **გამომეტყველებაზე შევამჩნიე, გულში სუ მაგაზე ფიქრობდა.**

საღოლ, ბატონო ბადრი, საღოლ... ტელევიზორის, მაცივრის ან სულაც მტვერსასრუტის მსგავსად რო გათიშე ეგ არაკაცი!



# ასის წლის შემდეგ!




შავმა ნოდარამ — **ბიძინა ივანიშვილმა კენიიდან ბაობაბები იმიტომ ჩამოიტანა, რომ 100 წლის შემდეგ სიცოცხლე კიდევ 15 წლით გაიხანგრძლივოსო.**

როგორც **შავნოდარას ბნელი ქალი** გვიყვება, ბაობაბის ხეებს იყენებენ სურვილების ასრულების ბანგის დასამზადებლად. ბაობაბის ფხვნილის რეგულარული მიღება სიცოცხლეს 15 წლით ახანგრძლივებს. ეს არის ყველა დაავადების საწინააღმდეგო ელექსირი.

აი, თურმე, რაშია საქმე — **ბიძინა ივანიშვილი სტაფილოს წვენით აღარ კმაყოფილდება და ახლა სურვილების ასრულების ბანგი მოუნდა.**

კი მაგრამ, მეტი რაღა სურვილი უნდა აისრულოს? ყველაფერი ხომ აისრულა? სულ რომ ხელისუფლებაში იყოს, ეგა, ხომ? თან ისე უნდა იყოს მუდმივად ხელისუფლებაში, რომ არცერთი დაავადება არ აწუხებდეს!

კაი, ამას გაუძლებს ქვეყანა, ბოძებსა და საგზაო ნიშნებსაც აღვადგენთ, ბაობაბების ტრანსპორტირება რომ გადაიტანეს... ამ შემთხვევაში **სააკაშვილის კრეტინ შეგირდებს** ის უფრო აწუხებთ, ბიძინა ივანიშვილი 100 წლის შემდეგ სიცოცხლეს კიდევ 15 წლით რომ გაიხანგრძლივებს. ემანდ, თავიანთ **უკვდავ** ბელად სააკაშვილს დამატებითი სროკი არ აჰკიდოს!

## კვირგვინოსნები

**თამარ ჩერგოლეიშვილი**
*„ტაბულას“ დამფუძნებელი*



მეცინება, **სააკაშვილიც და გვარამიაც** საკუთარ უსაქციელობებს **ფსიქიკური დიაგნოზებით და მენტალური აშლილობებით** რომ ხსნიან... მე თქვენ დაგმარხავთ.

„იმედის“ რეპორტიორი თუ მონაა, **მიშა მშვილდაძე და ეკა კვესიტაძე** მონები არ არიან? **ანუ ივანიშვილის მონობა მონობაა და კეზერაშვილის და სააკაშვილის მონობა მონობა არაა?**

„აიპრესი“

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



მინდა, შევქმნათ **სამოქალაქო თავდაცვისთვის ცხელი ხაზი,** სადაც შეგვატყობინებენ ანტიქართულ გამოსვლებზე — **დივერსიული ჯგუფია შემოსული, რომელსაც ევალება არეულობის პირობებში ხელისუფლების ხელში აღება** და დესტაბილიზაცია.

„ინტერპრესნიუსი“

**ბექა ლილუაშვილი**
*პარტია „საქართველოსთვის“ წევრი*



საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ **მიხეილ სააკაშვილი დამნაშავეა და სასჯელი უნდა მოიხადოს.**

„პირველი არხი“

**ნიკა გვარამია**
*„მთავარი არხის“ დამფუძნებელი*



**პრეზიდენტისთვის არასდროს არაფერი მითხოვია,** ახლა ვაძლევ თავს უფლებას — **ვთხოვ, სააკაშვილთან დაკავშირებით მიიღოს გადაწყვეტილება.**

„პირველი არხი“

**გიული ალასანია**
*მიხეილ სააკაშვილის დედა*



პრეზიდენტს აქვს **შეწყალების უფლება** და, ალბათ, გააკეთებს იმას, რაც თვითონ მიაჩნია საჭიროდ. მე არ მიმაჩნია, რომ **მიხეილ სააკაშვილს** რაიმე ისეთი დანაშაული აქვს, რომ **შესაწყალებელი იყოს.**

„იმედინიუსი“

# აპაჩებიც უკან დარჩებიან!

თქვენი არ ვიცი, მე კი ისეთი შეგრძნება მაქვს, მალე ინდიელთა გაწვრთნილი ტომი შემოგვესევა და წვეტიან ისრებსაც დაგვიშენს.

თქვენ გგონიათ, რამეს ვიგონებ? **პირველ სურათზე რომ ხედავთ,** პირწავარდნილი **ვინეტუ ინჩუ-ჩუნაა. მეორე სურათზე რომ ხედავთ, ვინეტუ ინჩუ-ჩუნას ასულია.**

კონკრეტულად საიდან გამოჩნდნენ ქართულ სინამდვილეში, არავინ უწყის. როგორც თვითონ ყვებიან, უხსოვარ დროში მათი წინაპრები ამ მიწაზე ცხოვრობდნენ, მერე მოვიდნენ ვიღაცები და სადღაც გარეკეს. **ახლა მიზნად აქვთ დასახული, ეს მიწა-წყალი ოლიგარქისგან და რუსებისგან გაათავისუფლონ.**







☺

**პირველ სურათზე რომ ხედავთ,** ეგ იძახის — **მესამე სურათზე გამოსახულის ძმა ვარ, ერთხელ დათვრა, ჩემი ტომიდან გამოიქცა და ამიტომაც კაი ხანს არ ველაპარაკებოდიო.** თუმცა, მას შემდეგ, რაც ქართველების ბელადი გახდა, ყველაფერი ვაპატიე და ამ ძნელბედობის ჟამს დახმარებაც კი აღვუთქვიო.

ამათ, **ამ ინდიელთა ტომის წარმომადგენლებს,** დახმარება თავის მხრივ **ჰელენ ბოზიევიჩმაც** აღუთქვა — **„სვისტოკებით“ მოგამარაგებთო... თეთრი ბუმბულები თუ დაგჭირდებათ, არც ეგ არი პრობლემაო. შავმა ნოდარამ — მძიმე მუსიკა და გაშუქება ჩემზე იყოსო. მამუკი ხაზარაძემ — რამდენი ცხენიც იქნება საჭირო, არ მოგერიდოთ, მზად ვარო. კობა ხაბაზმა კი შუბების დამზადება უკვე დაიწყო.**

☺

**პირველ სურათზე** როა, მაგას მიწაზე ყური დაუდვია და ამაყად განუცხადებია — **რევოლუცია მოდისო.** თან გარეულ ღორის ეშვები მოუთხოვია, გულის ფიცარზე უნდა დავიკიდო-ვო. **ქურქუმალ ვაითს** უთქვამს — ბაზარი არ არი, სახლში მაქ რამდენიმე ცალი და მოგიტანო.

☺

რამე იღონეთ, თორემ ესენი რომ სტვენა-ღრენას ატეხენ, ვეღარავინ გააჩერებს და **აპაჩებიც უკან დარჩებიან!**

# «პუსტოი» ბაზარი



მთისა თქვეს, ჰაზრები დაალაგეს. მთავარი სალაპარაკო მაინც ის იყო, რომ წელს ევროკავშირის სტატუსი თუ მოგვანიჭეს, რა გვეშველება-ო?

— **ვიიიიიიიიიშ,** — ამოიგმინა სალომენ ბრძენმა და მარჯვენა ხელი შუბლში იტკიცა.

— **არ მოგვცემენ!** — თქვა სიამაყით გამსჭვალულმა **იქითა შავსათვალიანმა** და რაღაცნაირი ცხვირი ზემოთ აიზუა.

— **რას ჭქვია, არ მოგვცემენ?** — მხრები აიჩეჩა **აქეთა შავსათვალიანმა.**

— **იიიიჰ, ნეტავ რა თავში იხლი?** — ჩაილაპარაკა სალომეუსმა.

— **გოგო, ამათ თუ კანდიდატის სტატუსი დაითრიეს, მერე ნახე ბიძინა ივანიშვილის გაჯეჯილება, გვინდა ეხლა ჩვენ ეგა?!** — აწიკვინდა **იქითა შავსათვალიანი.**

— **ბიძინა რაში მაინტერესებს?** — გადმოკარკლა თვალები **აქეთა შავსათვალიანმა.**

— **აბა, ვინ გაინტერესებს?** — გააკვასკვასა თვალები „პლეზიდანმა“.

— **მე მაინტერესებს რომანი... კიდე ისა, თემური, ზაური, ტაურ-ტაური და რა ვიცი, იმდენი ბავშვობის მეგობრები მყავს, ვეღარც კი ვითვლი!** — მიუგო **აქეთა შავსათვალიანმა.**

— **ესე იგი, კანდიდატობა გინდა, ხომ?** — ჩაეკითხა **იქითა შავსათვალიანი.**

— **ძალიან მინდა, მაგრამ ვიფიქრებ, ჩემ დაქალებს ხომ არ გიღალატებთ?** — მიუგო ისევ **აქეთა შავსათვალიანმა.**

☺

შეხვედრა მეტად ნაყოფიერი გამოდგა, თითქმის ყველა საჭირბოროტო საკითხი განიხილეს, გააანალიზეს და დაადგინეს, რომ „ქართული ოცნება“ უნდა გაუშვან... დროა, ხელისუფლების სადავეები გადაიბაროს მომავალმა თაობამ — **რომან გოცირიძემ, მამუკი ხაზარაძემ, ბადრი ჯაფარიძემ, სალომე ზურაბიშვილმა, თვითონ ამათ...** ყველა არ ჩამოთვალეს, ემანდ არავის ეწყინოსო. რაც შეეხება **მიხეილ სააკაშვილს,** მაგას ისიც ეყოფა, სატუსაღოდან რომ დავიხსნითო. თუმცა... ვნახოთ, როგორ მოიქცევა, თუ თავში არ აუვარდა, შეიძლება დავასაქმოთ კიდევაც დარაჯადო... **იჯდეს და ამრგვალოს კურკლი, მეტი რა საქმე აქვსო?**

ადრე უფრო მაგარი დაქალოჩკები იყვნენ, როცა ერთ პარტიაში იოფლებოდნენ. მერე ამათი გზები გაიყარა — **იქითა შავსათვალიანი მამუკისთან** წავიდა, **აქეთა შავსათვალიანი** და „კლეჩატკასტუმიანი“ **რომან გოცირიძეს** მიეკედლა, მასთან ერთად პარლამენტში ჯგუფიც კი შექმნა, ევროპიული რაღაცა დაარქვა, ოპტიმისტები თუ პესიმისტებიო.

☺

**იქითა შავსათვალიანი** და **აქეთა შავსათვალიანი** მაინც ხშირად ხვდებიან ერთმანეთს. ხან აშუშუს საელჩოში იკვეთებიან, ხან — ევროპიული ქვეყნების საელჩოებში, ხან — საერთაშორისო ორგანიზაციების ოფისებში, ხან კიდე — კულტურულ ღონისძიებებზე. ესენი ყველგან დადიან, თავებს ანგარიშგასაწევებად თვლიან და ფიქრობენ, რომ შესაბამისი გავლენაც გააჩნიათ. ეგეც რომ არ იყოს, ძალზედ უხარიათ, როცა ჭკუას ეკითხებიან და ყოველ საღამოს თუ არა, დღეგამოშვებით მაინც ტელესტუდიებში იწვევენ.

☺

აი, ახლაც მეტად მნიშვნელოვანი შეხვედრა ჰქონდათ **მადამ „პლეზიდანთან“.** დასხდნენ, იჭუკჭუკეს, ამ მთისა თქვეს, იმ

# მოგელანდებით!



## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად

## კვირგვინოსნები

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



დეკემბრის შუა რიცხვების შემდეგ **სალომე ზურაბიშვილი გახდება დიდი ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრის ორთქლმავალი** — გეშინიათ, ბიჭებო? — უნდა გეშინოდეთ.

„პალიტრანიუსი“

**ოთარ ზურაბიშვილი**
*სალომე ზურაბიშვილის ძმა*



**სალომე ზურაბიშვილი** მშიშარა არ არის — **ემუქრებიან ციხით და ფიქრობენ, რომ უკან დაიხევს,** მაგრამ ევროინტეგრაციისთვის მისთვის წითელი ხაზები არ არსებობს, წავა იქ, სადაც საჭიროა — **თუ ციხეში აღმოჩნდა, ამასაც გარისკავს.**

„პალიტრანიუსი“

**ხატია დეკანოიძე**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



„ქართულ ოცნებას“ ყველაზე დიდი საჩუქარი **ლევან ხაბეიშვილმა** გაუკეთა, როცა **პარტიულ გადატრიალებაში მონაწილეობა მიიღო.** ამით „ქართულმა ოცნებამ“ ყველაზე დიდი საჩუქარი — **დაშლილი და დასუსტებული ნაციონალური მოძრაობა მიიღო.**

„რეზონანსი“

**ლევან ხაბეიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე*



არავის არაფრის ეშინია — ვგმობ ყველანაირ ძალადობას, მაგრამ **თითებს და ხელებს მივამტვრევ ყველას,** ვინც საკრებულოებში ჩვენს წევრებს ცუდად მოექცევა.

„ინტერპრესნიუსი“

**ანი წითლიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**კანდიდატის სტატუსის მიღება** არ არის იმის გარანტი, რომ შეიძლება გავხდეთ **ევროკავშირის წევრი** ქვეყანა.

„იმედინიუსი“

დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2023 წლის №11-47

# იგორ კვესელავა:
# კარგად ვიცი, თუ რა უთხრა გურამ შარაძეს ედუარდ შევარდნაძემ!



***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა აცხადებს, რომ შევარდნაძის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი, აწ განსვენებული ალექსანდრე ჩიკვაიძე საქართველოს პირველი პრეზიდენტის პატრიოტიზმით აღფრთოვანებას ვერ მალავდა და პირად საუბრებში აცხადებდა — გაოგნებული ვარ, რამ მისცა ზვიად გამსახურდიას ასეთი სიყვარული სამშობლოსადმი, რომ შიშველი ხელებით დაუწყო ბრძოლა იმპერიას იმ იმედით, რომ საბჭოთა კავშირი ოდესმე დაიშლებოდა:***

— 1993 წლის 3 სექტემბერს სიღნაღში, **აკაკი ბაქრაძისა** და ადგილობრივი მოსახლეობის შეხვედრაზე, რომელიც ქალბატონმა **მაყვალა ხატიაშვილმა** ჩაიწერა და ამდენი წლის შემდეგ გადმომცა, ბევრი საკითხი განიხილეს. **ბაქრაძემ** უამრავ შეკითხვას უპასუხა. შემოგთავაზებთ რამდენიმე ფრაზას, რომელიც ამ შეხვედრაზე მისი პირიდან გაჟღერდა. აი, ერთ-ერთი მათგანი — **„შესაძლოა, დაიკარგოს აფხაზეთი, სამაჩაბლო, სამეგრელო, აჭარა და ჯავახეთი... „რუსთაველის საზოგადოებას“ აქვს გეგმა, რომ საქართველოს ისტორიული კუთხეები საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი იყვნენ ორ-ორი კაცით!“**

**— აკაკი ბაქრაძე იმასაც მხარს უჭერდა, რომ საქართველოს კათოლიკეობა მიეღო!**

— კი, ეს იდეა მას ჰქონდა... საერთოდ, **ბაქრაძე** ძალიან განათლებული, მაგრამ ამავდროულად საშინლად არეული, გაუბედავი, წინააღმდეგობრივი და მერყევი ფიგურა იყო, რომელსაც აშკარად კომუნისტური ხელისუფლებისა და სპეცსამსახურების ვალი ჰქონდა. ის ამ ვალებიდან ვერ ამოდიოდა, არადა, არც ეროვნული მოძრაობის ასპარეზი და ავანსცენა ეთმობოდა. **საბოლოო ჯამში მან არჩევანი გააკეთა საქართველოს მტრების სასარგებლოდ და დაიჭირა ჯაბა იოსელიანის, კიტოვანისა და შევარდნაძის მხარე.** მოგვიანებით ის საპრეზიდენტო არჩევნებში შევარდნაძესაც დაუპირისპირდა, მაგრამ სამარცხვინოდ დამარცხდა.

იმავე სიღნაღში გამართულ შეხვედრაზე აკაკი ბაქრაძე საზოგადოებას მოევლინა პუტჩისტებისა და ქვეყნის დამაქცევრების აპოლოგეტად, როცა სააქტო დარბაზში შეკრებილი საზოგადოება, ფაქტობრივად, შოკში ჩააგდო და განაცხადა — *„რომელია კანონიერი ხელისუფლება, რომელიც თავს ვერ იცავს? კანონიერი ის ხელისუფლებაა, რომელსაც იარაღის ძალა აქვს!“* ამით აკაკი ბაქრაძემ თავისი პერსონის მიმართ არსებული ნებისმიერი ეჭვი გაფანტა და საბოლოოდ დაადასტურა, რომ ფიზიკურადაც და მორალურადაც იმ ხალხის გვერდით იდგა, ვინც **ზვიად გამსახურდიას** ტყვიას ესროდა. ამავე შეხვედრაზე გაირკვა, რომ 1991 წლის 5 სექტემბერს, როცა **კიტოვანი** რკონიდან თბილისში დაბრუნდა, **აკაკი ბაქრაძე** კიდევ ერთხელ დაიმალა და ზვიად გამსახურდიასთან შეთანხმებული შეხვედრა კიდევ ერთხელ ჩაშალა!

**— ბაქრაძეს ეს სიღნაღში წამოაძახეს?**

— დიახ, წამოაძახეს და რაოდენ გასაკვირადაც გინდა მოგეჩვენოთ, მან ეს ფაქტი არ უარყო. უფრო მეტიც, **გაირკვა, რომ ბაქარაძე, რომელიც იმ დღეს ზვიად გამსახურდიას დაემალა და შეთანხმებული შეხვედრა ჩაშალა, მეორე დღეს „რუსთაველის საზოგადოებაში“ შეხვდა ე.შ. „ნეიტრალურ ინტელიგენციას“, როგორც ამას თავად უწოდებდა.** არადა, საუბედუროდ, იმ „ნეიტრალურებს“ შორის უმრავლესობა პირწავარდნილი პუტჩისტი და სახელმწიფო გადატრიალების აპოლოგეტი იყო, რომლებმაც ზვიად გამსახურდიას სულ მალე ტყვია ესროლეს და ქვეყანა სისხლში ჩაახრჩვეს! როცა 1991 წლის 5 სექტემბერს ზვიად გამსახურდიას მოახსენეს, რომ **აკაკი ბაქრაძემ** ისევ პირი უშალა და შეთანხმებული შეხვედრა ჩაშალა, პრეზიდენტმა თავი ვეღარ შეიკავა და გაკვირვებულმა იკითხა — **კი მაგრამ, აკაკი ბაქრაძეს არ რცხვენია?!**

**— ამ შეხვედრაზე საკუთრივ ზვიად გამსახურდიას შესახებ ბაქრაძემ რა თქვა?**

— იმ შეხვედრაზე ყველაფერთან ერთად ერთი საინტერესო შეკითხვაც დაისვა, რომელიც ასე ჟღერდა — **„ბატონო აკაკი, თუ თქვენ ნამდვილად დისიდენტი იყავით და კომუნისტურ ხელისუფლებას ებრძოდით, მაშინ როგორ მოხდა, რომ ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მსგავსად არ იდევნებოდით?“** აკაკი ბაქრაძემ ამ შეკითხვას საკმაოდ ორიგინალური და, ჩვენი აზრით, მრავლისმთქმელი პასუხი გასცა — **„ეს იმ ხელისუფლებას უნდა ჰკითხოთ!“** რაც შეეხება ზვიად გამსახურდიასადმი ბაქრაძის დამოკიდებულებას, ეს ნათლად გამოჩნდა იმ პასუხში, როცა აკაკი ბაქრაძეს ჰკითხეს — **„1991 წლის 22 დეკემბერს პირველმა ვინ გაისროლა?“ — „მე ვერ გეტყვით, პირველმა ვინ გაისროლა! ზვიადის მომხრეები იტყვიან ერთს, შევარდნაძის მომხრეები — მეორეს. ეს იურისტების საქმეა, ჭეშმარიტების დადგენა რთულია. კაცის მკვლელი თავს მართლად თვლის. ამ ყველაფერს დოკუმენტური გამოკვლევა უნდა და სიმართლე დოკუმენტურ-იურიდიული თვალსაზრისით უნდა დადგინდეს, რაც მე არ შემიძლია!“**

ვფიქრობთ, ამ პასუხში ყველაზე უკეთ ჩანს, თუ ვის გვერდით იდგა და ვის გულშემატკივრობდა **აკაკი ბაქრაძე.** ეს ის შემთხვევაა, როცა მას მოვლენების პირუთვნელ შეფასებაში თვით **თენგიზ სიგუამაც** კი აჯობა, როცა განაცხადა — *„მე ვაღიარებ! რასაკვირველია, ეს იყო ხელისუფლების იარაღის ძალით გადატრიალება... საერთოდ, გამარჯვებული ყოველთვის ასამართლებს დამარცხებულს, ოღონდ კრიმინალის გულისთვის. მეც გამასამართლებდა, ალბათ, გამსახურდია, რომ გაემარჯვა!“*

**— ჩვენ ვსაუბრობდით აწ განსვენებულ ალექსანდრე ჩიკვაიძის შესახებ, რომელიც 1995 წელს შევარდნაძემ საგარეო საქმეთა მინისტრობიდან გაათავისუფლა. საინტერესოა, ჩიკვაიძეს ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შესახებ თქვენთან თუ უსაუბრია?**

— **ალექსანდრე ჩიკვაიძეს** ჩემთან ამ თემაზე არასოდეს უსაუბრია... ის, საერთოდ, ძალიან მორიდებული კაცი იყო — ნამდვილი დიპლომატი. მაშინ ტექნიკურ უნივერსიტეტში კათედრის გამგე ვიყავი და ჩემს კაბინეტში როცა შემოდიოდა, შევარდნაძესა და მის გარემოცვაზე ლაპარაკს ყოველთვის თავს არიდებდა. მსგავს სერიოზულ თემებზე საუბარს ის უფრო ქუჩასა და ღია სივრცეში არჩევდა, რადგან შიშობდა, რომ შესაძლოა, ვინმეს მოესმინა ან ჩაეწერა. **ჩიკვაიძეს** ჩემთვის რამდენჯერმე აქვს ნათქვამი, რომ განცვიფრებული იყო იმ უდიდესი სიყვარულითა და პატრიოტიზმით, რომელიც **ზვიად გამსახურდიას** საქართველოს მიმართ ჰქონდა.

ალექსანდრე ჩიკვაიძე **კონსტანტინე გამსახურდიას** მიიჩნევდა არა მხოლოდ დიდ მწერლად, არამედ მოაზროვნე მწერლად, რომელსაც სამშობლოს ბედი და უბედობა, საქართველოს ტრაგიკული ხვედრი მწერლურ ჩარჩოში კი არ ჰქონდა მოქცეული, არამედ ის ამ ყველაფერს განიცდიდა და აღიქვამდა, როგორც პოლიტიკური ლიდერი. **ალექსანდრე ჩიკვაიძე** მეუბნებოდა, რომ **კონსტანტინე გამსახურდიას** ოჯახში გაზრდილი კაცი სხვანაირად ვერ მოიქცეოდა, თავის ლექსებში, წერილებსა და ესსეებში ვერ ჩაიკე-








**„ალექსანდრე ჩიკვაიძეს არაერთხელ უთქვამს — ედუარდ შევარდნაძე დაუნდობელი კაციაო!“**

## კვირგვინოსნები



**გრიგოლ ონიანი**
***„სტალინელთა კავშირის“ დამფუძნებელი***

**ბატონო ბიძინა!** მე თქვენს ყოველ დარგულ ხეს, დადებულ აგურს, გაკრულ მარმარილოს ფილას, სახურავზე შემოდებულ კრამიტს უდიდეს შეფასებას ვაძლევ და **დიდ მადლიერებას გამოვთქვამ თქვენ მიმართ.**

**სტალინზე** ამბობენ — **რა გაუკეთა საქართველოს?!**

**თქვენზე: ბიძინამ რატომ გაუკეთა ან რა გაუკეთა საქართველოს?!** თქვენი გაკეთებული საქმეები საუკუნეებს გაჰყვება და მოიხსენიება ისე, როგორც ფარნავაზის მიერ გავრცელებული ქართული ანბანი.

**ბატონო ბიძინა, იქნებ შეწყვიტოთ ღორებისათვის მარგალიტების დაყრა.** ღორებმა ტყეს მიაშურონ და თავიანთი დინგით იშოვონ საკუთარი მუცლის ამოსაყორი.

**ნუ დაურგავ** უმადურ ხალხს უკვდავების ხეს. **ნუ აღუდგენ** ტაძარს. **ნუ გადაუხურავ** ეკლესიებს. **ნუ შეუკეთებ** თეატრებსა და მუზეუმებს. **ნუ აუშენებ** სამებას. **ნუ შეუკეთავ** შეკვეთილისათვის უნიკალურ საგანძურს.

**სტალინს** თუ ხალხისთვის არაფერი უკეთებია და არაფრად აგდებენ, **ბატონო ბიძინა!** — შენ?! **ღმერთო, იხსენი საქართველო!**

„ფეისბუქი“



**ირაკლი მელაშვილი**
***პოლიტიკის ანალიტიკოსი***

**„ქართულ ოცნებაში“ არის ვინმე, ვინც 2012 წელს „ოცნებისთვის“ იბრძოდა?** თითქმის არავინ, **ყველა გაყარეს, ვინც რაღაც იდეისთვის იბრძოდა.** რატომ? იმიტომ, რომ შეცდომების მიუხედავად, მათ საკუთარი აზრი ჰქონდათ რაღაცაზე, წინააღმდეგობას უწევდნენ. სამაგიეროდ, **მოიყვანეს ისინი, ვინც ნაცმოძრაობის დროსაც ხმას არაფერზე იღებდნენ და ახლა აქ არიან.** ყველაფერზე ან ტაშის დამკვრელები არიან, ან თავად ითხოვენ სხვებისგან მონურ მორჩილებას.

„კვირის პალიტრა“



**დავით ქიქინაძე**
***„ტრიბუნის“ თავმჯდომარე***

ნეტავ, ისეთ ქვეყანაში მაცხოვრა, რომ, **ვინც კანონს დაარღვევს, ყველამ პასუხი აგოს,** გინდა პრეზიდენტი იყოს და გინდა — დეპუტატი.

„ალია“

ტებოდა და აუცილებლად საქართველოსთვის გაწირავდა თავს! **ჩიქვაიძე** აღფრთოვანებული იყო **ზვიად გამსახურდიას** შემართებით და როცა მის ტრაგიკულ ბედზე ჩამოვუგდებდი სიტყვას, ყოველთვის მოაყოლებდა — **შევარდნაძე თანამდებობის, კარიერისა და სკამის გულისთვის არავის დაინდობდა და უახლოეს ადამიანებს, ოჯახის წევრებსაც გაწირავდაო!** აქედან გამომდინარე, ჩემთვის დიდ გამოცანას არ წარმოადგენდა, თუ რას ფიქრობდა ალექსანდრე ჩიქვაიძე ზვიად გამსახურდიას ტრაგიკულ აღსასრულზე. დარწმუნებული ვარ, ჩიქვაიძეს ერთი წუთითაც არ ეპარებოდა ეჭვი, რომ ზვიად გამსახურდია შევარდნაძემ მოაკვლევინა, მაგრამ ამ თემაზე მას ჩემთან არ ულაპარაკია და არასდროს არაფერი უთქვამს.

სხვათაშორის, ჩიქვაიძე იმაშიც დარწმუნებული იყო, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე **ედუარდ შევარდნაძის** დანიშვნა **გორბაჩოვის** ინიციატივა არ ყოფილა. მახსოვს, ერთხელ ბატონმა საშამ მითხრა — *გაოგნებული ვარ, ზვიად გამსახურდიას რამ მისცა ასეთი სიყვარული სამშობლოსადმი, რომ შიშველი ხელებით დაუწყო ბრძოლა იმოდენა იმპერიას იმ იმედით, რომ საბჭოთა კავშირი ოდესმე დაიშლებოდაო!* სხვათაშორის, **ჩიქვაიძე** იქვე ამასაც ამბობდა — *ჩვენ არ გვეგონა და არც ვიცოდით, რომ საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ზვიად გამსახურდიას რაღაც ინფორმაცია ჰქონდაო!* საბჭოთა კავშირი რომ დაიშლებოდა, 70-იან წლებში ამის შესახებ მოსკოვში ერთ-ერთ ოჯახში სტუმრობისას მითხრა უნიჭიერესმა ქართველმა **გიორგი ფიფიამ,** რომელიც **ანდროპოვის** მარჯვენა ხელი იყო, უძლიერეს ანალიტიკურ სამსახურს ხელმძღვანელობდა. იმ ოჯახში პროფესორ **გურამ მეტრეველთან** ერთად ვიმყოფებოდი და სწორედ მაშინ თქვა **გიორგი ფიფიამ,** რომ საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა, მაგრამ ის ასახელებდა სულ სხვა თარიღს...

**— კერძოდ!**

— კერძოდ, საუბარი იყო 2004-2005 წლებზე... ისიც კარგად ვიცი, თუ რა უთხრა **გურამ შარაძეს** ედუარდ შევარდნაძემ! 1983 თუ 1984 წელს, ვიდრე შევარდნაძეს მოსკოვში გადაიყვანდნენ, ცხონებული **გურამ შარაძე,** რომელიც ლევილიდან ქართული ემიგრაციის წიგნებისა და სხვა საბუთების ჩამოტანაზე მუშაობდა, შევარდნაძესთან შევიდა და დახმარება სთხოვა — ბიუროკრატიული ბარიერები ძალიან მიშლის ხელს და თუ შეიძლება, ეს საკითხები მოვაგვაროთ, კომუნისტური ქვეყნიდან რომ ვარ, ფრანგები ყველაფერს რთულად მიკმაყოფილებენო! — **ცოტა ხანი გაუძელი, ჩემო გურამ, და სულ მალე კომუნისტებისგან ბუნდლაც აღარ დარჩება** — უპასუხა შევარდნაძემ გურამ შარაძეს. ეს ამბავი ცხონებულ გურამს არავისთვის დაუმალავს და, მგონი, სადღაც დაწერა კიდეც... აშკარაა, **შევარდნაძემ** იცოდა, რომ საბჭოთა კავშირი უნდა დანგრეულიყო!

**— საინტერესოა, რას ამბობდა ალექსანდრე ჩიქვაიძე აფხაზეთის ომზე და მიიჩნევდა თუ არა, რომ აფხაზეთი სწორედ შევარდნაძემ ჩააბარა?**

— **ალექსანდრე ჩიქვაიძეს** ჩემთვის არაერთხელ აქვს ნათქვამი — *აფხაზეთი შევარდნაძის კისერზეაო!* ჩიქვაიძემ მითხრა, რომ შევარდნაძის კაბინეტში სრულიად საიდუმლოდ შეიკრიბა რამდენიმე კაცი და ასე გადაწყდა აფხაზეთში ჯარის შეყვანა! ეს ფაქტი საგარეო საქმეთა მინისტრ **ალექსანდრე ჩიქვაიძისათვის** მხოლოდ მაშინ გახდა ცნობილი, როცა ჯარი აფხაზეთში უკვე შესული იყო. მოკლედ, შევარდნაძე არავის არაფერს დაეკითხა. ე.წ. სახელმწიფო საბჭოს ის სხდომები, რომლებიც 1992 წლის 2 და 10 აგვისტოს გაიმართა, ფაქტობრივად, იყო ფიქცია და მეტი არაფერი. სოხუმის კატასტროფის შემდეგ შევარდნაძე შეეცადა, აფხაზეთის კონფლიქტის ინტერნაციონალიზაცია მოეხდინა, რაც **ალექსანდრე ჩიქვაიძის** აზრით, უდიდესი შეცდომა იყო. ალექსანდრე ჩიქვაიძეს ჩემთან პირისპირ საუბარში არც ის დაუმალავს, რომ არძინბას შევარდნაძესთან საუბარს მასთან საუბარი ერჩია და ამის შესახებ არაერთხელ უთხრა კიდეც — **შევარდნაძესთან ლაპარაკი წარმოუდგენელია და მირჩევნია, პირდაპირ თქვენთან მქონდეს კონტაქტიო!**

ჩიქვაიძე გახლდათ ზეპროფესიონალი, ძალიან მომზადებული და კეთილშობილი ადამიანი. თავის თავზე ლაპარაკი არ უყვარდა, რადგან ძალიან მოკრძალებული კაცი იყო. სხვათაშორის, ჩემი ინიციატივით და მაშინდელი დეკანის მხარდაჭერით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელია, სადაც **ალექსანდრე ჩიქვაიძის სახელობის პრემია** და სტიპენდია დაწესდა. ალექსანდრე ჩიქვაიძეს **გორბაჩოვთან** იმდენად ახლო ურთიერთობა ჰქონდა, შეეძლო, მასთან მისულიყო და ნებისმიერი რამ ეთხოვა, რაც მაშინვე დაკმაყოფილდებოდა, მაგრამ ჩიქვაიძე გორბაჩოვს არ აწუხებდა. სამაგიეროდ, თავისი ამერიკელი მფარველების მეშვეობით შევარდნაძე მოქმედებდა.

**— გასაგებია, რომ შევარდნაძე გორბაჩოვს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად რონალდ რეიგანმა დაანიშნინა, მაგრამ რეიგანს ეს ვინ უთხრა?**

— ცხადია, რეიგანს შევარდნაძის კანდიდატურა ამერიკულმა „ცერეუმ", ანუ დაზვერვის ცენტრალურმა სამმართველომ შეურჩია, რადგან შევარდნაძე სწორედ „ცერეუსთან" იყო დაკავშირებული. **სხვათაშორის, სიცოცხლის ბოლო წლებში, როცა ძალიან მოხუცდა და სიფრთხილის უნარი დაკარგა, შევარდნაძემ კრწანისის რეზიდენციის შესახებ არაერთ ადამიანს უთხრა, რომ ეს სახლი „ცერეუმ" აუშენა, რომელიც, თურმე, ატომურ დაბომბვასაც კი უძლებს!**

**— ალექსანდრე ჩიქვაიძეს თქვენთვის არ უთქვამს, რომ შევარდნაძე „ცერეუს" აგენტი იყო?**

— არა, მაგრამ **ალექსანდრე ჩიქვაიძეს** არაერთხელ უთქვამს — **შევარდნაძე დაუნდობელი კაციაო!** მაგრამ, ამავდროულად, შევარდნაძე უშიშარი კაციც იყო, რისი უარყოფაც არ შეიძლება. აი, მაგალითად, იმ ხალხისგან, რომლებიც 1991 წლის აგვისტოს ე.წ. „გეკაჩეპეს" პუტჩის დროს შევარდნაძესთან ერთად მოსკოვში, მის საცხოვრებელ სახლში, იმყოფებოდნენ, დანამდვილებით ვიცი, რომ არსებობდა რეალური საფრთხე, როგორც კი შევარდნაძე სახლიდან გავიდოდა, სამხედროებს მისი ფიზიკური ლიკვიდაცია მოეხდინათ. მიუხედავად ამისა, შევარდნაძემ **ნანული ცაგარეიშვილი** მოატყუა — საჭმელად გავალთო! — და **ელცინის** ტანკზე ავიდა! ედუარდი ამჯერად ელცინთან ცდილობდა საერთო ენის გამონახვას, რომელთანაც მას ძალიან ცუდი ურთიერთობა ჰქონდა. როცა ელცინის გვერდით ტანკზე იდგა, შევარდნაძე იქაც თანამდებობაზე ფიქრობდა და ამჯერად დამოუკიდებელი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პორტფელს უმიზნებდა.

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***



## *ზვიად გამსახურდია:*

# კი მაგრამ, აკაკი ბაქრაძეს არ რცხვენია?!



## *აკაკი ბაქრაძე:*

### *რომელია კანონიერი ხელისუფლება, რომელიც თავს ვერ იცავს? კანონიერი ის ხელისუფლებაა, რომელსაც იარაღის ძალა აქვს!"*



## *თენგიზ სიგუა:*

# მე ვაღიარებ! რასაკვირველია, ეს იყო ხელისუფლების იარაღის ძალით გადატრიალება!

## კვირგვინოსნები

**ვახტანგ ძაბირაძე**
*პოლიტოლოგი*



2024 წლის არჩევნებში **„ქართული ოცნების" გამარჯვება ნიშნავს სამოქალაქო დაპირისპირებას** — ან **„ახალი ბიძინა"** გვჭირდება, ან არჩევნების ნორმალურად ჩატარება.

„პალიტრანიუსი"

**თამარ ჩიხურდანიძე**
*„ხალხის ძალის" წევრი*



საგონებელში არიან, რომ **არცერთი რევოლუცია არ გამოუვიდათ. დღეს უკვე გავიგეთ, რომ ყირგიზეთსა და უკრაინაშიც იღებენ იმავე კანონს, რის გამოც მათ მარტში გადატრიალების მოწყობა უნდოდათ.** აღმოჩნდა, რომ ჩვენ კი არ ვყოფილვართ ქვეყნის მოღალატეები და „რუსეთუმეები", **მოღალატეები ყოფილან ისინი, ვინც რუსთაველზე გამოვიდა, რევოლუციას გვიწყობდა და „გვაბულინგებდა".**

„საერთო გაზეთი"

**ია ფარულავა**
*მსახიობი, ტელეწამყვანი*



**ერთი ადამიანის სიყვარული იყო ძალიან ძლიერი, რომლის გამოც მე გავბედე, 1998 წელს ჩამოვედი საქართველოში ამერიკიდან.** მაშინ ხალხი გარბოდა და მე ჩამოვედი. **აი, ამ ადამიანის სიყვარულმა გამაბედვინა,** მაგრამ, სამწუხაროდ, მალევე აღმოჩნდა, რომ **მე ვიყავი ჩვეულებრივი მანიპულაციის მსხვერპლი** და მაშინ ჯერ კიდევ გამოუცდელი ვიყავი. ყველა ელოდება, რომ აღმოვთქვა, ვინ არის. **მიხეილ სააკაშვილი** — ვინ იქნება?! **მიშამ ჩამომიყვანა ძალით, ლოს-ანჯელესში დამადგა ჩემს საქმროსთან და უთხრა, ია ცოლად მომყავსო,** მეც მეტი რა მინდოდა. მაგრამ, როგორც თავის ყველა ქალს, მეც ძალიან ცუდად მომექცა. **როგორც ქალს, მიშა არ გეწყინოს, მე შენ ცუდად მომექეცი და ეს ძალიან კარგად იცი.** მიშა რომ გამოვა, დაბერდება, 90 წლის გახდება, მერე დავწერ წიგნს.

„მთავარი არხი"

**პეტრე მამრაძე**
*პოლიტიკოსი*



ჭიდაობა მიდის იმაზე, **ვინ იქნება „მიშა".** ნაცმოძრაობის სივრცეში კურიოზული, მარაზმატული, **ღრმად პროვინციული ჭაობია** გამეფებული.

„საერთო გაზეთი"

*დასაწყისი იხ. „ა–დ“, 2023 წლის №47*

***ცნობილი ქართველი ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი ძმრის უნიკალური თვისებებისა და შესაძლებლობების შესახებ საუბარს აგრძელებს და იმ მიზეზებს ასახელებს, რის გამოც მსოფლიო ფარმაცევტული მაფია ამ კეთილშობილი პროდუქტის, როგორც სამკურნალო პრეპარატის, ქსელში გაყიდვას ბლოკავს:***





# კახა საბახტარიშვილი:

# ჯანმრთელობისთვის იდეალური იქნება, თუ დღეში ერთხელ შევჭამთ!

— არაერთგზის გვითქვამს, რომ შაქრის, კერძოდ, ფრუქტოზის შემცველობის გამო, ხილის ზომიერად მიღება ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა, ხოლო **ბოსტნეული და მწვანილი ლამის განუსაზღვრელი რაოდენობით შეგვიძლია მივიღოთ,** რადგან არცერთი და არც მეორე შაქარს არ შეიცავს და, რაც მთავარია, ვიტამინებთან და მიკროელემენტებთან ერთად მდიდარია უჯრედისით, რომელიც ორგანიზმში არსებული სასარგებლო ბაქტერიებისთვის აუცილებელ საკვებ პროდუქტს წარმოადგენს.

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ რას იტყვით იმ ადამიანების შესახებ, რომლებსაც ბოსტნეული და მწვანილიც ვნებს?**

— დადგენილი ფაქტია, რომ **თვით ჯანმრთელი ადამიანების 20 პროცენტსაც კი ხილის, ბოსტნეულისა და მწვანილის მიღების შემდეგ მუცლის შებერვა, გაზების დაგროვება, მუცლის არეში ტკივილი, შეკრულობა ან კუჭის აშლა და ფაღარათი ეწყებათ.** ასეთ ადამიანებში ხშირია საერთო სისუსტე, ფიზიკური და გონებრივი უნარების დაქვეითება, სისხლნაკლებობა, ანუ ანემია. ეს ყველაფერი, ერთი შეხედვით, აშკარად პარადოქსია. ბევრმა არ იცის, რომ ყოველივე ამის მიზეზი **ბაქტერიების უკონტროლოდ გამრავლების სინდრომია.**

ჩვენ ადრე ვთქვით, რომ ადამიანის ორგანიზმში, კერძოდ, მსხვილ ნაწლავში, დაახლოებით 38 ტრილიონი ბაქტერია ბინადრობს, რომლის საერთო წონა 3 კილოგრამს აღწევს! რაც გინდა პარადოქსად მოგეჩვენოთ, ყველა ეს ბაქტერია ორგანიზმისთვის სასარგებლო და სასიცოცხლოდ აუცილებელია. ამასთან, როცა ისინი მსხვილ ნაწლავშია მოქცეული, ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ საკმარისია, 1,5 მეტრი სიგრძის მსხვილი ნაწლავის ნაცვლად ეს ბაქტერიები დაახლოებით 7 მეტრი სიგრძის წვრილ ნაწლავში გამრავლდნენ, მაშინვე დაიწყება ყველა ის გართულება, რის შესახებაც ზემოთ ვსაუბრობდით.

**— როგორ და რატომ ხვდებიან ეს ბაქტერიები წვრილ ნაწლავშიც, სადაც, წესით, მათი ადგილი არ არის?**

— წინა ინტერვიუში აღვნიშნეთ, რომ კუჭს მაღალი მჟავიანობა გააჩნია, რაც ნორმალურია. ვთქვით ისიც, რომ კუჭში არსებული მაღალი მჟავიანობა აუცილებელია იმ ბაქტერიების გასანადგურებლად, რომლებიც კუჭში საკვებთან ერთად ხვდებიან. სწორედ ამის გამოა, რომ კუჭიდან წვრილ ნაწლავში, ანუ მის გაგრძელებაში გადასული და ნაწილობრივ გადამუშავებული საკვები ბაქტერიებს თითქმის არ შეიცავს. **როცა კუჭის მჟავიანობა დაბალია, კუჭის წვენი ბაქტერიებს სრულად ვერ ანადგურებს და ისინი წვრილ ნაწლავში ხვდებიან. ამ ბაქტერიებს, ცხადია, საკვებიც სჭირდებათ... სწორედ ხილში, ბოსტნეულსა და მწვანილში შემავალი უჯრედისია მათი ძირითადი საკვები.** პარალელურად, ეს ბაქტერიები არც იმ საკვებზე ამბობენ უარს, რომელსაც ადამიანის ორგანიზმი ხილის, ბოსტნეულისა და მწვანილეულის გარდა იღებს. ყოველივე ამას წვრილ ნაწლავში **ბაქტერიების უკონტროლო გამრავლება** მოსდევს.

ბაქტერიები ახდენენ საკვების ფერმენტაციას, რომელსაც თან ახლავს მეთანის, წყალბადისა და გოგირდწყალბადის გამოყოფა. სწორედ ასე წარმოიქმნება გაზები, რომლებიც წვრილ ნაწლავში გროვდება და მუცლის შებერვას იწვევს. უფრო მეტიც, ასეთ დროს წვრილ ნაწლავში შესაძლოა, იმდენი გაზი დაგროვდეს, რომ ადამიანს მუცლის არეში ძლიერი ტკივილი დაეწყოს. ამ მოვლენას **გაზური კოლიკა** ეწოდება. ასეთ დროს ბევრი ადამიანი პანიკაში ვარდება, რადგან ჰგონია, რომ აპენდიციტი ან პანკრეატიტი აქვს!

ეს პროცესი წვრილ ნაწლავში მხოლოდ გაზების დაგროვებით არ ამოიწურება. ამ დროს ფერხდება ორგანიზმის მიერ ცხიმში ხსნადი A, D და K ვიტამინების ათვისება, ასევე იქმნება **თუთიის, კალციუმის, კალიუმისა და რკინის დეფიციტი.** ამ ყველაფრის გათვალისწინებით, საბოლოო ჯამში, ადამიანი წონაში კლებულობს, აღენიშნება სისხლნაკლებობა, ანუ ანემია, საერთო სისუსტე და მოთენთილობა. ჩემი რჩევაა: ყველამ, **ვინც დილიდანვე თავს მოთენთილად გრძნობს და მუცელი შებერილი აქვს, პირველ რიგში, წვრილ ნაწლავში ბაქტერიების უკონტროლოდ გამრავლების სინდრომი გამორიცხოს!** მიმაჩნია, რომ ამ ყველაფრის ძირითადი მიზეზი მაინც კუჭის წვენის დაბალი მჟავიანობაა, რომელიც კუჭში მარილმჟავას დაბალი შემცველობის გამო ბაქტერიებს ვერ ანადგურებს! ამიტომ გამოსავალი აქაც ერთადერთია — **თუ გვინდა, წვრილ ნაწლავში ჯანმრთელობისთვის საშიში ბაქტერიები არ გამრავლდეს, უზმოზე ძმრიანი წყალი დავლიოთ!**

**— თუ ძმარი ასეთი სასარგებლო და სასწაულმოქმედი პროდუქტია, ოფიციალური მედიცინა რატომ არ იყენებს მას, როგორც უნიკალურ სამკურნალო საშუალებას?**

— გასაკვირი ის იქნებოდა, ფარმაცევტულ კომპანიებს ძმრის კეთილშობილური თვისებების შესახებ სამეცნიერო კვლევები დაეფინანსებინათ და სხვადასხვა სახით და ფორმით ძმარი სავაჭრო ქსელში გაეშვათ. **ძმარი იაფია, მისი დამზადების ტექნოლოგია ყველასთვის ხელმისაწვდომია და, ამდენად, ფარმაცევტული მაფია მისი, როგორც წამლის გაყიდვით, დიდ მოგებას ვერ ნახავს.**



**„ვინც დილიდანვე თავს მოთენთილად გრძნობს და მუცელი შებერილი აქვს, პირველ რიგში, წვრილ ნაწლავში ბაქტერიების უკონტროლოდ გამრავლების სინდრომი გამორიცხოს!“**

**ძმრის სასარგებლო თვისებებზე ბევრი რომ ილაპარაკონ და აფთიაქებში ძმარი და ძმრის პროდუქტები თუნდაც მხოლოდ კუჭის მჟავიანობის დასარეგულირებლად გაყიდონ, მაშინ საიდან უნდა მიიღონ ის მრავალმილიარდიანი შემოსავლები, რომელიც არაეფექტური და ზოგიერთ შემთხვევაში საზიანო ქიმიური მედიკამენტებით შემოსდით?**

აი, სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ ფარმაცევტული ბაზარი ახალ-ახალი ქიმიური მედიკამენტებით ივსება მაშინ, როცა მსოფლიოში კუჭ-ნაწლავით დაავადებულთა რიცხვი გაუნუხრელად იზრდება.

ყველამ უწყის, თუ რა ლამაზი ყვავილია ზამბახი, რომელსაც პარფიუმერიაში ფართო გამოყენება აქვს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩემი კოლეგების აბსოლუტურმა უმრავლესობამ, რომელსაც ჰომეოპათიურ მედიცინაზე წარმოდგენაც კი არ აქვს, არ იცის, რომ ჰომეოპათიაში თითქმის 200 წელია, გამოიყენება ზამბახისგან დამზადებული უნიკალური პრეპარატი **„ირის ვერზიკოლორ“.** ამ პრეპარატის საშუალებით **გასტროეზოფაგალური რეფლუქსის სინდრომი,** ანუ ე.წ. **„იზჟოგა“** ასობით პაციენტისთვის მომიხსნია!

მოგეხსენებათ, ეს არის პათოლოგია, როცა კუჭის წვენი დაბალი სიმჟავის გამო საყლაპავ მილში ხვდება და ძლიერ გულწვას, ანუ **„იზჟოგას“** იწვევს. **„ირის ვერზიკოლორი“** იმითაცაა უნიკალური, რომ კუჭის წვენის დაბალი მჟავიანობის ნორმაში მოყვანის პარალელურად შეუდარებლად მოქმედებს გასტრიტებზე, წყლულოვან დაავადებებსა და თვით ქრონიკულ პანკრეატიტზეც კი, რომელსაც ოფიციალური მედიცინა ვერ კურნავს. ალბათ, ამით აიხსნება ის ფაქტიც, რომ ინდოეთში, სადაც ჰომეოპათიური მედიცინა ფართოდ არის გავრცელებული და დანერგილი, მოსახლეობის მიერ უხარისხო და, ფაქტობრივად, გაფუჭებული საკვების ტოტალურად მოხმარების მიუხედავად, კუჭ-ნაწლავით დაავადებულთა რიცხვი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო დაბალია. ცნობისათვის, **ინდოეთში ჰომეოპათიური მედიცინა ყველა ფენისთვის ხელმისაწვდომია და ყველაზე მიყრუებულ სოფელშიც**

## კვირგვინოსნები

**ანასტასია ვასაძე**
*მომღერალი*



მინდა, ვთხოვო ჩვენს გულშემატკივრებს, ყურადღებით იყვნენ. **24 ნოემბერს დაიდება საბავშვო „ევროვიზიის“ ლინკი და გახსენით, რაც ნიშნავს ხმის მიცემას.** დიდების **„ევროვიზიაზე“** საქართველოს მოქალაქეებს ხმის მიცემა არ შეუძლიათ. საბავშვო **„ევროვიზიაზე“** ეს შესაძლებელია.

„სარკე“

**ნიკოლოზ ხარაძე**
*მომღერალი*



დედიკო და მამიკო ისე მზრდიან, რომ შემდგომში **ჩემი ქვეყნისთვის სასახელო კაცი გამოვიდე.**

„სარკე“

**ოთო ბაზერაშვილი**
*მომღერალი*



მე **ქირურგობა მინდა,** ოპერაციებს გავაკეთებ, ადამიანებს გადავარჩენ. ზოგჯერ **იურისტობაც მინდა,** რომ მეც გავხდე შინაგან საქმეთა მინისტრი.

„სარკე“

**მარიამ მამისეიშვილი**
*მომღერალი*



**დიდი ბრძოლა გიწევს და დიდი მოთმინება გჭირდება,** როცა შოუბიზნესს უკავშირებ ცხოვრებას. **ყველას ვერ მოეწონები, შენ მიმართ ყველა დადებითად ვერ განეწყობა.** სიხარულთან ერთად გულისტკენაც ბევრია. თუ ეს არ გადალახე, ვერ გაიზრდები.

„სარკე“

**ნუცა კოშკელიშვილი**
*ტელეწამყვანი, მსახიობი*



**ვკვდებით** ერთხელ და **ვცხოვრობთ** ყოველდღე.

„ახალი თაობა“

# „თუ გვინდა, წვრილ ნაწლავში საშიში ბაქტერიები არ გამრავლდეს, უზმოზე ძმრიანი წყალი დავლიოთ!“



**კი ერთი ჰომეოპათი მაინც ჰყავთ, რომელსაც უმაღლესი სამედიცინო განათლება აქვს.**

**— რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ წვრილ ნაწლავში ბაქტერიები არ იყოს და ხალხი განიკურნოს?**

— მათ, ვისაც ხილისა და ბოსტნეულის მიღების შემდეგ მუცლის შებერვა, გაზები და მუცლის არეში ტკივილი აღენიშნებათ, ერთი-ორი თვის განმავლობაში თავი უნდა შეიკავონ ხილისა და ყოველგვარი მწვანილის მიღებისგან. ამით ჩვენ ბაქტერიებს საკვებს მოვუსპობთ, რაც ბუნებრივად გამოიწვევს მათ სიკვდილს.

ბაქტერიები ნახშირწყლებითაც იკვებებიან, ამიტომ ასეთმა ადამიანებმა **შაქარი და შაქრის შემცველი პროდუქტები** საერთოდ ხმარებიდან უნდა ამოიღონ! როდესაც საკვები მასა დიდი ხნის განმავლობაში ნაწლავებში ყოვნდება, ბაქტერიებს უკონტროლო გამრავლებისთვის ხელსაყრელი პირობები ექმნებათ. ამიტომ **საკვები დღის განმავლობაში ხანგრძლივი ინტერვალებით უნდა მივირთვათ.** ჯანმრთელობისთვის იდეალური იქნება, თუ დღეში ერთხელ შევჭამთ!

თუ გვინდა, საჭმელი კარგად მოვინელოთ და კუჭის წვენის სიმჟავე ნორმაში გვქონდეს, **სტრესი თავიდან უნდა ავირიდოთ!** საჭმლის მონელებას, როგორც წესი, პარასიმპათიკური ნერვული სისტემა არეგულირებს პრინციპით — **„დაისვენე და საკვები გადაამუშავე!“** სტრესის დროს კი აქტიურდება მისი საწინააღმდეგო ნაწილი — სიმპათიკური ნერვული სისტემა პრინციპით — **„დაარტყი და გაიქეცი!“** სწორედ ამით არის განპირობებული, რომ **უხსოვარი დროიდან საკვების მიღებას ადამიანებს ურჩევენ მშვიდ, წყნარ და დასვენებულ მდგომარეობაში.**

კუჭის წვენის გამოყოფაზე დიდ გავლენას ახდენს ვიტამინი B1, რომელიც აძლიერებს ნაწლავების პერისტალტიკას, ანუ შეკუმშვას და ხელს უწყობს კუჭის წვენის გამოყოფას. ორგანიზმში თითქმის ყოველთვის არის B1 ვიტამინის დეფიციტი, რაც გამოწვეულია სტრესით, შაქრით, შაქრის შემცველი პროდუქტების მიღებით და ბევრი ჩაისა და ყავის სმით... **წვრილ ნაწლავში ბაქტერიების უკონტროლოდ ზრდა ყველა იმ ადამიანს აღენიშნება, ვისაც ნაღვლის ბუშტის პრობლემები აქვს.** ბევრმა არ იცის, რომ ნაღველი, რომელიც თორმეტგოჯა ნაწლავში ჩაედინება, თავისი მაღალი ტუტიანობის გამო იქ მოხვედრილ ბაქტერიებს ანადგურებს, მაგრამ მთელი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ, როცა კუჭის მჟავიანობა დაბალია, ნაღვლის წვენის გამოყოფაც მცირდება. **დავიხსომოთ: კუჭის წვენში შემავალი მარილმჟავა ნაღვლდენას ააქტიურებს!..**

**— ოფიციალური მედიცინა წვრილ ნაწლავში ბაქტერიების უკონტროლოდ ზრდას რა მეთოდით მკურნალობს?**

— ამისათვის, ძირითადად, ანტიბიოტიკებს იყენებენ. **უბედურება ის გახლავთ, რომ ანტიბიოტიკები მართალია, ბაქტერიებს ხოცავენ, მაგრამ ამ დროს მრავლდება სოკოები, რომელიც არანაკლები უბედურებაა.** რაც მთავარია, ანტიბიოტიკების ხშირი მიღებით კუჭის მჟავიანობა ეცემა. მკურნალობისას ზოგჯერ იყენებენ **პრებიოტიკებსაც,** რომელიც სასარგებლო ბაქტერიას წარმოადგენს. თუმცა, ჩემთვის, როგორც ექიმისა და მკვლევარისთვის, ერთი რამ გაუგებარია — მედიკამენტების, ანუ პრებიოტიკების სახით, რაც გინდა სასარგებლო ბაქტერია მივიღოთ, ის ჯერ კუჭში უნდა მოხვდეს, სადაც კუჭის წვენის მაღალი მჟავიანობა აუცილებლად გაანადგურებს! აქედან გამომდინარე, პრებიოტიკების მიღების არსი გაუგებარია... ზოგიერთი ექიმი დღესაც კი იყენებს ტერმინს **დისბაქტერიოზი,** რომელსაც მხოლოდ საბჭოთა მედიცინა ცნობდა. უცხოეთში ასეთ დაავადებას არ ცნობდნენ და არც დღეს აღიარებენ, რადგან მისი არსი გაუგებარია. **ორგანიზმში სასარგებლო ბაქტერიები რომ მავნე ბაქტერიებს უნდა სჭარბობდნენ, ეს ცხადია, მაგრამ, თუ ეს თანაფარდობა ირღვევა, ამის მიზეზები სხვაგან უნდა ვეძებოთ და მათ აღმოფხვრაზე ვიზრუნოთ!** ყველაფრის თავი და თავი მაინც სწორი კვებაა, რაზეც მომავალში დაწვრილებით ვისაუბრებთ!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***















## კვირგვინოსნები

**გიორგი ყიფშიძე**
*მსახიობი*



**პირველი შვილის დროს იმდენად ახალგაზრდა ვიყავი,** თოთო როცა იყო, **უფროსები არც მაძლევდნენ თამამად მიკარების უფლებას.**

„თბილისელები“

**გია ბაღაშვილი**
*მუსიკოსი*



მსოფლიოს **20-ზე მეტი ქვეყნის წამყვან უნივერსიტეტებში** მაქვს წაკითხული **საჯარო ლექციები ქართულ მრავალხმიანობაზე.**

„თბილისელები“

**გიგი დედალამაზიშვილი**
*მომღერალი*



მარინა, **ჩემი მეუღლე, ჩემთვის მამოძრავებელი ძალაა.** ის რომ არა, არ ვიცი, რა იქნებოდა ჩემს ცხოვრებაში.

„თბილისელები“

**გოჩა ჭაბუკაიძე**
*მუსიკოსი*



როცა დავრწმუნდები, რომ **ოჯახს ჩემ გარეშე შეუძლია მატერიალურად თავი გაიტანოს,** ანაფორას ჩავიცვამ და მონასტერში წავალ.

„თბილისელები“

**ნანიკო ხაზარაძე**
*ტელეწამყვანი*



ხშირად მეც მავიწყდება ასაკი, ხანდახან რომ დავფიქრდები, **51 წლის ვარ,** შოკში ვვარდები, მაგრამ **ჩემს ასაკთან შედარებით მართლა კარგად გამოვიყურები.**

„სარკე“

**გიორგი მეგრელიშვილი**
*მსახიობი*



ჩემმა ცოლმა იცის, რომ **მის გარდა, არის ერთი ქალი,** ვისზეც შემიძლია ვთქვა, ვგიჟდები. ეს არის **შარლიზ ტერონი.**

„სარკე“

# შევარდნაძის საიდუმლო




*ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. „Ა-Დ“. 2023 ᲬᲚᲘᲡ №46-47*

***ალბათ, ბევრ ჩვენგანს სმენია — ისეთი განცდა მაქვს, საქართველოს ისევ შევარდნაძე მართავსო! ანუ 1972 წლიდან მოყოლებული, როდესაც შევარდნაძე საბჭოთა საქართველოს ლიდერი გახდა, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, საქართველოში ყველაფერი თითქოს სწორედ შევარდნაძის გარშემო ტრიალებს — მისი გარდაცვალებიდან ლამის ათწლეულის გასვლის შემდეგაც კი! ამიტომ იმის გააზრება, ამ 50 წლის განმავლობაში რა მოხდა, რა ხდება და რა მოხდება მომავალში, სწორედ „შევარდნაძის საიდუმლოს“ ამოხსნით თუ შეიძლება!***

**შევარდნაძე** თავის მემუარებში იხსენებს 2003 წლის 2 ნოემბრის ავადსახსენებელ საპარლამენტო არჩევნებს, საიდანაც დაიწყო ეგრეთ წოდებული „ვარდების რევოლუცია“:

> ***„2 ნოემბერს საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. იმ დღემ გარეგნულად მშვიდად ჩაიარა, მაგრამ, როგორც შემდგომ გაირკვა, ორივე მხარე — სახელისუფლებო ბლოკიც და ოპოზიციაც — ამომრჩევლების უსინდისო მანიპულირებას მიმართავდა. და თუ მოსახლეობის მობილიზება ამ არჩევნებისთვის მთლიანობაში წარმატებულად ჩატარდა, ამომრჩეველთა კომპიუტერიზებული სიების შედგენის პროექტის შემსრულებლებთან უამრავი შეკითხვაა; მათზე პასუხი დღესაც არ არის გაცემული.*** *რამდენადაც ცნობილია, სწორედ მცდარი სიები გახდა კრიზისის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი. მაგრამ ვინ აურ-დაურია საგანგებოდ ეს სიები? ამას არავინ კითხულობს და იკვლევს.* ***როგორც ჩანს, ვიღაცას მართლა აწყობდა, რომ ამომრჩეველი უბანზე მისულიყო და თავისი თავი სიაში ვერ ეპოვა; ამას შესაბამისი აჟიოტაჟი უნდა მოჰყოლოდა და ასეც მოხდა“*** *(ე. შევარდნაძე, „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“, გვ. 22).*

მემუარისტი ისე იცხადებს, 2 ნოემბრის არჩევნებზე ორივე მხარე — ხელისუფლებაც და ოპოზიციაც — ამომრჩევლებით მანიპულირებდაო, თითქოს თავად არ ყოფილიყო იმ ხელისუფლების უმაღლესი და ერთპიროვნული მმართველი! ანუ შევარდნაძეს სურს, დაგვაჯეროს, რომ მისი ხელისუფლების პირველი პირები ისე აყალბებდნენ არჩევნებს, რომ მან არაფერი იცოდა!

რაც შეეხება იმ ყბადაღებულ ელექტრონულ საარჩევნო სიებს, საკითხავია, მათი არევ-დარევა როგორ უნდა მომხდარიყო სწორედ შევარდნაძის მიერ დანიშნული ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელობის გარეშე?!

ვთქვათ, ცესკოს ოპოზიციური წარმომადგენლების მხრიდან მართლაც იყო სიების დივერსიული არევა და იქ 1801 წელს დაბადებული ადამიანების დაფიქსირება, მაგრამ ამ დროს ცესკო რას აკეთებდა — ბალახობდა?!

**რა თქმა უნდა, 2 ნოემბრის არჩევნები, როგორც შევარდნაძის მმართველობისას ჩატარებული ყველა წინა არჩევნებიც, გაყალბდა, მაგრამ იმის გულდასმით თქმა კი შეიძლება, რომ 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები წინა არჩევნებზე ნაკლებად ფალსიფიცირებული იყო, თუნდაც იმიტომ, რომ ამ არჩევნების შედეგად საარჩევნო ბარიერი გადალახა და პარლამენტში მოხვდა 7 პარტია: მოქალაქეთა კავშირი, ასლან აბაშიძის „აღორძინება“, ნაცმოძრაობა, ლეიბორისტული პარტია, „ახალი მემარჯვენეები“, თოფაძის პარტია და ჟვანია-ბურჯანაძის პარტია!**

უბრალოდ, **„აღორძინების“** შემდეგ, მეორე ადგილზე გასულმა **სააკაშვილის ნაცმოძ** დაიჩემა, პირველ ადგილზე ჩვენ გავედით, გამარჯვება წაგვართვესო და ხალხს ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდა.

**შევარდნაძე** ასე იხსენებს რევოლუციის დასაწყისის მოვლენებს:

> ***„მეორე დღეს გამოქვეყნდა ჯერ ეგზიტპოლის, შემდეგ კი — ოფიციალური წინასწარი შედეგები. მათ შორის მნიშვნელოვანი სხვაობა იყო. ამასთან, მოდიოდა ინფორმაცია ერთ-ერთ რეგიონში, კერძოდ, აჭარაში, არჩევნების ტოტალური გაყალბების შესახებ, რასაც საერთაშორისო დამკვირვებლების მკვეთრად ნეგატიური შეფასება მოჰყვა. ოროოდ დღეში ოპოზიციურმა ბლოკმა ქუჩის აქციები ააგორა. პროცესი უმართავი ხდებოდა და მე რამდენჯერმე შევეცადე სიტუაციის განმუხტვას“*** *(იქვე, გვ. 23).*

**შევარდნაძე** იხსენებს 10 ნოემბრის დილას, როდესაც ყველასთვის მოულოდნელად მივიდა პარლამენტის წინ შეკრებილ ასამდე ახალგაზრდა ოპოზიციონერ დემონსტრანტთან:

> ***„დამინახეს თუ არა, წამოიშალნენ და ჩემი მისალმების პასუხად ატეხეს ყვირილი: „გადადექი! გადადექი!“...*** *ჩემს ცხოვრებაში პირველად ვერ შევძელი ადამიანებთან დალაპარაკება. ასე კოლექტიურად ნათქვამი* ***„გადადექი!“*** *პირველად მოვისმინე. ამ ახალგაზრდების ერთობლივმა მოთხოვნამ შემაძრწუნა. ვიცი, ამაზეც იყო გათვლილი.* ***ალბათ, ვიღაცას, რბილად რომ ვთქვა, იმ მომენტში ნაკლებად აწუხებდა ქვეყნის ინტერესები, მაგრამ ამას ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ჩემს ქვეყანაში პირველად მოვისმინე სკანდირება ჩემი გადადგომის მოთხოვნით — „გადადექი!“ ეს სიტყვა ტვინის რომელიღაც უჯრედში ჩამიჯდა და სულ თავში მიტრიალებდა...“*** *(იქვე, გვ. 23).*

მემუარისტი აშკარად კეკლუცობს — შევარდნაძე და სენტიმენტალიზმი ორი სხვადასხვა პლანეტაა!

ასი ნაცის მიერ რუსთაველის გამზირზე ნათქვამი **„გადადექი!“** რა მოსატანია იმასთან, რაც შევარდნაძისთვის ნაპუტჩარ საქართველოში პირველი პრეზიდენტის მომხრეთა ასიათასკაციან მიტინგებზე დაუგუგუნებიათ!

ზუსტად იგივე უთქვამთ შევარდნაძისთვის, მაგალითად, პუტჩისტების მიერ არაერთგზის აოხრებულ-დარბეულ სამეგრელოში, როცა იქ ჩასულს ქალები უყვიროდნენ **„მკვლელო იუდა!“**

ამაზე შევარდნაძეს არანაირი რეაქცია არ ჰქონია და უცებ, ასმა ნაცმა **„გადადექი!“** დაუყვირა და „შეძრწუნდა“?!

და **შევარდნაძე** პირდაპირ ამბობს, რომ მისი გადადგომის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ ეს **ასი ნაცის შეძახილი** გახდა:

> ***„სადაც ქვეყნისთვის რაიმე საშიშროება ჩნდებოდა, უმალ იქ მივდიოდი — არა ხიფათის საძებნელად, არამედ ხიფათის თავიდან ასაცილებლად. თითქოს აქამდე ვახერხებდი კიდეც კონფლიქტური სიტუაციების განმუხტვას, მაგრამ მაშინ, 10 ნოემბერს, მომიტინგეებთან სხვა რამეს წავაწყდი:*** *ამ ყვირილში —* ***„გადადექი!“*** *— პოლიტიკური მოთხოვნის გარდა სხვაც იყო: შეურაცხყოფა, უკომპრომისო აგრესიულობა, შეუვალობა.* ***უკვე შემდეგ, გადადგომის გადაწყვეტილებას რომ ვიღებდი, იმ ახალგაზრდების ჯგუფი მედგა თვალწინ; ჩემს საბოლოო გადაწყვეტილებაზე ამ ეპიზოდმა ძლიერ იმოქმედა“*** *(იქვე, გვ. 24).*

ამის შემდეგ **შევარდნაძეს** ისრები აჭარის ავტონომიის მაშინდელ ლიდერზე **ასლან აბაშიძეზე** გადააქვს:

> ***„ამის შემდეგ აჭარაში ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელთან ასლან აბაშიძესთან შესახვედრად გავემგზავრე.*** *თბილისში შექმნილი მდგომარეობა არამხოლოდ მძაფრად ასახავდა ქვეყანაში არსებულ სიტუაციას, არამედ უფრო ართულებდა მას, განსაკუთრებით საქართველოს იმ კუთხეში, სადაც რუსული სამხედრო ბაზები იდგა. ეს ისტორიულად რთული რეგიონები გახლდათ და ფრთხილ მოპყრობას საჭიროებდა.* ***საზოგადოდ, ადრეც ყოველთვის ვცდილობდი, გამეთვალისწინებინა ეს ყოველივე აფხაზეთთან, აჭარასთან, სამხრეთ ოსეთსა თუ ჯავახეთთან ურთიერთობისას. ხშირად მსაყვედურობდნენ კიდეც გადამეტებულ სიფრთხილეს, თუმცა, ვფიქრობ, მართალი ვიყავი.***
>
> *ახლაც, ნაცმოძრაობის ლიდერები და აქტივისტები აჭარაში რომ ჩავიდნენ და იქ ცემა-ტყეპა ატყდა, საჭიროდ ჩავთვალე, სიტუაციის ჩასაცხრობად სასწრაფოდ ბათუმში ჩასვლა.* ***ადგილზე ვეთათბირე ამ კუთხის ლიდერს და მერე ტელეფონითაც რამდენჯერმე ველაპარაკე. დარწმუნებული ვიყავი, რომ, მიუხედავად გამომწვევად დამოუკიდებელი პოლიტიკისა, ასლან აბაშიძე არასოდეს გადადგამდა ქვეყნის მთლიანობისთვის საშიშ ნაბიჯს. ბოლოს და ბოლოს, იგი იმ დიდი ქართველი მოღვაწის მემედ აბაშიძის შვილიშვილი იყო, რომელმაც დიდი როლი ითამაშა, რათა აჭარა საქართველოს დაბრუნებოდა. თუმცა, ისიც აშკარა იყო, რომ აჭარაში უცხოური აგენტურა ყველაფერს გააკეთებდა და ყველაფერს გამოიყენებდა ამ კუთხის საქართველოსგან ჩამოსაცილებლად, მთელ საქართველოში სეპარატისტული მოძრაობის უფრო გასამძაფრებლად. ერთი სიტყვით, საქართველოს დაშლის აშკარა საშიშროების წინაშე ვიდექით...“*** *(იქვე, გვ.24).*

და მემუარისტი იმის შემდეგ, რაც აცხადებს, აბა, **მემედ აბაშიძის შვილიშვილი როგორ იკადრებდა აჭარის საქართველოდან ჩამოცილებასო** — მომდევნო აბზაცშივე პირდაპირ ხელს ადებს **ასლან აბაშიძეს**, აჭარის დამოუკიდებლობით მაშანტაჟებდაო:

> ***„მაშინაც და დღესაც ბევრს მიაჩნია, რომ უაღრესად მცდარი ნაბიჯი იყო როგორც ოპოზიციასთან დიალოგზე უარის თქმა, ისე აბაშიძესთან ალიანსის დემონსტრირება. გარეგნულად ეს მართლაც ასე ჩანდა და ვიცი, ამ ეპიზოდმა ბევრი თბილისელი გააბრაზა. სინამდვილეში კი საქმე სულ სხვაგვარად იყო. აბაშიძე ჩემგან დაჟინებით ითხოვდა აჭარის საარჩევნო შედეგების ლეგიტიმაციას, რასაც მის პარტიას*** *(„აღორძინება“)* ***ქვეყნის პარლამენტში სოლიდური წარმომადგენლობის გარანტიას აძლევდა. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო აჭარის ავტონომიის საქართველოს იურისდიქციიდან გაყვანის მცდელობაც კი. მე ამას ვერ დავუშვებდი!“*** *(იქვე, გვ. 25).*

ანუ შევარდნაძის თქმით, ის ორ ცეცხლს შუა იწვოდა — აქეთ **ასლან აბაშიძე** ჰყავდა, იქით — **სააკაშვილი** და მისი რევკომი!

***ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲘᲒᲐᲣᲠᲘ***

***ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ***




*ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ:*

**2003 ᲬᲚᲘᲡ ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲣᲠᲘᲡᲓᲘᲥᲪᲘᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲐᲪ ᲙᲘ!**

# «უვადოდ დაპატიმრებული უდანაშაულო ბაჩო შარაშენიძის ციხიდან გამოსახსნელად პროკურატურის კეთილ ნებას ველოდებით!»

*„სრულიად უდანაშაულო **თემურ (ბაჩო) შარაშენიძე** უკვე 19 წელია, რაც ციხეში ზის და მის მიმართ სამართლის აღსრულებას ელოდება. ბაჩოს უვადო პატიმრობა აქვს მისჯილი მკვლელობისთვის, რომელიც, არამცთუ არ ჩაუდენია, თეორიული მოტივაციაც არ ჰქონია! იმის მიუხედავად, რომ ყველა ამ „ბედნიერებასთან“ ერთად სიმსივნით არის ავად, სულით არ ეცემა, საკანში გამუდმებით ფიზიკურად ვარჯიშობს და რეაბილიტაციისთვის იბრძვის!“ —* ***ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი ბაჩო შარაშენიძის ადვოკატმა, უფლებადამცველმა გელა ნიკოლაიშვილმა:***

— **თემურ (ბაჩო) შარაშენიძე** ყოფილი სპეცრაზმელია. 90-იან წლებში იბრძოდა აფხაზეთში, შემდეგ ბიზნესს მიჰყო ხელი. მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს ყოფილა პოლიტიკოსი, უფლებადამცველთა ჯგუფმა პოლიტპატიმრად აღიარა, რადგან მის დაპატიმრებაში მკვეთრი პოლიტიკური მოტივაცია იკვეთება. „ასავალ-დასავალი“ ხშირად წერდა შარაშენიძის უდანაშაულო პატიმრობის და ციხეში მის მიერ გამართული შიმშილობის ხანგრძლივი აქციების შესახებ, რითიც პოლიტპატიმარი ცდილობდა, უკვე ახალი ხელისუფლებისათვის თავისი უდანაშაულობა შეეხსენებინა.

**— მოდით, ჩვენც შევახსენოთ მკითხველს, რა ბრალდებით დააპატიმრა შარაშენიძე სააკაშვილის რეჟიმმა?**

— 90-იანი წლებიდან **ბაჩო შარაშენიძეს** ჰქონდა საკმაოდ წარმატებული ბიზნესი. **სწორედ თემურ შარაშენიძემ გამოიგონა მრავალსართულიან კორპუსებში ლიფტით მგზავრობის 10-თეთრიანი მექანიზმი,** რაც თავიდანვე ოფიციალურად დააპატენტა და ამჟამად უკვე მასობრივად, ყველა კორპუსის ლიფტშია დამონტაჟებული. ამ ბიზნესში ბაჩო თავიდანვე მონოპოლისტი იყო, ჰყავდა ათეულობით მანქანა, ასეულობით მუშახელი და შემოსდიოდა დიდი შემოსავალი. **ყველაფერი კარგად მიდიოდა, ვიდრე მის ბიზნესს სააკაშვილის რეჟიმმა, კონკრეტულად, კომპანია „თბილლიფტმა“ არ დაადგა თვალი და წართმევა დაუპირა.** იმის მიუხედავად, რომ ათასგვარ პროვოკაციას უწყობდნენ, ბაჩო არ ეპუებოდა და თავისი ბიზნესის დაცვას აგრძელებდა, მაგრამ ბოლოს იგი მაინც დააპატიმრეს.

**— რა მიზეზით?**

— ბაჩოს გაუცოცხლეს 12 წლის წინანდელი ბრალდება, რომელშიც იგი გამართლებული იყო. იმ არეულ დროში **ბაჩო შარაშენიძე** 3 წლის შვილთან ერთად გადაადგილდებოდა საკუთარი ავტომანქანით, როცა სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილმა ორმა მთვრალმა პირმა გზა გადაუკეტა.

როგორც მაშინ მასობრივად ხდებოდა, იარაღები დადეს და ავტომანქანის წართმევა დაუპირეს, მაგრამ **კარგად ნავარჯიშევმა სპეცრაზმელმა მოახერხა გამკლავება და თავდამსხმელები დახოცა.** შარაშენიძე მაშინ დააკავეს, მაგრამ საქმე სასამართლომდე არ მისულა, იმის მიუხედავად, რომ დაღუპულები გადაცმული პოლიციელები აღმოჩნდნენ, **აუცილებელი მოგერიება იმდენად აშკარა იყო, რომ სრულიად უდანაშაულოდ ცნეს და გაათავისუფლეს**. სწორედ ეს საქმე დააბრუნა წარმოებაში სააკაშვილის რეჟიმის პროკურატურამ,

„მოძებნა“ მოწმე, მომაკვდავი ადამიანი, რომელსაც ბაჩოს წინააღმდეგ ჩვენება მიაცემინა **(„მოწმე“ ჩვენების მიცემიდან მოკლე ხანში გარდაიცვალა!)** და ბიზნესმენი ინციდენტიდან 12 წლის შემდეგ დააპატიმრა.

უკვე ციხეში მყოფ შარაშენიძეს, რომელიც მისჯილ 9-წლიან სასჯელს იხდიდა, 2009 წელს სააკაშვილის რეჟიმმა ახალი, გამაოგნებელი ბრალდება წაუყენა — თითქოს მან 2003 წელს **ზურაბ ზუბადალაშვილი** მოკლა და უკვე ამ ბრალდების საფუძველზე ბაჩო შარაშენიძეს უვადო პატიმრობა მიუსაჯეს!

**— ვინ იყო ზურაბ ზუბადალაშვილი და რა კავშირი ჰქონდა ბიზნესმენ თემურ შარაშენიძესთან?**

— **ზურაბ ზუბადალაშვილი** ყოფილი პარლამენტარის და დეზერტირების ბაზრის ყოფილი დირექტორის **ლაერტ ზუბადალაშვილის** ვაჟი გახლდათ. **სასამართლოს მიერ უკვე დადასტურებული ფაქტია, რომ ახალგაზრდა კაცი სიმამრის შეკვეთით მოკლეს.** სასამართლოზე ცნობილი გახდა იმ ადამიანების ვინაობაც, რომლებსაც მკვლელობა შეუკვეთეს — **გიორგი ყუფარაძე და როლანდ დილმელაშვილი.** ისინი აღიარებდნენ, რომ დამკვეთისგან მიიღეს იარაღი და ფული, სულ რაღაც, 2 ათასი დოლარი, მაგრამ მკვლელობის მცდელობები ჩაუფლავდათ. **ყუფარაძე** ამბობდა, რომ თავისი წილი 1000 დოლარი მან უკან დააბრუნა, ხოლო **დილმელაშვილი** სასამართლოზე ამბობდა, რომ, რადგან თავის წილ 1000 დოლარს ვერ აბრუნებდა, თავის ნაცნობ **ბაჩო შარაშენიძეს** მიაკითხა, რომელიც „დაჰპირებია“, რომ მის ნაცვლად მოკლავდა **ზუბადალაშვილს.**

უფრო მოგვიანებით, **დილმელაშვილმა** აღიარა, რომ ასეთი ჩვენება ზეწოლისა და მუქარების შედეგად მისცა, რის შედეგადაც მას სასჯელი შეუმსუბუქეს. სააკაშვილის რეჟიმს პრაქტიკაში ჰქონდა ცრუ ჩვენების გამოძალვა და რეჟიმის სამიზნედ ამოღებული პირისთვის დანაშაულის დაბრალების საფუძველზე ცრუ მოწმისთვის სასჯელის შემსუბუქება. ამგვარად ითითხნებოდა საქმეები, მთავარია, მერე ეს საქმეები „დანაშაულის გახსნით“ დასრულებულიყო და არ ადარდებდათ, ამის შედეგად ძალიან მაღალ სასჯელს სრულიად უდანაშაულო ადამიანი თუ მიიღებდა!

ასე მოხდა ბაჩო შარაშენიძესთან მიმართებაშიც. ცრუპენტელა გამოძიება დამატებითი მოწმეების მოძიებასაც შეეცადა. ასეთი იყო **ალექსანდრე ჭუმბურიძე,** რომელიც რეჟიმმა 2006 წლის 8 სექტემბერს დააპატიმრა, თბილისის ცენტრში (ლესია უკრაინკას ქუჩაზე) მდებარე ნაციონალური მოძრაობის ოფისის აფეთქების განზრახვის (!) შეთითხნილი ბრალდებით. შემდეგ, **ჭუმბურიძეს** მოსთხოვეს, დაემოწმებინა, თითქოს **ბაჩო შარაშენიძის** ოფისში ნახა პისტოლეტი, რომლითაც შარაშენიძემ **ზუბადალაშვილის** „მკვლელობა“ განახორციელა. როდესაც ცრუ მოწმეობაზე მტკიცე უარი მიიღეს, იგი სასტიკად აწამეს, რაც სასამართლოზე გამჟღავნდა!

***— კი მაგრამ, დილმელაშვილის მაგივრად შარაშენიძეს რა მოტივით უნდა მოეკლა ზურაბ ზუბადალაშვილი?***

— ამაშია საქმე, რომ მოტივაცია არ არსებობს. რატომ უნდა გამოედო მკვლელობისთვის თავი წარმატებულ ბიზნესმენს? **შარაშენიძე** არამცთუ არ იცნობდა **ზუბადალაშვილს,** მასთან საერთო ნაცნობებიც არ ჰყოლია. აბსურდია გამოძიების მხრიდან ირიბი მინიშნება, თითქოს შარაშენიძემ ეს მკვლელობა მატერიალური გამორჩენის, 1000 დოლარის სანაცვლოდ ჩაიდინა, რადგან შარაშენიძის ბიზნესიდან გამომდინარე, მას ამაზე ორჯერ მეტი შემოსავალი ერთი კვირის განმავლობაში ჰქონდა. თუ **დილმელაშვილი** შეებრალა, რადგან დამკვეთს ამ თანხას ვერ უბრუნებდა, გაცილებით ლოგიკური ის იქნებოდა, **შარაშენიძეს** ჯიბიდან ამოეღო ფული და დილმელაშვილისთვის ეჩუქებინა, რათა მას, თავის მხრივ, დამკვეთისთვის დაებრუნებინა და საქმიდან უპრობლემოდ გამოსულიყო. მოკლედ, **დილმელაშვილი** ჩვენებაში ამბობს, რომ ბაჩოს მკვლელობის ჩასადენად პისტოლეტი გადასცა, მაგრამ აქაც დიდი აბსურდი იკვეთება.

**— რას გულისხმობთ?**

— დავიწყოთ იმით, რომ ეს პისტოლეტი ბუნებაში რეალურად არ არსებობს. საქმეში არსებობს მხოლოდ **ყუფარაძის** მიერ მკვლელობის მიზნით მიღებული იარაღის აღწერა, მაგრამ, როდესაც დაცვის მხარემ საქმის გადასინჯვა მოვითხოვეთ, ახალი გამოძიების ფარგლებში ექსპერტიზამ დაადგინა, რომ **ყუფარაძის** მიერ აღწერილი „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტით მკვლელობა ვერ განხორციელდებოდა, რადგან ეს იარაღი „ბრაუნინგის“ ტყვიებს წარმატებით ვერ ისვრის, ჭედავს. შეიძლება რამდენიმე მცდელობის შემდეგ გაისროლოს ერთხელ, მაგრამ მერე 3-4 გასროლა გაჭედოს. ასეთ იარაღს მკვლელობის ჩასადენად ყოფილი სპეცრაზმელი **შარაშენიძე** არაფრის დიდებით არ წაიღებდა. არადა, საქმის მასალების მიხედვით, **ზუბადალაშვილის** მოსაკლავად მკვლელმა 6-ჯერ გაისროლა!

***— ეს ხომ უკვე არის „ახალი გარემოება?!“ ახალი ხელისუფლების პროკურატურამ რატომ შეიკავა თავი ამ საქმის სასამართლოში დასაბრუნებლად?***

— პროკურატურა ამბობს, რომ თეორიულად **თემურ შარაშენიძეს** შეეძლო, იარაღისთვის ლულა გამოეცვალა. ნუთუ უფრო მარტივი არ იქნებოდა, შარაშენიძეს „ბრაუნინგის“ ნაცვლად, „მაკაროვის“ ტყვიები ეშოვა?! შეწყალებას თუ არ ჩავთვლით, სასამართლოში ამ საქმის გადასინჯვა **ბაჩო შარაშენიძის** უკანასკნელი შანსია.

**იურიდიული მექანიზმი იმაში მდგომარეობს, რომ ახლად გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად შუამდგომლობა შევიდეს.**

დიდი მნიშვნელობა აქვს, სასამართლომდე ეს საქმე პროკურატურამ მიიტანოს, პროკურატურა თავადაც ინტენსიურად მონაწილეობდა ახალი გარემოებების გამოძიებაში, მაშინ მთავარი პროკურორი იყო **შალვა თადუმაძე,** მაგრამ ბოლო მომენტში პროკურატურამ რატომღაც თავი შეიკავა გამამართლებელი განაჩენის დადგომის მოთხოვნით საქმის სასამართლოსთვის წარსადგენად, იმის მიუხედავად, რომ ყველა ახალი გარემოება **შარაშენიძის** უდანაშაულობაზე მეტყველებს.

***— რა გიშლით ხელს, რომ პროკურატურის ნაცვლად სასამართლოს ამ მიზნით შარაშენიძის ადვოკატებმა მიმართოთ?***

— კანონი ამის უფლებას გვაძლევს, მაგრამ **სჯობს, პროკურატურამ შეიტანოს,** რადგან დაცვის მხარე ვუფრთხილდებით ბაჩოს გამართლების უკანასკნელ შანსს. უვადო პატიმრის გამართლების პრეცედენტები უკვე არსებობს — **გია გვიჩიანი და ნიკა ჩემია** გამართლდნენ სწორედ პროკურატურის ღირსეული საქციელის შედეგად. **მაშინ ახლად აღმოჩენილ გარემოებებზე დაყრდნობით, გამამართლებელი განაჩენის მოთხოვნით თავად პროკურატურამ მიმართა სასამართლოს. ამჯერადაც უდანაშაულო ადამიანის ციხიდან გამოსახსნელად და სამართლიანობის აღსადგენად პროკურატურის კეთილ ნებას ველოდებით!** ფაქტია, შარაშენიძის უდანაშაულობის დამტკიცებას რაღაც ძალა მართლაც აფერხებს, ოღონდ მე არ ვიცი, ეს ძალა პროკურატურაში უნდა ვეძებოთ, მთავრობაში და სამინისტროებში თუ პარლამენტში.

***— ვინ იყო პროკურორი, როდესაც შარაშენიძის წინააღმდეგ სააკაშვილის რეჟიმმა ბრალდება შეთითხნა?***

— **დავით ხიზანაიძე.** ის ახლა ერთ-ერთ რაიონულ პროკურატურაში აგრძელებს საქმიანობას, რიგითი პროკურორია და შეიძლება, დაინტერესებულიც იყოს, მაგრამ არა მგონია, იმდენი ძალა და გავლენა გააჩნდეს, რომ **შარაშენიძის** გამართლებას გადაეღობოს.

***— რა პოზიციაზეა მოკლული ზურაბ ზუბადალაშვილის მამა, ბატონი ლაერტ ზუბადალაშვილი?***

— **ბატონი ლაერტი** არ ამტკიცებს, რომ შვილი **ბაჩო შარაშენიძემ** მოუკლა, თუმცა, არც გამორიცხავს. ამის შესახებ მან პირადად მითხრა, მაგრამ დასძინა — **თუ შარაშენიძე არაა, მაშ, მითხრას სახელმწიფომ, ვინ მოკლა ჩემი შვილი და ის დასაჯოს.** ჩემთვის სრულიად გასაგებია გამწარებული, შვილმკვდარი მამის ეს პოზიცია, იმის მიუხედავად, რომ **მკვლელობის დამკვეთი, მისი მძახალი ცოცხალი აღარ არის, ის 17-წლიანი სასჯელის მოხდის პერიოდში, პატიმრობაში გარდაიცვალა.**

დასასრულ მინდა, დავძინო, რომ უვადო პატიმარი **ბაჩო შარაშენიძე** სიმსივნით არის ავად. რადგან იმედი გადაეწურა, რომ თავის უდანაშაულობას სასამართლოზე დაამტკიცებდა და თავისუფლებას კანონიერად მოიპოვებდა, რამდენიმე წლის წინ ჰქონდა გაქცევის მცდელობა, მაგრამ ამ ბრალდებით მისჯილი სასჯელის ვადა (4 წელი) უკვე თითქმის ბოლომდე მოიხადა. ბაჩო ამ საქციელის გამო დღემდე ღრმა სინანულშია, რადგან ბადრაგებს, რომლებიც თავის მოვალეობას ასრულებდნენ, პრობლემები შეუქმნა... მაგრამ, ნებისმიერი ადამიანი რას მოიმოქმედებდა მის მდგომარეობაში?

## გელა ნიკოლაიშვილი:

## უვადო პატიმრის გამართლების პრეცედენტები უკვე არსებობს!









უვადო პატიმარი თემურ (ბაჩო) შარაშენიძე

**რა გამოსავალს უტოვებს სახელმწიფო რეპრესირებულ, სიმსივნით ავადმყოფ, სააკაშვილის რეჟიმის მიერ შეთითხნილი ბრალდებებით უვადოდ (!) დაპატიმრებულ სრულიად უდანაშაულო, უკანონო ტუსაღს, თუ მის მიმართ სამართლიანობის აღდგენას კანონიერი გზებით არ უზრუნველყოფს?!**

*ესაუბრა* **ზაზა დავითაია**

***როდესაც საუბარია ცოცხალ ორგანიზმში მინერალურ ნივთიერებათა (კალიუმი, აზოტი, ფოსფორი, რკინა, სპილენძი, კობალტი, ნიკელი და სხვა ელემენტები, ორგანულ ნაერთებთან — ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები) როლის შესახებ, უმთავრეს ფაქტორად წარმოჩინდება მათი მონაწილეობა ისეთი სისტემების შექმნა-მუშაობაში, როგორებიცაა ცენტრალური ნერვული სისტემა, ჩონჩხი, სისხლი, ქსოვილური სუნთქვა და, რაც მთავარია, უჯრედებში ნივთიერებათა ცვლის პროცესი.***




# რა ფუნქციას ასრულებს მინერალური ნივთიერებები ადამიანის ორგანიზმში



ცოცხალი ორგანიზმების მოთხოვნილება მინერალურ ელემენტებზე ივსება საკვები პროდუქტებიდან, მათ ორგანიზმი ვერ გამოიმუშავებს. ამიტომ, საკვები უნდა შეიცავდეს აუცილებელ მინერალურ ნივთიერებებს. ამა თუ იმ მინერალური ნივთიერების ნაკლებობისას ირღვევა ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირება. მაგალითად, მინერალური ნივთიერებების — ნატრიუმის, კალციუმის, კალიუმის, ფოსფორის, ქლორის, ბრომის დეფიციტმა შეიძლება გამოიწვიოს ცენტრალური ნერვული სისტემის დარღვევები, მინერალური ნივთიერება — იოდის ნაკლებობა იწვევს ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის მოშლას; მინერალური ნივთიერებების სიჭარბეც, თავის მხრივ, მრავალ დარღვევას იწვევს.

მინერალური ნივთიერებებით მდიდარია ცხოველური თუ მცენარეული წარმოშობის მრავალი პროდუქტი, მაგრამ მრავალ მცენარეულ საკვებში მინერალური ნივთიერებების თანაფარდობა არაბალანსირებულია. ცხოველურ პროდუქტებში მინერალური ნივთიერებები გაცილებით უკეთაა ბალანსირებული. მინერალური ნივთიერებების ოპტიმალური თანაფარდობაა რძესა და რძის პროდუქტებში.

**კალციუმი** ეს არის ელემენტი, რომელიც რეგულარულად ესაჭიროება ცოცხალი ორგანიზმის უჯრედისს და ძვლის ქსოვილის სითხეს. **კალციუმი** სისხლის შემადგენელი ელემენტია. მას ბევრი პროდუქტი შეიცავს ჭარბად, მაგრამ საყურადღებოა, რომ ორგანიზმში ძნელად აღწევს. ორგანიზმს კალციუმის ათვისებაში ხელს უშლის სხვა ელემენტები, მაგალითად, მაგნიუმი, ფოსფორი და სხვ. კალციუმის კარგად ათვისება ხდება მაშინ, როდესაც მისი ფარდობა ფოსფორთან 1:1,5-ია, მაგნიუმთან — 1:75. ადამიანი კალციუმს მაქსიმალურად ითვისებს რძის პროდუქტებიდან, მარცვლოვნებიდან, მათ ქსოვილში ინოზიტფოსფორის მჟავას ჭარბი შემცველობის გამო, კალციუმის ათვისება თითქმის არ ხდება. კალციუმის ათვისებას არეგულირებს **D** ვიტამინი. **კალციუმის სადღეღამისო მოთხოვნილება შეადგენს 800-1000 მგ-ს.**

**კალიუმი** ორგანიზმიდან დევნის სითხეს, ნაწილობრივ — მარილებსაც. ორგანიზმში ეს ელემენტი ხვდება **მარცვლოვანი მცენარეების**, აგრეთვე, **ბოსტნეულის, კარტოფილისა** და **ხილის** საშუალებით. კალიუმს დიდი რაოდენობით შეიცავს ხორცისა და თევზის პროდუქტები, აგრეთვე, **გარგარი, ქიშმიში, შავი ქლიავი** და სხვ. ადამიანისთვის **კალიუმის სადღეღამისო მოთხოვნილება შეადგენს 2-3 გრამს.**

**მაგნიუმს** აქვს ანტისპაზმური, აგრეთვე, სისხლძარღვების გაფართოების უნარი. ამ ელემენტს შეუძლია გააუმჯობესოს ნაწლავების პერისტალტიკა, გააძლიეროს ნაღვლის წვენის გამოყოფა, შეამციროს სისხლში ქოლესტერინის დონე. მაგნიუმის წყარო ცოცხალი ორგანიზმისათვის არის **ქვავი, ხორბალი, ცერცვი** და **ლობიო**. სადღეღამისო **ნორმაა დაახლოებით 500-600 მილიგრამი.**

**რკინა** ითვლება როგორც შეუცვლელი ელემენტი, რასაც განაპირობებს ის ფაქტი, რომ იგი შედის **ჰემოგლობინის, მიოგლობინის, ციტოქრომების** შემადგენლობაში. **რკინის სადღეღამისო მოთხოვნილება 14-16 მილიგრამის ფარგლებში მერყეობს.**

**გვაქვს საკმაოდ დიდი გამოცდილება, თუ რომელი პროდუქტები შეიცავენ ნივთიერებათა ისეთ კომპლექტს, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზმში რკინის შეღწევადობას და მასში ამ ელემენტის დადებითი მიმართულებით დაბალანსებას:**

**1.** გოგრა თესლით; **2.** კარტოფილი; **3.** ბადრიჯანი; **4.** კომბოსტო; **5.** სიმინდი; **6.** ჭარხალი; **7.** ნიახური; **8.** ხახვი; **9.** ნიორი; **10.** სალათა; **11.** კამა; **12.** ისპანახი; **13.** წიწიბურა; **14.** ყაბაყი; **15.** ოსპი; **16.** ლობიო; **17.** ხურტკმელი; **18.** ყურძენი; **19.** მწვანე ვაშლი; **20.** ნესვი; **21.** ქლიავი; **22.** მაყვალი; **23.** მარწყვი; **24.** ძახველი; **25.** შტოში; **26.** ლიმონი; **27.** ფორთოხალი; **28.** გარგარი; **29.** ალუბალი; **30.** მსხლის ჩირი; **31.** ჭერამი; **32.** ქიშმიში; **33.** ფსტა; **34.** მზესუმზირას თესლი; **35.** კვერცხი; **36.** საქონლის უცხიმო ხორცი; **37.** საქონლის ღვიძლი; **38.** ქათმის ხორცი; **39.** სოკო;

**ფოსფორს** უდიდესი როლი აქვს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის პროცესში, ნუკლეინმჟავათა ბიოსინთეზსა და, რაც მთავარია, მემკვიდრეობითი ნიშან-თვისებების, ანუ გენების გადაცემის საკითხში. ფოსფორი ადამიანს კალციუმზე მეტი რაოდენობით სჭირდება. **მოზრდილი ადამიანისათვის საჭიროა დღეში 1,5-2 გრამი, ორსულისა და მეძუძურისთვის — 3-3,8 გრამი, ბავშვისათვის — 1,5-2,5 გრამი.** ფოსფორს დიდი რაოდენობით შეიცავს თხილეული. კაკლის მცირე ნაწილი არა მხოლოდ კვებავს სხეულს, არამედ უზრუნველყოფს ფოსფორის ყოველდღიური ღირებულების დაახლოებით 40 პროცენტს. იგი ამარაგებს ორგანიზმს ანტიოქსიდანტებითა და ცილებით, სასარგებლოა მზესუმზირის, გოგრის, სეზამის ჩიას თესლი, რომელიც ფოსფორის გარდა შეიცავს ომეგა-3 მჟავებს, ბოჭკოს და რკინას. ფოსფორით მდიდარია ხორბლის მარცვლები, ქერი, შვრია და სიმინდი. ვინაიდან ამ ინგრედიენტებში არსებული ფოსფორი უფრო დიდი კონცენტრაციით არის კონცენტრირებული მარცვლის გარსში, უკეთესია ამ პროდუქტების გამოყენება ნედლი სახით. ფოსფორით მდიდარია რძე, იოგურტი, ყველი. ბოსტნეულიდან სასარგებლოა ბროკოლი; ქათმის მკერდი ბევრად უფრო ჯანსაღია და შეიცავს უფრო მეტ ფოსფორს, ვიდრე ღორის ხორცი; ლობიოს პროდუქტები პარკოსნებს შორის, ასევე გვხვდება პროდუქტები ფოსფორის შედარებით მაღალი შემცველობით, ეს არის რამდენიმე სახის ლობიო, ოსპი და სოიო; ნიორი სამართლიანად იკავებს ღირსეულ ადგილს თუთიით, ფოსფორით, C ვიტამინით და რკინით მდიდარ პროდუქტებს შორის. იგი ამცირებს ქოლესტერინის არასასურველი დეპონირების რისკს, ამცირებს არტერიულ წნევას, სასარგებლოა გულის შეტევების, ინსულტის და კიბოს დროს. კარგია აგრეთვე არაქისის კარაქი ან ზეთი. გარდა ქიმიური ელემენტისა, ზეთი შეიცავს ცხიმს, ცილებს და სასარგებლო მინერალებს. ეს არის ერთ-ერთი ალტერნატივა გულუხვი და მკვებავი საუზმისთვის.




## იმუნიტეტის ამაღლების უნივერსალური რეცეპტი:



ისეთ მცენარეებს, როგორებიცაა **ვარდისფერი როდიოლა, მაღალი ექინოპანაქსი, ასკილი, ჰინჰარი, კუნელი და კრაზანა** გამოიყენებენ როგორც უნივერსალურ საშუალებას იმუნიტეტის ასამაღლებლად.

აღნიშნული მცენარეები ცალ-ცალკე შეაგროვეთ, გაასუფთავეთ, დაჭერით, რაც შეიძლება წვრილად და ასეთი დამუშავებული მასალიდან მინიშნებული რაოდენობით გააკეთეთ ნარევი. კარგად აურიეთ ერთგვაროვანი მასის მიღებამდე:

1. **ვარდისფერი როდიოლას ფესვები — 2 წილი;**
2. მაღალი ექინოპანაქსის ფესვები — **2 წილი;**
3. **ასკილის ნაყოფი — 4 წილი;**
4. ჰინჰარი — **3 წილი;**
5. **კუნელის ნაყოფი — 3 წილი;**
6. კრაზანა — **2 წილი.**

მიღებული ნარევიდან აიღეთ **1 სუფრის** კოვზი, დაასხით ერთი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და გააჩერეთ ერთი საათი. ამის შემდეგ ნაყენი გაწურეთ ნაჭერში, გამოწურვა-გამოწნეხვით.

**მიღება: 1/3 ჩაის** ჭიქა ნაყენი ჭამამდე **20 წუთით** ადრე.

**ასკილი, ძახველი და წითელი მოცვი** პოლივიტამინებით მდიდარი მცენარეებია. უძველესი დროიდან არის ცნობილი, რომ ის მცენარეები, რომლებიც ჭარბად შეიცავენ პოლივიტამინებს, იმუნურ სისტემაზე დადებითად მოქმედებენ. დასახელებული მცენარეებიდან იმუნური სისტემის გასაძლიერებლად შეიძლება დამზადებული იქნას ასეთი ნაყენი:

**ასკილის, ძახველისა და წითელი მოცვის** ნაყოფები აიღეთ თანაბარი რაოდენობით და კარგად აურიეთ. **ერთ სუფრის კოვზ ნარევს დაასხით წყალი და ადუღეთ10 წუთის განმავლობაში.** ნაყენიანი ჭურჭელი შეფუთეთ შალის ნაჭერში და გააჩერეთ **5 საათი,** რის შემდეგაც გაწურეთ.

**მიღება:** ნახევარი ჩაის ჭიქა დღეში **2-3-ჯერ.**

**ადამიანები უძველესი დროიდან თვლიდნენ, რომ იმუნური სისტემის ამაღლებისათვის დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია მუმიოს, მითუმეტეს, როდესაც მუმიოსთან ერთად რეცეპტურაში მონაწილეობს ალოე და ლიმონი. ამ მიმართებით აქ წარმოვადგენთ ასეთი რეცეპტის ერთ-ერთ ვარიანტს:**

1. ალოე — 100 გრ;
2. მუმიო — 2 გრ;
3. ლიმონი — 3 ცალი, წვენი.

ამ შემადგენლობას კარგად ვურევთ ერთმანეთში და ვაყოვნებთ ოთახის ტემპერატურაზე 24 საათი.

**მიღების წესი: დღეში 3-ჯერ, სუფრის კოვზით, ჭამის წინ.**



**1.** **ევკალიპტის** გამშრალი ფოთლები დააქუცმაცეთ საფქვავში. აიღეთ ერთი სუფრის კოვზი **ევკალიპტი,** დაასხით **1 ჩაის ჭიქა 70-პროცენტიანი სპირტი.** ერთი კვირის განმავლობაში **ევკალიპტის** ეს ნაყენი დააყოვნეთ სიბნელეში და თანაც პერიოდულად შეანჯღრიეთ.

**მიღება:** პროფილაქტიკის მიზნით **1/4 ჩაის ჭიქა** ნელთბილ წყალში გახსენით **20-25 წვეთი** ევკალიპტის ნაყენი და მიიღეთ დღეში **1-2-ჯერ** ჭამამდე ნახევარი საათით ადრე. გრიპის ან მისი გართულებული ფორმის დროს მიღება ხდება დღეში სამჯერ, იმავე დოზით.

**2.** აიღეთ 1 სუფრის კოვზი **ფიჭვის** დაქუცმაცებული კვირტები, დაასხით **200 მლ** ქაფქაფა ცხელი წყალი და **10 წუთის** განმავლობაში თავდახურული ადუღეთ ძალიან დაბალ ცეცხლზე, რაც შეიძლება პატარა ზომის ჭურჭელში. ამის შემდეგ გადმოდგით ცეცხლიდან და ოთახის ტემპერატურაზე დააყოვნეთ ერთი საათი, რის შემდეგაც გაწურეთ ნაჭერში.

**მიღება:** ეს ნაყენი მიიღეთ დღეში რამდენჯერმე დესერტის კოვზით. აუცილებელია, რომ ნაყენის დამზადება ხდებოდეს სისტემატურად, ყოველდღე. მკურნალობის კურსი **14 დღე.**

**3.** აიღეთ **50 გრამი სოჭის ან ფიჭვის წიწვები,** დაუჭრელად, ძალიან მცირე ულუფობით ჩაუშვით **250 მლ** მდუღარე წყალში. ადუღეთ **20 წუთი,** რის შემდეგაც ოთახის ტემპერატურაზე დააყოვნეთ **1 საათი.** გემოს გაუმჯობესებისათვის შეიძლება ნაყენს დაამატოთ ცოტა **ძმარი და შაქარი.** ნარევის მთლიანი რაოდენობა მიღებულ უნდა იქნას დღის განმავლობაში, სულ ორ მიღებაზე. უკეთესია, თუ ამ ორ მიღებას გააკეთებთ საკმარისი ინტერვალის დაცვით: **დილით — 10 საათზე, საღამოს კი — 17-18 საათზე.** გამოყენებულ უნდა იქნას აუცილებლად ახალი წიწვები.

**4.** **სოჭისა** და **ფიჭვისწიწვებიანი** ტოტები ზამთრის პერიოდში ძალიან იოლად ინახება ცივ ადგილას, მითუმეტეს, თუ ტოტები ქვედა ნაწილით ჩალაგებული იქნება წყლიან ჭურჭელში.

**5.** აიღეთ **ვარდისებური როდიოლას ბოლქვი,** დააქუცმაცეთ, დაასხით **100 მლ 40-პროცენტიანი სპირტი ან ორნახადი არაყი.** ბნელ და თბილ ადგილას გააჩერეთ **8 დღის** განმავლობაში, თანაც პერიოდულად შეანჯღრიეთ და ამის შემდეგ გაწურეთ ნაჭერში.

**მიღება:** 5-10 წვეთი 2-3-ჯერ დღეში. მკურნალობის კურსი 15-20 დღე.

| ძველებური ფეხსამოსი | ხელოვნების რომელიმე დარგის მიღწევათა ჩვენება | ამხანაგი სამსახურის მიხედვით | პათოსით წარმოთქმული სიტყვა | ზეციური მხნელი | სულდგმული |
|---|---|---|---|---|---|

| თავის ჩონჩხი | უმაღლესი ხელისუფლების წერილობითი მიმართვა მოსახლეობისადმი | ბუბა კიკაბიძე „მიმინოში" | რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი | აიდას სატრფო | ქალიშვილი | ნაცია |
|---|---|---|---|---|---|---|

# ჩაინვორდი

1-3 ქალაქი პორტი აშშ-ში; 2-5 ოპერის სიტყვიერი ტექსტი; 4-7 წყალქვეშა ჭურვი; 6-9 იტალიელი კომპოზიტორი; 8-11 იარლიყი; 10-13 უკრაინელი პოლიტიკოსი ქალი; 12-15 ტალანი. დერეფანი; 14-17 შვედური კოსმეტიკური ფირმა; 16-19 შაკიკი; 18-21 ძრავას საზეთი ზეთი; 20-23 მოყვითალო მწვანე მინერალი; 22-25 თაოსანი საქმეში; 24-27 ქაღალდის კეცვის ხელოვნება; 26-29 ათასი მილიონი; 28-31 ცხენებიანი მრავალადგილიანი კარეტა; 30-33 მეცნიერება ამინდის გამოცნობის შესახებ; 32-35 დედალოსის შვილი; 34-37 გულის მოქმედების ფაზა; 36-39 ცხვრის მატყლის ცხიმი; 38-41 უმაღლესი ნეტარება ბუდიზმში; 40-43 მახრჩობელა გველი; 42-45 რაუტი; 44-47 საფოსტო გზავნილი; 46-49 თანდაყოლილი ჭკუასუსტობა; 48-51 კლდის თხა; 50-53 ზოდიაქოს ნიშანი; 52-55 მზესუმზირა; 54-57 ეგვიპტის მეფეთა ტიტული; 56-59 სახელმწიფო ცენტრ. ამერიკაში; 58-61 ამერიკელი მომღერალი მამაკაცი; 60-63 დანიის პარლამენტის ძველი სახელი; 62-64 სიმებიანი საკრავი.



# კროსვორდი

თარაზულად: 1. ცენტრალური მცველი ფეხბურთში; 9. მცენარეთა შემსწავლელი მეცნიერება; 10. იარლიყი; 11. სიტყვის მარტივი ფუძის წინ მოთავსებული წინსართი; 16. ცალკე გამოყოფა, გამიჯვნა; 20. ზედმეტი, უსარგებლო ტვირთი; 21. პირველი იარუსი ამფითეატრსა და ბენუარს ზევით თეატრში; 22. გემის, თვითმფრინავის, ტანკის მომსახურე პერსონალი; 27. ავადმყოფური გადახრა ნორმიდან, სიმახინჯე; 31. ცხენების შეჯიბრება ჭენებაში გრძელ მანძილზე, დოღი; 32. წელიწადის თვე; 33. ხელის სიმარდეზე, მოქნილობაზე დამყარებული მარჯვე ილეთი, ტრიუკი.

შვეულად: 2. დეკორატიული ბოლქვიანი მცენარე შროშანისებრთა ოჯახისა, იკეთებს მეტწილად წითელ ყვავილებს; 3. მთის წაწვეტებული მწვერვალი; 4. თავბრუ; 5. ბაღჩეული კულტურა; 6. თავზე ან ყელზე მოსახვევი ვიწრო, მოგრძო ქსოვილი; 7. სითხე, რომელიც გამოიყოფა ცხოველური ორგანიზმის ქსოვილების ლპობის, ანთების შედეგად; 8. ჯადოქრობა, მისნობა; 12. კუთხსაზომ იარაღებში: ლითონის ბრტყელი რგოლი, რომელზედაც ირგვლივ აღნიშნულია დანაყოფები; 13. ჩანთოსანი დათვი; 14. აკრობატული ნახტომი, რომლის დროსაც ჰაერში მალაყს აკეთებენ; 15. დაწესებულება, სადაც ხდება მსხვილი ფინანსური და სავაჭრო გარიგებები; 17. იაპონური პოეზიის ერთ-ერთი ძველი ჟანრი; 18. რაიონული ცენტრი საქართველოში; 19. რაიმე დარგში მუშაობის ან რაიმე ორგანიზაციის რიგებში ყოფნის ხანგრძლივობა; 23. მარდი, მამაცი; 24. ჩასაბერი მუსიკალური საკრავი; 25. მინის მაღალყელიანი ჭურჭელი, იყენებენ ლაბორატორიებში; 26. ბერძნულ მითოსში: წყლის მრავალთავიანი გველი, რომელიც მოკლა ჰერაკლემ; 28. პატარა თუთიყუში; 29. სულიერი მოძღვარი, მასწავლებელი ინდოეთში; 30. დედალი ცხენი, ფაშატი.

*კროსვორდის პასუხები იხილეთ ამავე გვერდზე.*

## ამავე გვერდზე გამოქვეყნებული ჩაინვორდის პასუხები:

**მერსიე**

1-3 სიეტლი; 2-5 ლიბრეტო; 4-7 ტორპედო; 6-9 დონიცეტი; 8-11 ეტიკეტი; 10-13 ტიმოშენკო; 12-15 კორიდორი; 14-17 ორიფლეიმი; 16-19 მიგრენი; 18-21 ნიგროლი; 20-23 ოლივინი; 22-25 ინიციატორი; 24-27 ორიგამი; 26-29 მილიარდი; 28-31 დილიჟანსი; 30-33 სინოპტიკა; 32-35 იკაროსი; 34-37 სისტოლა; 36-39 ლანოლინი; 38-41 ნირვანა; 40-43 ანაკონდა; 42-45 დარბაზობა; 44-47 ბანდეროლი; 46-49 ოლიგოფრენია; 48-51 ნიამორი; 50-53 მორიელი; 52-55 ლილიფარა; 54-57 ფარაონენი; 56-59 ნიკარაგუა; 58-61 უანდერი; 60-63 რიგსდაგი; 62-64 გიტარა.

## ლენტვორდი

თარაზულად: 1. ერთგვარი, გულიანი კანფეტი; 6. ყველაზე ღრმა ტბა; 7. მეოთხე ნოტი; 8. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარი ოკეანის სამხრეთში; 11. სიგრძის საზომი ერთეული (ძვ.); 12. სამაგიდო თამაში; 14. ზოგიერთ სპორტულ შეჯიბრებაში წარმატების ციფრობრივი აღნიშვნა; 15. ავადმყოფობის განვითარების უმაღლესი წერტილი; 16. ნორჩი (16 წლამდე) მოჭიდავე; 18. რაიონი საქართველოში; 19. სატრანსპორტო საშუალება, ერთგვარი ბრტყელძირიანი გემი; 20. აზრი, ჩანაფიქრი; 22. მოხდენილი აღნაგობის მქონე; 23. ცუდის მდომი; 26. ნამცხვარი, რომელსაც გულად აქვს ცხიმში მოხალული ფქვილი; 27. ტივტივა; 29. აფრიკული ვრცელი ველი; 30. სისხლით ნათესავი; 31. თანხმობა; 32. სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი.

შვეულად: 2. უსაქმოდ მოხეტიალე, მოხულიგნო ახალგაზრდა; 3. დაარბია, ააწიოკა; 4. მარტოხელა; 5. თეთრყვავილიანი მერქნიანი მცენარე; 8. ზრდილობიანი მიმართვა იაპონელი მამაკაცისადმი; 9. ზნეობა; 10. სახოტბო ლექსი; 13. ციტრუსი; 14. პორთოსის თავადაზნაურული ტიტული; 17. მამაკაცის ყველაზე მაღალი სასიმღერო ხმა; 19. მაღალი ხარისხის ბროლი; 21. ქალაქი გერმანიაში; 24. კუბის დედაქალაქი; 25. დასაკეცი საფარი ფანჯარაზე; 28. განძი, საუნჯე (ძვ.).

თარაზულად: 1. კარამელი; 6. ბაიკალი; 7. ფა; 8. სამოა; 11. ადლი; 12. ნარდი; 14. ბალი; 15. აკმე; 16. კადეტი; 18. ონი; 19. ბორანი; 20. იდეა; 22. კენარი; 23. მტერი; 26. ქადა; 27. ბუი; 29. სავანა; 30. და; 31. კი; 32. გიტარა.

შვეულად: 2. ავარა; 3. აიკლო; 4. ეული; 5. აკაცია;8. სან; 9. მორალი; 10. ოდა; 13. მანდარინი; 14. ბარონი; 17. ტენორი; 19. ბაკარა; 21. დორტმუნდი; 24. ჰავანა; 25. დარაბა; 28. ლარი.

# ვიქტორინა

1. როგორ ადამიანს უწოდებენ სანგვინიკს? ა. სუსტსა და წყნარს; ბ. ძლიერსა და მოძრავს; გ. ძლიერსა და გაუწონასწორებელს.
2. ვინ იყო გაეროს გენერალური მდივანი 1961-1971 წლებში? ა. უ ტანი; ბ. კ. ვალდჰაიმი; გ. პერეს დე კუელიარი.
3. რომელი ქვეყნის გერბზეა გამოსახული თეთრი დათვი? ა. რუსეთის; ბ. დანიის; გ. ნორვეგიის.
4. რას უწოდებენ რიცხვს $10^{12}$? ა. მილიარდს; ბ. კვადრილიონს; გ. ტრილიონს.
5. რომელ ოკეანეშია წითელი ზღვა? ა. ატლანტის; ბ. წყნარ ; გ. ინდოეთის.
6. ვინ არის ავტორი ნაწარმოებისა „ბარონი მიუნჰაუზენის თავგადასავალი"? ა. რ. რასპე; ბ. ფ. რაბლე; გ. მოლიერი.
7. ვინ აღმოაჩინა წყალბადი? ა. რეზერფორდმა; ბ. კავენდიშმა; გ. ერსტადმა.
8. ვინ არის რეჟისორი ფილმისა „8 1/2"? ა. მიქელანჯელო ანტონიონი; ბ. ვიტორიო დე სიკა; გ. ფედერიკო ფელინი.
9. რას უწოდებენ პორტუგალიელები თავიანთი ქვეყნის ფულის ერთეულს? ა. კრონს; ბ. ესკუდოს; გ. ფრანკს.
10. რომელი ქვეყნის საავტომობილო კონცერნია „კრაისლერი"? ა. აშშ-ის; ბ. გერმანიის; გ. ბრიტანეთის.
11. მორწმუნეთა რიცხვის მიხედვით, რომელი რელიგიაა მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული? ა. ქრისტიანობა; ბ. ისლამი; გ. ბუდიზმი.
12. რომელი ქვეყნის საფეხბურთო ნაკრებმა მოიპოვა 1978 წელს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული? ა. ჰოლანდიის; ბ. ბრაზილიის; გ. არგენტინის.
13. ვინ აღმოაჩინა ჰავაის კუნძულები? ა. მაგელანმა; ბ. კოლუმბმა; გ. ჯ. კუკმა.
14. რას უწოდებენ ლომისებრთა ოჯახს? ა. პრაიდს; ბ. ლიონიდს; გ. ტრაიდს.

## ვიქტორინის პასუხები:

1. ძლიერსა და მოძრავს; 2. უ ტანი; 3. დანიის; 4. ტრილიონს; 5. ატლანტის; 6. რ. რასპე; 7. კავენდიშმა; 8. ფედერიკო ფელინი; 9. ესკუდოს; 10. აშშ-ის; 11. ქრისტიანობა; 12. არგენტინის; 13. კუკმა; 14. პრაიდს

## ამავე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდის პასუხები:

**ქალამანიფესტივალიკოლეგატირადამესიასულიერი**

## ამავე გვერდზე გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. სტოპერი; 9. ბოტანიკა; 10. ეტიკეტი; 11. პრეფიქსი; 16. იზოლაცია; 20. ბალასტი; 21. ბელეტაჟი; 22. ეკიპაჟი; 27. პათოლოგია; 31. მარულა; 32. ოქტომბერი; 33. ფოკუსი.

შვეულად: 2. ტიტა; 3. პიკი; 4. რეტი; 5. გოგრა; 6. შარფი; 7. ჩირქი; 8. მაგია; 12. ლიმბი; 13. კოალა; 14. სალტო; 15. ბირჟა; 17. ტანკა; 18. კასპი; 19. სტაჟი; 23. ჩაუქი; 24. ჰობოი; 25. კოლბა; 26. ჰიდრა; 28. ჟაკო; 29. გურუ; 30. ჭაკი.



# მიხეილ ცაგარელი:

# ასტროლოგია და ლითონები

***— ბოლო ათწლეულებში ასტროლოგიის განვითარების, მეცნიერული პროგრესისა და ახალი ლითონების აღმოჩენის შედეგად, ამა თუ იმ ზოდიაქოს ნიშანს ანდა პლანეტას რომელი ლითონები შეესაბამება? რა კავშირი არსებობს მზესა და ოქროს შორის? „აურა“ რომელი ლათინური სიტყვის ფუძეა და რაზე მიგვანიშნებს? უახლოეს წარსულში გულის სამკურნალოდ რომელ ლითონს იყენებდნენ ანდა დღემდე ჰომეოპათები რომელი ლითონის გაჯერებულ ხსნარებს იყენებენ პაციენტების დეპრესიისა და სუიციდური გამოვლინებების შემთხვევაში? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.***

**— არაერთხელ გვისაუბრია თილისმების, ძვირფასი თუ ნახევრად ძვირფასი ქვების შესახებ, რომლებიც ამა თუ იმ პლანეტას ან ზოდიაქოს ნიშანს შეესაბამება და, ხშირ შემთხვევაში, ბუდეში ჩასმულს სამკაულის სახით ვატარებთ. საინტერესოა, რამდენად არის შესაძლებელი, ბუდის დასამზადებლად გამოვიყენოთ ასევე მათი შესაბამისი ლითონები?**

— ცალსახად უნდა აღვნიშნოთ, რომ პლანეტებისა და ზოდიაქოს ნიშნების გარკვეულ ნაწილს უკავშირდება და შეესაბამება ის ლითონები, რომლებიც ბუდეების დასამზადებლად არ გამოდგება. მაგალითად, თუ **მზესა** და მის მიერ მართულ **ლომის** ზოდიაქოს შეესაბამება **ოქრო,** რომელიც ყველაზე გავრცელებული ლითონია სამკაულის ბუდის დასამზადებლად, სამაგიეროდ, პლანეტა **მერკურს** და მის მიერ მართულ **ტყუპის** ზოდიაქოს შეესაბამება **ვერცხლისწყალი,** რომელიც გარდა იმისა, რომ არ არის მყარი, მომწამვლელიც არის ადამიანისთვის. ნიშანდობლივია ისიც, რომ ასტროლოგიაში ლითონებს განსხვავებული დატვირთვა აქვთ. თუ უხეშ ანალოგიას მივმართავთ, წარმოვიდგინოთ, რომ პლანეტები და ზოდიაქოს ნიშნები ერთგვარ მუსიკალურ გამას ქმნიან, ამიტომაც თითოეულ მათგანს შეესაბამება მუსიკალური ოქტავის რომელიმე ბგერა, ხოლო ფერთა გამაში რომელიმე ფერი და ა.შ. დაახლოებით იგივე დატვირთვა აქვთ ლითონებსაც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ლითონთა ბუნება, ფერი თუ თვისებები ძალიან ახლოა იმ პლანეტების ბუნებასთან, რომლებსაც მიეკუთვნებიან. ისიც უნდა ითქვას, რომ არავინ იცის, თუ პირველად როდის მოხდა ლითონების პლანეტებთან მიკუთვნება, რადგან ამგვარ ანალოგიას უძველეს ჩანაწერებში ვხვდებით. უფრო მოგვიანებით ამან სხვაგვარი გამოყენებაც პოვა. მოგეხსენებათ, შუა საუკუნეებში ევროპაში, როდესაც მეცნიერება ინკვიზიციის მიერ სატანიზმად მიიჩნეოდა, იდევნებოდა და ისჯებოდა, ე.წ. ალქიმიკოსები თავიანთ ჩანაწერებში ლითონების აღსანიშნავად მიუთითებდნენ პლანეტების სიმბოლოებს ანდა პირიქით, თანამედროვე ასტროლოგიის განვითარებისა და ახალი ლითონების აღმოჩენასთან ერთად, ეს სფეროც ვითარდებოდა. მაგალითად, ბოლო ათწლეულებში არაერთმა ასტროლოგმა **მთვარეს ვერცხლის** გარდა დაუკავშირა და მიაკუთვნა **ალუმინიც. ვენერას კი სპილენძთან** ერთად — **თითბერი.** ამ სიახლეთა გათვალისწინებით შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ პლანეტების, ზოდიაქოს ნიშნებისა და ლითონების ჩამონათვალი: 1. პლანეტები და ლითონები — **მზე — ოქრო; მთვარე — ვერცხლი და ალუმინი; მერკური — ვერცხლისწყალი; ვენერა — სპილენძი და თითბერი; მარსი — რკინა; იუპიტერი — კალა; სატურნი — ტყვია; ურანი — რადიუმი და ურანიუმი; ნეპტუნი — ლითიუმი და პლატინა; პლუტონი — ვოლფრამი და პლუტონიუმი.**

2. ზოდიაქოს ნიშნები და შესაბამისი ლითონები განისაზღვრა მმართველი პლანეტის მიხედვით: **ვერძი — რკინა და ფოლადი; კურო — სპილენძი, ბრინჯაო, პლატინა და თითბერი; ტყუპი — ვერცხლისწყალი და ოქრო; კირჩხიბი — ვერცხლი და ალუმინი; ლომი — ოქრო; ქალწული — ვერცხლისწყალი და ოქრო; სასწორი — სპილენძი და ოქრო; ღრიანკალი — რკინა, ფოლადი და რადიუმი; მშვილდოსანი — კალა და მელქიორი; თხის რქა — ტყვია; მერწყული — ტყვია და რადიოაქტიური ლითონები; თევზები — კალა;** აქვე კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ **ზემოთ მოცემული ამგვარი ჩამონათვალი ასტროლოგიის განვითარებასა და ტექნიკურ პროგრესს უკავშირდება, რადგან კლასიკურ ძირძველ ასტროლოგიაში განიხილებოდა მხოლოდ ე.წ. დაბალი რანგის, მზესთან ყველაზე ახლოს განლაგებული ხუთი პლანეტა მზე და მთვარე.** იმისათვის, რომ ამ საკითხში უკეთ გავერკვეთ, სასურველია, სათითაოდ განვიხილოთ კლასიკური პლანეტებისა და მათი შესაბამისი ლითონების ურთიერთკავშირი.

**1. მზე და ოქრო.** დამეთანხმებით, რომ ოქრო მზეს ძალიან გვაგონებს. იგი, როგორც მზე მნათობთა შორის, ლითონებს შორის უმთავრესი და ულამაზესია და მზისებრ მშვენიერ ბრწყინვალებას ასხივებს. ოქრო — ერთადერთი ლითონია, რომელიც ბზინვარებას არასდროს არ კარგავს. **მზე** ამოსვლისას და ჩასვლისას ოქროსფერია. ლათინური სიტყვა AURUM, რომელიც ოქროს ნიშნავს, ცისკრის ქალღმერთის ავროორას (AURORA) სახელიდან წარმოიშვა. **სიტყვა „აურა“-საც იგივე ფუძე აქვს და იმ გამოსხივებაზე მიგვითითებს, რომელიც მზესა და ოქროს გააჩნია.** მსოფლიოში ძნელად მოიძებნება ერი, რომელიც მზეს არ ეტრფოდა და მას სიცოცხლის ძირითად წყაროდ არ აღიარებდა, ამიტომ **მზის** გამოსახულებები ხშირად გვხვდება როგორც არქიტექტურულ ძეგლებსა და ნაგებობებზე, ისე ყოფით ნივთებზე თუ სამკაულებზე. ყველაზე ფასეული მათ შორის კი აუცილებლად ოქროთი იყო მოჭიქული. ოქროს მზიური ბუნება აშკარაა. დღის შუქზე იგი მზის ფერია, ხოლო ხელოვნური განათებისას მომწვანო ელფერს იძენს. ნიშანდობლივია, რომ **ოქროს კოლოიდური ხსნარები, რომელიც მის მემილიონედს შეიცავენ, უამრავ ფერს იძლევიან — წითლიდან იასამნისფრამდე, ანუ შეიძლება ითქვას, რომ ოქროსგან შეგვიძლია მივიღოთ ნებისმიერი ფერი, რომელსაც მზის შუქში დავინახავთ. ნიშანდობლივია ისიც, რომ უახლოეს წარსულში ოქრო გამოიყენებოდა გულის სამკურნალო საშუალებათა დასამზადებლად. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ასტროლოგიური თვალთახედვით, გულს სწორედ მზე მართავს. ჰომეოპათები დღემდე იყენებენ ამ ლითონს გაჯერებულ ხსნარებში და პაციენტებს სთავაზობენ დეპრესიისა და სუიციდური გამოვლინებების შემთხვევაში.**

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 6-12 ნოემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი (21.03-20.04)**
**საქმიანი და პირადი ურთიერთობებისთვის სახიფათო პერიოდია, რაც ინფორმაციის დამალვას, სიცრუეს ან ფარულ მოქმედებას უკავშირდება. შესაძლოა, იურიდიული საქმეების განხილვა ან სასამართლო პროცესში მონაწილეობა მოგიწიოთ. მოერიდეთ გარისკვას, ავანტიურულ კავშირებს, ფინანსურ ხრიკებს და საიდუმლო სასიყვარულო ურთიერთობას. თავი შეიკავეთ ალკოჰოლური სასმელებისგან, მოგზაურობაც გადადეთ.**

**კურო (21.04-20.05)**
**თქვენი ყურადღება ოჯახისა და პირადი ცხოვრებისეული პრობლემებისკენ იქნება მიპყრობილი. ახლად გაცნობილ ადამიანთა შემოთავაზებებს ნუ მიიღებთ და საეჭვო საქმეებსაც თავი მოარიდეთ. პრობლემის წარმოქმნისას დახმარებისთვის ახლო ნათესავებსა და მეგობრებს მიმართეთ. უცხოელებთან კავშირი და მუშაობა გაგიჭირდებათ. კარგი იქნება, თუ ხშირად დაისვენებთ და ჯანმრთელობას გაუფრთხილდებით.**

**ტყუპი (21.05-22.06)**
**ამ კვირაში ყველაზე დიდი საზრუნავი ნათესაური კავშირები და ახლობელთა პრობლემების მოგვარება იქნება, რასაც შეიძლება, გარკვეული დრო და ხარჯის გაღება დასჭირდეს. საქმეებში არსებული გაუგებრობების გამო ბევრჯერ მოგიწევთ გეგმების შეცვლა, რაც საკმაოდ დამღლელი იქნება, ამიტომ გირჩევთ, პერიოდულად მაინც დაისვენოთ. მოგზაურობა და საქმიანი ურთიერთობები კმაყოფილებას ვერ მოგგვრით და პრობლემებსაც შექმნის.**

**კირჩხიბი (23.06-22.07)**
**შესაძლოა, სამსახურის ან პროფესიის შეცვლაზე დაფიქრდეთ, თუმცა, რეალიზება ჯობს, გადადოთ, რათა არჩევანი წამგებიანი არ აღმოჩნდეს. სასურველია, მეგობრების წრეში ხმაურიან წვეულებებზეც უარი თქვათ, რათა ჯანმრთელობას არ ავნოთ და ასევე უსიამოვნო ინციდენტის მონაწილეც არ გახდეთ. შეყვარებულთან ემოციები გააკონტროლეთ. მოგზაურობა ახლო მანძილზე კი დასვენებისა და ძალების აღდგენის საშუალებას მოგცემთ.**

**ლომი (23.07-23.08)**
**ამ პერიოდის მთავარი თემა მატერიალური კეთილდღეობა იქნება. ყველა ღონეს იხმართ, რათა ზედმეტი სიმკაცრის ან ეგოიზმის გამო საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა არ წაიხდინოთ. მეტი დრო უნდა დაუთმოთ კარიერას, პროფესიულ საკითხებს და ჯანმრთელობას. რაიმეს შესწავლა და ცოდნის გაღრმავება გაგიადვილდებათ. კარგი შემოსავლის მიღების შემთხვევაშიც მოერიდეთ აზარტულ თამაშებსა და გარისკვას. მოგზაურობა და საინტერესოდ დასვენება ხალისს დაგიბრუნებთ.**

**ქალწული (24.08-23.09)**
**საბრძოლო განწყობის მიუხედავად, ამ პერიოდში დაწყებულმა საქმემ ან დამყარებულმა კავშირმა შესაძლოა, თქვენი იმედი ვერ გაამართლოს. ეს კვირა ასევე არ უწყობს ხელს ახალი ნივთების შეძენას, მოგზაურობის დაწყებას და დღესასწაულების მოწყობას, ამიტომ ჯობს, მეტი დრო საკუთარ თავს, დასვენებას, ძალებისა და ცოდნის დაგროვებას დაუთმოთ. პირად და სასიყვარულო ურთიერთობებში კი ეცადეთ, ჰარმონიულობა შეინარჩუნოთ.**

## 6-12 ნოემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი (24.09-22.10)**
**შესაძლოა, თქვენ ირგვლივ ორაზროვანმა სიტუაციებმა იმატოს. შეეცადეთ, საკითხში დროულად გაერკვეთ, რათა ამან უარყოფითად არ იმოქმედოს თქვენს საქმიანობასა და შემოსავალზე. მოლაპარაკების, შეთანხმებების და საბუთების გაფორმებისას მეტი ყურადღება გამოიჩინეთ და შეცდომები დროულად გამოასწორეთ. ფინანსებთან დაკავშირებით ნუ გარისკავთ და რჩევებისთვის ახლობლებს მიმართეთ. კარგი პერიოდია დასვენებისა და ინდივიდუალური საქმიანობისთვის.**

**ღრიანკალი (23.10-22.11)**
**მოულოდნელი საქმეები და კონტაქტები თქვენს ცხოვრებას ქაოტურს გახდის. ფინანსური ოპერაციის ჩატარებისას ინტუიციას მეტად მოუსმინეთ და საბუთებიც შეამოწმეთ. აუცილებელი საქმეების შესრულება ბევრ დროს წაგართმევთ. საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთა მოსაზიდად ზედმეტად ნუ იაქტიურებთ და საიდუმლო ინფორმაციასაც ნუ გამოიყენებთ. მოგზაურობა, ახალი საქმის ან სამუშაოს დაწყება კი ჯობს, გადადოთ.**

**მშვილდოსანი (23.11-21.12)**
**თქვენთვის უცხო სფეროში მუშაობას ერიდეთ. ექსპერიმენტს ნუ ჩაატარებთ. მოთმინებითა და პასუხისმგებლობით ბარიერებს იოლად დაძლევთ. მატერიალური მდგომარეობა თქვენ მიერ გაწეულ სამუშაოზე იქნება დამოკიდებული. კარგი პერიოდია ცოდნის მისაღებად და მოკლე მანძილზე გადაადგილებებისთვის. მეუღლესთან ან შეყვარებულთან კამათს მოერიდეთ. განცდები და ნერვიულობა თქვენს ჯანმრთელობაზე ცუდად აისახება.**

**თხის რქა (22.12-19.01)**
**საქმეში ცვლილებები და ტექნიკური ბაზის განახლება სასურველ შედეგს ვერ მოიტანს. ბევრმა შეხვედრამ, შესაძლოა, დაღლის შეგრძნება გამოიწვიოს. საყვარელ ადამიანთან და ბავშვებთან ურთიერთობა სტიმულს მოგაწვდით პირადი ცხოვრების მოსაწესრიგებლად და საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად. გზებზე გადაადგილებისას და საჭის მართვისას ნუ გარისკავთ, რათა შემთხვევით არ დაშავდეთ ან ფინანსური ზარალი არ განიცადოთ.**

**მერწყული (20.01-18.02)**
**ბევრ ადამიანთან ურთიერთობა დამღლელი იქნება და მოგზაურობაც შედეგს ვერ მოგიტანთ, ჩანაფიქრის განსახორციელებლად ფინანსები არ გეყოფათ და მოგიწევთ, თანამოაზრეები დაიხმაროთ და ახალი კავშირები დაამყაროთ. საოჯახო თუ სასიყვარულო ურთიერთობაში გაუგებრობანი დროულად გაარკვიეთ და საკუთარი მოთხოვნები წამოაყენეთ. ხშირად დაისვენეთ, რათა გადაღლამ თავის ტკივილი და ავადმყოფობა არ გამოიწვიოს.**

**თევზები (19.02-20.03)**
**როგორც საქმიანი, ისე საოჯახო ურთიერთობები დიდ ყურადღებას ითხოვს, სადაც თქვენი პოზიციის მართებულობის დამტკიცება მოგიწევთ. შემოსავლის მიღება დიდ ძალისხმევასა და საქმიან აქტიურობაზე იქნება დამოკიდებული. პროფესიულ სარბიელზე კი რთული საქმე ჯობს, დამოუკიდებლად შეასრულოთ. კარიერული აღმასვლის ალბათობაც არსებობს. პირადი შეხვედრა-ურთიერთობები სიამოვნებას მოგგვრით და თავდაჯერებას შეგმატებთ.**



## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია

### 6, 7, 10 და 12 ნოემბერი

**13 ნოემბერი – ახალმთვარეობა, პიკი – 13.27 საათზე;**
**27 ნოემბერი – სავსემთვარეობა, პიკი – 13.17 საათზე.**

## 6 ნოემბერი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 07.39 საათზე, ჩადის 17.50 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (23.47) ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 00.17 საათზე, ჩადის 15.01 საათზე (მთვარის 23-ე დღე გრძელდება. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 11.25 საათიდან 23.47 საათამდე. **ტენდენციები:** აკონტროლეთ ემოციები. შესაძლებელია ხასიათცვალებადობა, ეჭვიანობა. ნუ იკამათებთ, მშვიდად და დიპლომატიურად გადაწყვიტეთ ყველა საკითხი. არ არის სასურველი გადაღლა, ნერვიულობა, სიმძიმეების აწევა, გულს გაუფრთხილდით. კარგი დღეა კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ახალი სამსახურის დასაწყებად, თანამდებობების დასაკავებლად, მეგობრული კონტაქტებისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, საჩუქრების და ძვირფასი ნივთების შესაძენად. არ არის რეკომენდებული ბინის შეცვლა, ქორწინება, ხელშეკრულების დადება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სერდოლიკი, ქარვა, სარდონიქსი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის.

## 7 ნოემბერი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 07.40 საათზე, ჩადის 17.49 საათზე. **მთვარე** ქალწულის ზოდიაქოშია. ამოდის 01.20 საათზე, ჩადის 15.23 საათზე (მთვარის 24-ე დღე იწყება 01.17 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს საქმეთა რეალურ მსვლელობას, წვრილმანებს დააკვირდით. თქვენი კომპეტენტურობა გამოიყენეთ. დღეს და ხვალ კარგი დღეა ჯანმრთელობის გასაკაჟებლად, კარიერული აღმასვლის დაგეგმვისთვის, მშენებლობისთვის, საფინანსო-საბანკო ოპერაციებისთვის, სწავლისთვის, აუდიტისთვის, ვაჭრობისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის. შუადღემდე შესაძლოა, მოთენთილობა მოგეძალოთ, შემდეგ კი ენერგია მოიმატებს. არ არის სასურველი სარისკო ქმედება, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება, ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა. **ქვები:** ყვითელი და მწვანე იასპი, მალაქიტი, აქატი, ოპალი, ონიქსი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 8 ნოემბერი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 07.41 საათზე, ჩადის 17.48 საათზე. **მთვარე** ქალწულის ზოდიაქოშია. ამოდის 02.22 საათზე, ჩადის 15.43 საათზე (მთვარის 25-ე დღე იწყება 02.34 საათზე. მე-4 ფაზა). **ტენდენციები:** დღეიდან სიყვარულისა და ხელოვნების მმართველი პლანეტა ვენერა გადაინაცვლებს სასწორის ზოდიაქოში (4 დეკემბრამდე), რაც გაამახვილებს კომპრომისის უნარს, მშვიდობიანობისკენ, სამართლიანობისკენ მიდრეკილებას, შემოქმედებით ნიჭსა და ხელოვნებისკენ, სილამაზისკენ სწრაფვას და ასევე გაორებას, მერყეობას, სულსწრაფობას, ზეგავლენის დაქვემდებარებასაც. დღეს შესაძლებელია საქმის გაფართოება, ძველი პრობლემის ახლებურად გადაწყვეტა, სამყარო შეგვიმოწმებს უნარს, თუ რამდენად შეგვიძლია ჭეშმარიტი მეგობრების განსხვავება ცრუ მეგობრებისგან. კარგი დღეა აუდიტისთვის, სწავლისთვის, საფინანსო-საბანკო ოპერაციებისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, გამოცდის ჩაბარება. დღე ტრავმულ-ავარიულია, ყურადღება და სიფრთხილე გმართებთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, საზარდული. **ქვები:** ყვითელი და მწვანე იასპი, მალაქიტი, აქატი, ქრიზოპრაზი, ზურმუხტი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის.

## 9 ნოემბერი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 07.42 საათზე, ჩადის 17.47 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (12.18) სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 03.24 საათზე, ჩადის 16.01 საათზე (მთვარის 26-ე დღე იწყება 03.50 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 08.55 საათიდან 12.18 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს დააკვირდით ირგვლივ სიტუაციის განვითარებას და ნაკლები ილაპარაკეთ. შესაძლებელია სამომავლო გეგმების, პროექტების დასახვა. შესაძლოა, სასიხარულო ამბავი შეიტყოთ, ძველი საქმიდან სარგებელი ნახოთ. შედეგიანი იქნება კბილების მკურნალობა და კოსმეტიკური პროცედურები. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, ქორწინებისთვის, სასიყვარულო შეხვედრებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, მუსიკალური აპარატურის შესაძენად, ექიმთან კონსულტაციისთვის, თანამშრომლობისთვის, ავეჯისა და ტანსაცმელ-ფეხსაცმლის შესაძენად. არ არის სასურველი სულსწრაფობა, ბევრი სითხისა და ალერგიის გამომწვევი პროდუქტების მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, კანი, თირკმლები. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, საფირონი, ტოპაზი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 10 ნოემბერი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში ამოდის 07.43 საათზე, ჩადის 17.46 საათზე **მთვარე** სასწორის ზოდიაქოშია. ამოდის 04.25 საათზე, ჩადის 16.20 საათზე (მთვარის 27-ე დღე იწყება 05.06 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს საჭის მართვისას ყურადღება არ მოადუნოთ! შესაძლოა, დაბრკოლება მოულოდნელად წარმოიშვას. დღეიდან გონებისა და ინტელექტის მმართველი პლანეტა **მერკური** გადაინაცვლებს **მშვილდოსნის** ზოდიაქოში (1 დეკემბრამდე), რაც გააძლიერებს გონებამახვილობას, ოპტიმისტურობას, კომუნიკაბელურობას, მოგზაურობისკენ მიდრეკილებას, ინტუიციას, ლიდერულ და ორგანიზატორის თვისებებს, უცხო ენების ათვისების უნარს და ასევე სარკაზმს, უყაირათობას, დიქტატორულ ტენდენციებსაც. დღეს შესაძლებელია მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა-გადაწყვეტა. ამავდროულად, ტრავმულ-ავარიული დღეა, სიფრთხილე გმართებთ. არ არის სასურველი ბევრი სითხის მიღება, სულსწრაფობა. კარგი დღეა ქორწინებისთვის, შემოქმედებისთვის, თანამშრომლობისთვის, აქსესუარის, ავეჯის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, პარფიუმერია-კოსმეტიკის შესაძენად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, საფირონი, ქარვა. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 11 ნოემბერი, შაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 07.45 საათზე, ჩადის 17.45 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (22.50) ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 05.29 საათზე, ჩადის 16.40 საათზე (მთვარის 28-ე დღე იწყება 06.25 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 19.05 საათიდან 22.50 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს ტრავმულ-ავარიული დღეა, სიფრთხილე გმართებთ ელექტროგაყვანილობასთან მიმართებით, არტერიული წნევა აკონტროლეთ. ურთიერთობისას მოერიდეთ ეჭვიანობას, ზედმეტ ემოციებსა და გამოთქმებს. შედეგიანი იქნება კბილების მკურნალობა. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, ქორწინებისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, თანამშრომლობისთვის, ექიმთან კონსულტაციისთვის და მკურნალობის დასაწყებად, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ავეჯის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, აქსესუარების, ხელოვნების ნიმუშების, მუსიკალური აპარატურის შესაძენად. არ არის სასურველი ბევრი სითხისა და ალერგიის გამომწვევი პროდუქტების მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თირკმლები, ყელი, შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ნეფრიტი, ჟადეიტი, ლაზურიტი, აკვამარინი, ტოპაზი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

## 12 ნოემბერი, კვირა

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 07.46 საათზე, ჩადის 17.44 საათზე. **მთვარე** ღრიანკალის ზოდიაქოშია. ამოდის 06.35 საათზე, ჩადის 17.03 საათზე (მთვარის 29-ე დღე იწყება 07.48 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ტრავმულ-ავარიული დღეა. ხვალინდელი ახალმთვარეობის წინ სიფრთხილე და ყურადღება გმართებთ. მოერიდეთ მჭრელ საგნებსა და ასაფეთქებელ ნივთიერებებს. დაიოკეთ დეპრესია-აგრესიულობა. ურთიერთობისას მეტი ზრუნვა გამოავლინეთ. კარგი დღეა თვითშემეცნებისთვის, კომპეტენტურობის გამოსავლენად, რეცხვისა და რემონტისთვის, მასაჟისა და კოსმეტიკური პროცედურებისთვის, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის. არ არის სასურველი ახალი საქმის დაწყება, მგზავრობა, ბინის შეცვლა, სესხის აღება, ინტიმური კონტაქტები, ალკოჰოლისა და ცხარე და მწარე საკვების მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, ობსიდიანი, გიშერი, ზურმუხტი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

# საეკლესიო კალენდარი

✝ **6 ნოემბერი. ორშაბათი.** მოწამისა არეთასი და მისთანა მრავალთა მოწამეთა; ნეტარისა ელეზვოისი, ეთიოპიის მეფისა; მოწამეთა სვინკლიტიკიასი და ორთა ასულთა მისთა; ათანასესი, კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა; **დღესასწაული ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა „ყოველთა მწუხარეთა სიხარული“.**

✝ **7 ნოემბერი. სამშაბათი.** მოწამეთა და მწიგნობართა: მარკიანესი და მარტვირისა; მოწამისა ანასტასისა; მართლისა ტაბითასი.



9 ნოემბერი – ხსენება მოწამისა ნესტორ თესალონიკელისა



8 ნოემბერი – ხსენება წმიდისა დიდებულისა დიდმოწამისა დიმიტრი თესალონიკელისა

✝ **8 ნოემბერი. ოთხშაბათი. წმიდისა დიდებულისა დიდმოწამისა დიმიტრი თესალონიკელისა, მირონმდინარისა;** ხსენება კონსტანტინოპოლს მომხდარისა დიდისა და საშინელისა მიწისძვრისა; ალექსანდრესი, გურიისა და სამეგრელოს ეპისკოპოსისა; მოწამისა ლუპესი; ღირსისა ათანასე მიდიკიელისა; ღირსისა დიმიტრი ბესარბოველისა, ბულგარელისა.

✝ **9 ნოემბერი. ხუთშაბათი.** მოწამისა ნესტორ თესალონიკელისა; მოწამეთა კაპეტოლინასი და ეროტეისისა; მოწამისა მარკოზისა და მისთანათა.

✝ **10 ნოემბერი. პარასკევი. მღვდელმოწამისა ნეოფიტესი, ურბნელი ეპისკოპოსისა;** დიდმოწამისა პარასკევასი; მოწამეთა: ტერენტისა, ნეონილასი და შვილთა მათთა: სარვილესი, ფოტისა, თეოდულესი, იერაქსისა, ნიტესი, ვილესი და ევნიკიასა; ღირსისა სტეფანე საბაწმიდელისა და კანონთმთქმელისა; არსენი I-ისა, სერბელი მთავარეპისკოპოსისა; მოწამეთა: აფრიკანესი, ტერენტისა, მაქსიმესი, პომპისა და 36-თა სხვათა; მღვდელმოწამისა კვირიაკესი, იერუსალიმელი პატრიარქისა; ღირსისა იოანე ქოზიბელისა, კესარიელი ეპისკოპოსისა; ღირსისა იობისა, პოჩაეველი იღუმენისა; დიმიტრისა, როსტოველი მიტროპოლიტისა.



10 ნოემბერი – ხსენება მღვდელმონამისა ნეოფიტესი, ურბნელი ეპისკოპოსისა

**11 ნოემბერი. შაბათი. ღირსისა სერაპიონ ზარზმელისა;** ღირსმოწამისა ანასტასია რომაელისა; ღირსისა აბრაამ დაყუდებულისა-დაზმულისა და ნეტარისა მარიამისა, ძმისწულისა მისისა; მოწამეთა: კლავდისა, ასტერისა, ნეონისა და დისა მათისა თეონილასი; ღირსისა ანასი.

✝ **12 ნოემბერი. კვირა. მოწამისა იოთამისა, მეფისათვის თავდადებულისა;** მღვდელმოწამისა ზინობისა, ეგეას ეპისკოპოსისა და დისა მისისა მოწამისა ზინობიასი; მოციქულთა: ტერტისა, მარკოზისა, იუსტისა და არტემისა, 7-თაგანთა; მღვდელმოწამისა მარკიანესი, სიცილიელი ეპისკოპოსისა; მოწამისა ევტროპიასი; მოწამისა ანასტასია თესალონიკელისა.



12 ნოემბერი – ხსენება მონამისა იოთამისა, მეფისათვის თავდადებულისა (ზედგენიძე)









**32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: **1. კრაზანა; 8. ფორმანი; 12. ჯამბაზები; 13. სატრაპი; 14. ნამქერი; 15. კართაგენი; 16. არაბიკა; 20. შინშილა; 21. მირაბელი; 24. ტიტოვი; 25. ტირადა; 28. მესოპოტამია; 30. ვერონა; 31. ბიტუმი; 32. ტრიტიკალე; 33. სისინი; 36. რიკოშეტი; 37. ბალაგანი; 41. ტორნადო; 44. მელ; 46. საქსი; 47. გავიალი; 48. ოტომანი; 52. კროლი; 53. ერა; 54. შალე; 55. რუბრიკა; 56. კენტავრი; 57. მჭადი; 58. კეტი; 59. თერგი; 60. პიროლიზი; 61. ალიზი; 62. ასა.**

შვეულად: **1. კასია; 2. ასტრა; 3. ატამი; 4. აჯიკა; 5. სმარტი; 6. ლაბადა; 7. მეველე; 8. ფინიში; 9. რომანსი; 10. ავენიდა; 11. ისიკავა; 17. რაიდერი; 18. ბროკოლი; 19. კლიმატი; 21. მასტიკა; 22. რეპლიკა; 23. ლუმიერი; 25. ტაბაკა; 26. რეტუში; 27. დემეტრე; 29. ტრასა; 33. სიტრო; 34. სარჩო; 35. ნიაგარა; 37. ბოსი; 38. ლაქია; 39. გლიკემია; 40. ნაგომარი; 42. ქვირითი; 43. ბარბარე; 44. მილიცია; 45. ლატარია; 49. ტვენი; 50. მეტრო; 51. ნავსი; 54. შიკი.**

**დახლიდარიალიკაპილარიქსილოლიტაბაკარატომარა**
**კამათელიანისულიკობალტიმორიელინებიერატოკაი**

| ნოქარი | ხის აღვირი | ფიჭვისებრი მერქნიანი მცენარე | ნაბოკოვის რომანი | უმაღლესი ხარისხის ბროლი | ნაჭრის სათავსო |
|---|---|---|---|---|---|

| გამყიდველის ადგილი მაღაზიაში | თერგის ხეობის მონაკვეთი ყაზბეგის რ-ში | წერილი სისხლძარღვი | ორგანული ნაერთი სადეზავენის წარმოებაში | ბრტყლად შემწვარი ვარია | რისთვის? | თუთი-ყუშის სახეობა |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 1. ეტელ ლილიან ვოინიჩის რომანი; 8. ჩეხი კინორეჟისორი; 12. რ. ლეონკავალოს ოპერა; 13. ძველი სპარსეთის პროვინციის მმართველი; 14. ჰაერში ქარისგან ატანილი თოვლი; 15. ძველი ქალაქი-სახელმწიფო ხმელთაშუაზღვისპირეთში; 16. ყავის სახეობა; 20. ძვირფასბეწვიანი მღრღნელი ცხოველი; 21. ერთგვარი ჯიშის ღოღნოშო; 24. რუსი კოსმონავტი; 25. პათოსით წარმოთქმული სიტყვა; 28. დასავლეთ აზიის უძველესი ოლქი; 30. ქალაქი იტალიაში; 31. ფისოვან ნივთიერებათა საერთო სახელწოდება; 32. ხორბლისა და ჭვავის ჰიბრიდი; 33. გველის ხმიანობა; 36. სწრაფად მოძრავი სხეულის ასხლეტა გარკვეული კუთხით რაიმე ზედაპირზე მოხვედრის შედეგად; 37. უგემოვნოდ დადგმული წარმოდგენა, უხამსი სანახაობა; 41. ხმელეთის სმერჩის სახელი აშშ-ში; 44. მსახიობი ... გიბსონი; 46. საქსოფონის გამომგონებელი; 47. ინდოეთში გავრცელებული ნიანგის სახეობა; 48. მუთაქებიანი დივანი; 52. ცურვის სახეობა; 53. ეპოქა; 54. პატარა სოფლური სახლი შვეიცარიის მთებში; 55. განყოფილების სათაური გაზეთში, ჟურნალში; 56. ცის სამხრეთ ნახევარსფეროს თანავარსკვლავედი; 57. სიმინდის „პური“; 58. დიდი ჯოხი; 59. მდინარე საქართველოში; 60. ორგანულ ნივთიერებათა გადამუშავება აირის მისაღებად; 61. გამოუმწვარი აგური; 62. შეძახილი ქართული ცეკვისას.

შვეულად: 1. ბიზანტიელი პოეტი ქალი; 2. ყვავილის სახეობა; 3. კურკოვანი ხილი; 4. ცხარე საწებელი; 5. სუპერმარკეტ მაღაზიათა ქსელი საქართველოში; 6. საწვიმარი; 7. ნათესი მინდვრის, ვენახის მცველი; 8. შეჯიბრების ბოლო ნაწილი; 9. პატარა სასიმღერო ლექსი; 10. პროსპექტი ესპანეთში (ზოგადად); 11. იაპონელი მწერალი; 17. ამერიკელი მსახიობი ფაინონა ...; 18. კომბოსტოს ნაირსახეობა; 19. ჰავა; 21. იატაკის მოსაპრიალებელი ნივთიერება; 22. ორატორისათვის ადგილიდან მიცემული მოკლე შენიშვნა, შეპასუხება; 23. კინოს გამომგონებელი; 25. ბრტყლად შემწვარი ვარია; 26. ფოტოგრაფიული ანაბეჭდის შესწორება ფანქრით; 27. საქართველოს მეფე ... თავდადებული; 29. გეზნიშანი; 33. ხილის გაზიანი სასმელი; 34. საზრდო, საკვები; 35. მდინარე და ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; 37. პატრონი, მესვეური; 38. ხელზე მოსამსახურე მამაკაცი; 39. გლუკოზის არსებობა სისხლში; 40. ჭრიჭინას სოფელი; 42. თევზის კვერცხის ერთობლიობა; 43. ბავშვთა მფარველი წმინდანი; 44. პოლიციის წინამორბედი; 45. ფულის გათამაშება ბილეთებით; 49. ამერიკელი მწერალი („ტომ სოიერის თავგადასავალი“); 50. მიწისქვეშა ტრანსპორტი; 51. თარსი; 54. გარეგნული ბრწყინვალება.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ნარდის სათამაშო კუბი | ეთერზეთოვანი მცენარე | ქიმიური ელემენტი. ლითონი | ზოდიაქოს ნიშანი | შორენას შვილის ნუკრი | უნგრული ღვინო |
|---|---|---|---|---|---|

| მწვანილი | ღვინის კომპანია ... ველი | აკაკი წერეთლის ლექსი | ქალაქი აშშ-ში | ძველი ბერძნები | ლირიკული პოეზიის ბერძნ. მუზა | ვაჟა - „.... ყმა“ |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ დასავალი

2023 წლის 6 — 12 ნოემბერი №48 (1512)

გამოდის ორშაბათობით

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**

**mail@asavali.com**

„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**

ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**

გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**


